

652/3
1977

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



1 9 7 7 1



ლ. ი. ბრძანევი „იასნაია პოლიანაში“ მუზეუმ-კარიბაშვილის
სახატიო სტუმართა ფიგური ურს თავის უთაგავდილებას.

(საკდესის ფოტო)

გუშინ იასნაია პოლიანაში ვიყავი. ეს წმიდათა წმიდა ადგილია თი-
თოეული კულტურული ადამიანისათვის. ლევ ტოლსტოის მიერ აღწერილი
ცხოვრება წარსულს ჩაბარდა, მაგრამ მისი ნაწარმოებები უკვდავია, რად-
გან უკვდავი, წარუვალია ის აზრები და გრძნობები, რომლებიც მან ასე
გენიალურად წარმოსახა.

იქ, იასნაია პოლიანაში, დიდი მწერალი ბევრს ფიქრობდა იმ პრობლე-
მებზე, რომლებიც ჩვენც გვაწუხებს, — ომისა და მშვიდობის პრობლემებზე.
ტოლსტოის ყველა იდეა როდი ეხამება ჩვენს ეპოქას. მაგრამ მისი დიალი
რომანის მთავარი აზრი, აზრი იმის შესახებ, რომ საბოლოო ანგარიშით
ხალხი, მასები წყვეტენ ისტორიის ძირეულ საკითხებს, განსაზღვრავენ სა-
ხელმწიფოების ბედსა და ომების შედეგებს, — ეს ღრმა აზრი, როგორც ყო-
ველთვის, დღესაც სწორია.

ლ. ი. ბრძანევის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქა ტულაში
1977 წლის 18 იანვარს, გმირი ქალაქისათვის „ოქროს ვარსკვლავის“
მედლის გადაცემისადმი მიძღვნილ სახელმწიფო სსრმომაზე.

ქ. მარქსის ს. ხ. საქ. სსრ

სახულმწიფო სსრმომაზე.

ბილიონიამდე.

25799

ଯୁଗମନ୍ତର

ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପରିଚୟ

3

ପରିଚୟ, ପରିଚୟ

ଜୀବାଣୁ କାହାରଙ୍କ — ଲେଖିବାରୀ	9
ମନୋବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ — ପରିଚୟ	17
ମନୋବିଜ୍ଞାନରେ ମନୋବିଜ୍ଞାନି — ଲେଖିବାରୀ	34
ମନୋବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ — ଲେଖିବାରୀ	37
ମନୋବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ — ପରିଚୟ	41
ମନୋବିଜ୍ଞାନରେ ମନୋବିଜ୍ଞାନି — ଲେଖିବାରୀ	45

ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟ

ଶ. ପରିଚୟ — ପରିଚୟ	49
ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟ	

ପରିଚୟ

ଶ. ପରିଚୟ — ପରିଚୟ	57
ଶ. ପରିଚୟ — ପରିଚୟ	67
ଶ. ପରିଚୟ — ପରିଚୟ	77

ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟ

ଶ. ପରିଚୟ — ପରିଚୟ	91
ଶ. ପରିଚୟ — ପରିଚୟ	

ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟ - ପରିଚୟ
ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟ - ପରିଚୟ
ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟ

ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟ
ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟ
ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟ
ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟ

୧୧୩୭ — ୧୯୭୭

ପରିଚୟ ଏବଂ

ଶ. ପରିଚୟ
ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟ
ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟ

რედაქტორი ა. შონია

ხარედაქტორ კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ. მდივანი),
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.
ტელეფონი — 3-33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.2.77, საბეჭდი თაბაზი 6, საგამომცემლო 5,
შეკვეთის № 447, ემ 01053, ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/16$, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აქარის პოლიგრაფიული
საჭარხო გაურთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის 20.

დიადი ერთგულება

ახალი, 1977 წლის წინა დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეუნევმა „პრავდის“ მეშვეობით გულითადი მადლობა გადაუხადა უკელას, ვინც მას მა-ულოცა დაბადების 70 წლისთავი და პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის ლენინის ორდენითა და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით და-ჯილდოება.

ამ სამადლობელ ბარათში გამოხატულია კომუნისტური პარ-ტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მგზენებარე მებრძოლის, თანმიმდევრული ლენი-ნელი მარქსისტის ლ. ი. ბრეუნევის ღრმა სიყვარული და პატივის-ცემა ხალხისადმი, მზადყოფნა — მთელი თავისი ცოდნა, გამოცდი-ლება, ენერგია მოახმაროს კაცობრიობის ისტორიაში უკელაზე სა-მართლიანი, ჟუმანური და ბედნიერი საზოგადოების მშენებლობას, მშრომელი ადამიანის კეთილდღეობას.

ლ. ი. ბრეუნევის დაბადების 70 წლისთავის სახელოვანმა იუბი-ლემ ერთხელ კიდევ ცხადეუ ჩვენი პარტიისა და ხალხის ურლვევი ერთიანობა, პარტიის იდეებისადმი მშრომელთა მილიონების დიადი ერთგულება.

უაღრესად ადამიანური, გულში ჩამწვდომი სიტყვა წარმოოქმა ლ. ი. ბრეუნევმა სამშობლოს უმაღლესი ჯილდოს მიღებისას:

„ვამაყობ იმით, რომ ჩემი სიცოცხლის ყოველი დღე განუყო-ველია იმ საქმეებისაგან, რომლებითაც ცხოვრობდა და ცხოვრობს ჩვენი კომუნისტური პარტია, ჩვენი საბჭოთა ქვეყანა. ყოველთვის და უკელვან ჩემთვის უკელავერზე მაღლა იყო და კვლავაც არის პარტიის ნდობა, ხალხის ნდობა. და როცა დღეს ამ ჯილდოს — ლე-ნინის ორდენს და გმირის ოქროს ვარსკვლავს ვიღებ, მთელი არსე-ბით მაქვს შეგნებული, რომ იგი პარტიას ეკუთვნის, ისევე, როგორც ეკუთვნის მას მთელი ჩემი ძალაონე, მთელი ჩემი სიცოცხლე.“

ჩვენ ჯილდოების გულისთვის არ ვმუშაობთ, ამხანაგებო, მაგ-რამ როცა შენს მუშაობას დიდ შეფასებას აძლევენ, ეს ყოველთვის

დიდი სიხარულია, და ამავე დროს — დამატებითი პასუხისმგებლების ბის გრძნობა, გრძნობა, რომ უფრო დიდია შენი მოვალეობა ქვეწნის წინაშე, ხალხის წინაშე“.

ლ. ი. ბრეუნევის დაჯილდოება, საიუბილეო ზეიმი საბჭოთა ხალხმა, მოძმე სოციალისტური ქვეყნების მშრომელებმა, კეთილი ნების ადამიანებმა დედამიწის უკელა კუთხეში აღიქვეს, როგორც ჩვენი პარტიის აღიარებული ხელმძღვანელის მრავალმხრივი, დაუღალავი მოღვაწეობის ღირსეული შეფასება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში აღნიშნულია ამ მოღვაწეობის უდიდესი მასშტაბები და მნიშვნელობა, გამოხატულია უკელა კომუნისტის, უკელა საბჭოთა ადამიანის გულითადი გრძნობები.

ამ საქეიმო ვითარებაში მკაფიოდ გაისმა საქართველოს მშრომელთა ხმა, იმ ადამიანთა ხმა, რომლებიც რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში უკანასკნელ ხანს მომხდარ უდიდეს ძვრებს, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჩანსალებას, ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას და ამის შედეგად მოპოვებულ საამაყო წარმატებებს უმაღლიან ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეუნევს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მილოცვის წერილის ყოველი სიტყვა აღსავსა უდიდესი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით, მომავლის რწმენითა და იმედით.

თორმეტ წელზე შეტია ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრების უკელა მთავარი მოვლენა, საბჭოთა კავშირის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმატებანი დაკავშირებულია ლ. ი. ბრეუნევის საქმიანობასთან. ეს იყო გრანდიოზული სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის, საყოველთაო შვეიცარიელისა და უშიშროების განმტკიცებისათვის შეუცვარი ბრძოლის წლები. პარტიის ოცდამესუთე ყრილობამ ზღვრული სიცხადით დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ ჩვენმა სამშობლომ მიაღწია ახალ ისტორიულ მიწებს კომუნიზმისაკენ წინსვლის გზაზე.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგია ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, რომელიც ლ. ი. ბრეუნევმა მოახსენა 25-ე ყრილობას, წარმოადგენს ისტორიული მნიშვნელობის საბროგრამო დოკუმენტს. იგი ნათელს ჰქონის

თანამედროვეობის საკვანძო პრობლემებს, პირველ რიგში კი სოციალისტური ეკონომიკის განვითარების, ეკონომიური პოლიტიკის საკითხების; პარტიისა და ხალხის ყურადღების ცენტრში აყენებს მეურნეობის ყველა დარგის ეფექტურობის ამაღლების, სოციალიზმის უპირატესობებთან სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ურაგანული შეერთების ამოცანას. „ისევე როგორც ყოველგვარი სტრატეგია, — ნათქვამია საანგარიშო მოხსენებაში, — პარტიის ეკონომიური სტრატეგიაც იწყება ამოცანების დაუყენებით, ფუნდამენტური, ხანგრძლივი მიზნების დასახვით. მათ შორის უმაღლესი იყო და არის ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება“.

აგამებდა რა მეცხრე ხუთწლედის შედეგებს, ლ. ი. ბრეუნევმა პირველ რიგში დააყენა მიღწევები, რომლებიც მობოვებულია ხალხის კეთილდღეობის ზრდის საქმეში და ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან თქვა — „ქვეყნის ისტორიას არ ახსოვ ისეთი ფართო სოციალური პროგრამა, როგორიც საანგარიშო პერიოდში შევასრულეთო“.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების ზრდის თვალსაზრისით მეცხრე ხუთწლედი უბადლო იყო და მან მტკიცე საძირკველი შექმნა ახალ, მეათე ხუთწლედში დასახული ძირითადი სოციალ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტისათვის. „ეს უწინარეს ყოვლისა ეხება, — ხაზგასმით ამბობს ლ. ი. ბრეუნევი, — საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის დონის შემდგომ ამაღლებას, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის მნიშვნელოვან პროგრესს — ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, ცხოვრების სოციალისტური წესის სრულყოფას“.

ერთი წელიდა გავიდა პარტიის 25-ე ყრილობის შემდეგ და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე იგრძნობა ამ ყრილობის იდეების კეთილისმყოფელი გავლენა. საბჭოთა ადამიანებმა ყრილობის გადაწყვეტილებანი თავიანთ საბრძოლო პროგრამად მიიღეს და კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმნენ პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. შარშან მოპოვებული წარმატებები მოწმობს, რომ მეათე ხუთწლედმა გულდაჯერებით აიღო სტარტი. მიღებულია მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე ყველაზე უხვი მოსავალი — 224 მილიონი ტონა მარცვლეული. სამრეწველო პროდუქციის მატებაშ შეადგინა 4,8 პროცენტი, გათვალისწინებული 4,3 პროცენტის ნაცვლად. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია ექვსი მილიარდ მანეთისაზე შეტი სამრეწვე-

ლო პროდუქცია. მოსახლეობის რეალური შემოსავალი ერთ წელში წაღში 3,7 პროცენტით გაიზარდა. ასე რომ, უკვე გადადგმულია დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელების გზაზე.

მარქესიშმის ცნობილი დებულება — იდეები იქცევიან ძალად, როცა ისინი იპყრობენ მასებს, კვლავაც თვალნათლივ დასტურდება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკით. პარტიის 25-ე ურილობაზე ლ. ი. ბრეჟენევის მიერ წამოყენებულმა დებულებებმა, რომლებსაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ ჩვენი სამშობლოს განვითარების თანამედროვე ეტაზე, მძლავრი იმპულსი მისცა ხალხის შემოქმედებითი ძალების შემდგომ ზრდას, მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ახალ აღმავლობას, საკოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

ჩვენი სამშობლოს ძლიერების ზრდასთან ერთად სულ უფრო მტკიცდება მისი პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენს ქვეყანას არასოდეს არ ჰქონია ისეთი აგტორიტეტი და გავლენა მსოფლიოში, როგორიც ახლა აქვს. ეს სულით და გულით ახარებს საბჭოთა ხალხს, მოძმე სოციალისტური ქვენების მშრომელებს, ყველა კეთილ ადამიანს, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და პროგრესის იდეალები, მეტადრე ახლა, რთულსა და მაღიმალ ცვალებად საერთაშორისო სიტუაციაში.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად ლ. ი. ბრეჟენევი ტიტანურ ზრომას ეწევიან, რომ კაცობრიობას თავიღან ააცილონ თერმოატომური ომის საფრთხე, წარმატებით იყენებენ ყველა შესაძლებლობას საერთაშორისო დაბაზულობის შენელებისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ახალი, 1977 წლის პირველ დღეებიდანვე მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც ერთგულია თავისი აქტიური სამშვიდობო პოლიტიკისა. ქ. ტულისათვის „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟენევმა ჩამოაყალიბა თანამედროვე ეტაზზე საბჭოთა სახელმწიფოს პოზიცია მთელ რიგ დაზ საერთაშორისო საკითხებზე, და პარტიისა და ხალხის სახელით განაცხადა, რომ „ჩვენი ქვეყანა არასდროს არ დაადგება აგრესის გზას, არასდროს არ მოუღერებს მახვილს სხვა ხალხებს“.

ტულაში ამ გმირი ქალაქისათვის ჯილდოს გადაცემის გამო სტუმრობის დღეებში ლ. ი. ბრეჟენევი ეწვია ლ. ნ. ტოლსტოის

„იასნაია პოლიანას“ მუზეუმ-კარმიდამოს და დამთვალიერებელთა წიგნში ჩაწერა:

„იასნაია პოლიანაში“ ყოფნისას პირდაპირ სუნთქვა მეკვრის — აქ ხომ ცხოვრობდა და იღვწოდა უდიდესი რუსი მწერალი, მსოფლიო კულტურის გენია, რომლის ნაწარმოებები სიბრძნის უშრეტი წყაროა ახალ-ახალი თაობებისათვის. ლევ ტოლსტოის ნაწარმოებებში სრულად და ფართოდ აისახა რუსი ერის ხასიათი. ისინი გამსჭვალულია აზრით ისტორიაში ხალხის ძალების გადამწყვეტი როლის შესახებ, ადამიანისა და მშობელი მიწის განუყრელი კავშირის შესახებ.

„ომისა და მშვიდობის“ გმირებს საბჭოთა ადამიანებისაგან საუკუნენახევარი აშორებს, მაგრამ მათ აახლოებს პატრიოტიზმისა და გმირობის დიადი გრძნობები, სიმართლისა და სამართლიანობისათვის ერთი და იგივე სულისკვეთება, მზადყოფნა — სიცოცხლე შესწირო სამშობლოს დირსებასა და დამოუკიდებლობას“.

ასეთია მხატვრული ლიტერატურის როლისა და დანიშნულების პარტიული, ლენინური გაგება, რასაც ხშირად უსვამს ხაზს ლ. ი. ბრეუნევი. საბჭოთა ხალხი პატივს სცემს ყველა ერისა და ეროვნების სულიერ ტრადიციებს, მთელი საკაცობრიო კულტურის საგანძურს და იყენებს ახალი საზოგადოების აშენებისათვის. ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიური ატმოსფერო ყოველმხრივ უწყობს ხელს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას. ჩვენი შემდგომი წინსვლის კვალობაზე სულ უფრო იზრდება ხელოვნების საზოგადოებრივი ფუნქცია და ხელოვანის პასუხისმგებლობა.

პარტიულობისა და ხალხურობის კეთილისმყოფელი იდეებით შთაგონებული საბჭოთა ხელოვნება გადაიქცა კომუნისტური აღზრდის მძლავრ იარაღად. იგი იდეურად ამდიდრებს და ზნეობრივად ამაღლებს კომუნიზმის მშენებლებს, ზრდის საბჭოთა პატრიოტებს, ინტერნაციონალისტებს. „მიმდინარეობს ცხოველმყოფელი პროცესი, — ამბობდა ლ. ი. ბრეუნევი პარტიის 25-ე ყრილობაზე, — როცა, ერთი მხრივ, ხელოვნება მდიდრდება ცხოვრების ცოდნით, მეორე მხრივ კი მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები სულ უფრო მეტად ეზიარებიან კულტურის ღირებულებებს“. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასა და ხელოვნებას ღირსეული წვლილი შეაქვს ახალი ადამიანის ფორმირებაში.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეუნევის დაუცხრომელი მოღვაწეობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, მათ შორის ქართველ მწერლებს შთაგონებს უფრო ღირსეულად ასახონ საბჭოთა ხალხის

შრომითი და საბრძოლო გმირობა, მისი მაღალი ზნეობრივი უფლისყოფილობები.

ლ. ი. ბრეუნევი გვაძლევს პრინციპულობის, პარტიისა და ხალ-
ხის საქმისათვის თავდადების, ოქტომბრის იდეებისადმი დიადი
ერთგულების, ადამიანური უბრალოების, თავმდაბლობის, გულის-
ხმიერების მაგალითს, რითაც მან, როგორც პარტიისა და ქვეყნის
მეთაურმა, საყოველთაო პატივისცემა და აღიარება მოიპოვა.

ახლა, როცა ფართოდ ჩაღდება მზადება დიდი ოქტომბრის სო-
ციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავისათვის, სულ უფრო
იჩენს თავს საბჭოთა ხალხის საუკეთესო თვისებები. ყველაზე მე-
ტად ეს თვისებები ვლინდება საზოგადოებისა და ადამიანის ცხოვ-
რების მთავარ სფეროში — შრომის სფეროში. მთელს ჩვენს ქვეყა-
ნაში ფართოდ იშლება საყოველთაო სახალხო სოციალისტური შე-
ჯიბრება, რომ ხორცი შევასხათ 25-ე ყრილობის ისტორიულ გადაწ-
ყვეტილებებს, საბჭოთა სახელმწიფოს იუბილე აღვნიშნოთ ახალ-
ახალი წარმატებებით ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის
განვითარებაში.

ԾԱ ՍԵՆԱՑ ՅՈՅԼՈ,,,

Մյ ՇեշաՌկեծո մովաս Շվետոցոտ,
ործուցուտ գանց Շրես զեր մոշեանց;
մյ զեր մոշոյնեց և ուժոցաս լազուցոտ
դա „լուրիչ պեղեծո“ մյ զեր մոշոյնմաց.

զեր օվթորդեծո միշելո ձանցեծոտ
սեշուու ծալցեթո, հոգորու ծեսոյո,
մյու Շեմոմուո ցիուու դարդեծո,
մացրամ զեր լազիշաց մոշարես մուեծու օյոտ.

Ծա զեր ցացացեծ սոծրմնոտ յուլոնծանս,
ցանուու լուրիցուտ մյ զեր մոշուսեամ,
մյ զեր Շեշրիեծո մարագուսոծաս,
հոգորու ուռուուու Շեմուցցոմուու յամս.

մացրամ մյուս մայքս հյեմո սատյմելո,
հյեմո ձաբարա սշուու ործուուտո,
հյեմո յացոնծուու լուս սահյմելո
ցագասասեւու հյեմո յուցրուուտոտ.

Ծա սանամ ցուլու ամ ճատել միու յայշ,
Շյուտուսոցելո սանամ մոյյուցեծու,
ար վուլալաթեծ սայշեցնո մոնեցեծու,
յայլա Շամս մուտուու ցամոցոյյենց.

ծոլոս մոշուցեծո սոմլերոտ ծալտան,
ար Շամոմուցեծո արսադ յանեսա մյ...
ցա լամացուրտեաց մշոծլուուր յալտաս,
մյ յարկուցլացեծուու մոնատեսացը.

* * *

მე კაცი ვარ და მიწად ვიქცევი,
 მაგრამ ამაზე სულაც არ ვწუხვარ.
 დიდი ხმაურით არ წავიქცევი,
 როგორც დიდ ტყეში ბებერი მუხა.

მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ გულის ფეოქვით,
 ეს თხოვნა როგორც სანთელი ენთოს, —
 მე დავიბადე აპრილის თვეში,
 აპრილის თვეში ნუ მომქლავ ღმერთო.

ბარადი ცოდვა

თითქოს წითელი წამოვა წვიმა,
 მზე გადარუჭულ ღრუბლებში გორავს.
 ადამიანის სულით რომ ბოდავს,
 სიკვდილის კერა,
 შორს ოსვენციმა.

აქ მწუხარება, ტკივილი, ვიში,
 კიდით კიდემდე იწვის და დადის.
 გიუივით ბოდავს. სულ ბუხენვალდი,
 ჩიტი ვერ გალობს დახაუს შიშით.

ძალლების ბრდლვინვა, ტყვეების მწკრივი,
 ცა დამურული მაზუთის ფერად,
~~ლეკერტი~~ სისხლი მიდამოს ფერავს,
 ყურებში ისევ ტყვიები წივის.

სიგიჟე,
 ტიფი,
 შიმშილი,
 ბინდი,
 ჩონჩხი,
 სიცივე,

სიმწარე,
 ბოდვა...
 და შავი ბოლი ზეცამდი მიდის
 და მიაქვს მიწის მარადი ცოდვა.

გ ტ პ პ ა რ ი

მოქუხს,
 მოღელავს,
 მღვრიჟ და შენარი
 და ვაკვირდები გოროხს და ქვიშას.
 ვინა თქვა,
 შტკვარი მდინარე არის,
 შტკვარი თბილისთან
 ყველაფერს ნიშნავს.

* * *

მომენატრები, მოგნახავ ისევ
 და ღვინოსავით დავწურავ ფიქრებს.
 შენ მოიღერებ გედივით კისერს
 და კალმახივით წელს შემოიქნევ,
 და გამახსენებ ყველაფერს ისევ —
 სოფელს,
 ბავშვობას,
 პაემანს,
 იფნებს...

აგერ ჩემი სოფელი,
გზები მიხრილ-მოხრილი,
ენა დაუშრობელი,
ბაბუ წელში მოხრილი.

ტელისძველი ნალია,
ძველისძველი ბეღელი,
ღვთისმორწმუნე ალია,
სიტყვით აუღებელი.

გალმა ყანა რამხელა,
ბალები და ჭალები.
სიყვარულის გამხელა, —
ნამიანი თვალები.

აკაცია, მიმოზა.
ტირიფი და ჩინარი.
გოგო, თუმცა მიზეზა,
მაინც დასაფიცარი.

ჩეროში და მდელოში,
კამათი და ანცობა.

ტყემლის, თეთრ საყელოში
ჰყვავის ჩემი ბავშვობა.

ყველაფერი ცოცხლდება,
წამწამის მიზის წარსული.
მთვარე ამოცოდება
მთიდან, როგორც ასული.

ფრთებს შემასხამს ოცნება,
გადამიხსნის მზის ფარდა.
ყველაფერი ცოცხლდება,
რაც მწამდა და მიყვარდა.

აგერ ჩემი სოფელი,
ფიქრით შემოვირბინე.
აგერ დედა მშობელი,
მამა ბალში ღილინებს.

მტრედებს ვუსტვენ ამ წუთშიც,
მთაზე მივდევ ირაოს,
მოგონებამ წარსულში
მინდა ჩამაყირაოს...

ს პ ლ პ ა მ

ზლვაზე დაეშვა ხავერდის ფარდა,
ბალიდან ბალში ნიავი დარბის.
ბებერი ციხის დაუანგულ კართან
მზემ გაიტეხა ლოდებზე წარბი.

და დაიღვარა ტალღებზე სისხლი,
თითქოს ზლვის ვეშაპს გაუპეს მკერდი.
ხინოს მთებიდან წამოვა მთვარე,
ვით საქორწილოდ მორთული ლედი.

გრილა.

მუსიკა იტაცებს სურვილს
და ფერიები ავსებენ ბალებს.
ზღვა ვნებიანი შემოდის სულში
და ჩემს იმედებს მიანდობს ტალღებს.

ზ ღ ვ ა ს

მოგეფერები ზღვაო ძლიერო,
გვიხმიანებ შენს თბილ უბეში.
იმ ლამაზ დღეთა სამაგიეროდ,
რა ლოცვა გითხრა,
ან რა ნუგეში.

მე უშენობას როგორ ავიტან,
დამაპერებენ ცივი ფიქრები.
შენთან ცოცხლდება ყრმობა თავიდან,
შენს მწვანე ბალში დავიფიფქები.

ჩემი ოცნების შენ ხარ სათავე,
ჩემი იმედი, თავდავიწყება.
ვიცი შენ ღელვას არ გაათავებ,
ჩემი სიმღერა მალე მიწყდება.

* * *

დაისერება სხეული დანით,
როცა ვიღაცა წამლავს გონებას.
რა არის სოფლის სიგრძე და განი,
წამწამით გაიზომება.

რატომ გვჭამს რატომ შური და ჭია,
რა ცოტას ვფიქრობთ მეზობლის ბედზე.

აგერ ვიღაცის სამარეს ჭრიან,
იქით ვიღაცა საშოვარს ეძებს.

რატომ ციმციმებს თვალები ხარბად,
რა ცოდვა გვმართებს,
რა დაგვემართა!
ბოლოს რად გვყოფნის ნაჭერი ნარმა
და კალთა მიწა,
სამარის კართან!

* * *

მივყვები ფიქრით მწვანე ბილიკებს,
განთებ სურვილებს, როგორც ნათურებს,
ვიცი ისეთი გამაქილიკებს,
სხვის ჭიბეში რომ ხელს აფათურებს.

ვისთვის ლექსია მარტო სიამე,
ან არაფერი... ბევრს რომ ჰერნია,
მე კი მამულის სიგრძე-სიგანე
ვაჟას ხურჯინით ამიწონია.

მოსა

ქანდაკებიდან	შიშის
თეთრი სამოსით	და იჭვის კართან
გამოვა მოსე და ატირდება.	ყდელა საკუთარ
წემების,	ოავს აკვირდება.

* * *

ბაღში ქირქილებს მსუბუქი სიო,
ლურჯ ტბაში ცურავს თოვლივით გედი.
ცა მინდა ხელით ჩამოვიწიო
და მოვიძოო — მზე, ჩემი ბედი.

* * *

ზღვა შრიალებდა და მწვანე კონცხი,
ჰგავდა პატარძალს შემყულს ლალებით.
ცა იყო მორცხვი,
საოცრად მორცხვი
და ცივი, როგორც შენი თვალები.

* * *

ვეფერებოდი ქათქათა ყვავილს,
ტირიფის ტოტზე ცოცავდა ქარი.
უცებ ცას მოწყდა ჩხავილით ყვავი
და ჩამიმწარა საღამო წყნარი.

შენ შეგეშინდა, არ ვიცი რატომ,
მითხარ: ცუდად მაქვს ყვავი დაცდილი, —
და წადი... ბაღში ვიდექი მარტო,
როგორც აუზი წყლისგან დაცლილი.

წაგა,
 წამოვა ტატით დრონი,
 წასკლას და მოსკლას თავისი დრო აქვს.
 სადღაც დარჩება დღეები შორი,
 როგორც წარსულზე ლამაზი გლოვა.

გადაიშლება ია და ღვია,
 დაიფიფება აპრილში ტოტი.
 ბევრს დააბრმავებს ლურჯი ცა ღია,
 ბევრს სიყვარულის მოხვდება შოლტი...

ქარი მოჰყვება ჩვილივით ტიტინს,
 იქნება მოსკლა,
 სიმღერა,
 გლოვა...
 მაგრამ ამ ქვეყნად ამ ჩემი ფიქრით
 და ჩემი სულით ვერავინ მოვა...

მიხეილ გორგილაძე

15799

გ ვ ს ვ ი

შვილი იმ ხიდს ანგრევს, რომელზეც მამა დგასო, ამბობდნენ ზურაბ
და დავით ჩიქოვანებზე.

შეიძლება ეს ასეც იყო და არც იყო.

საქმე ის არის, რომ ზურაბს ეგონა ხუთიოდე წელში არა თუ სის-
ტემას, ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებასაც მნიშვნელოვან კვალს და-
ამჩნევდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მის ზოგიერთ ჩანაფიქრს განხორციელე-
ბა არ ეწერა. ეს იმიტომ, რომ ზურაბი ქალაქის პროკურორის მოადგი-
ლე იყო. მოადგილის სიტყვას არასდროს ჰქონია ისეთი წონა, როგორიც
საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის, ან თუნდაც პროკურორისას.

სანამ ზურაბი რიგითი გამომძიებელი იყო, ასე თუ ისე, ახალბედად
ითვლებოდა და მის მოსაზრებებს ნაკლებ მნიშვნელობას აძლევდნენ. მას
შემდეგ, რაც დააწინაურეს, თავისთავში მეტი ძალა და ენერგია იგრძნო,
მაგრამ იმდენს მაინც ვერაფერს გახდა, მთელს სისტემაში გარდატეხა
მოეხდინა. კვლავ შეიმჩნეოდა სამართლის გამრუდება, დანაშაულობათა
მიქემალვა, მექრთამეობა. ადამიანი, რომელსაც მცირე ხელფასი აქვს,
მაგრამ მეცნიერებათა დოქტორზე უკეთ ცხოვრობს, განა აშკარა არ არის,
რა გზით ისქელებს ჯიბეს? როცა დანაშაული ერთს შერჩება, ათავსე-
დებს მეორე სულმდაბალს და უარესს სჩადის. სანამდე უნდა გაგრძელ-
დეს ასე?

ზურაბმა თავისი გულისტკივილი მამას გაუზიარა.

— შენ ნებაზე რომ მიგიშვან, ციხეები აღარ გეყოფაო, — შენიშნა
დავითმა. დავით ჩიქოვანი თხუთმეტი წელი მართავდა საქალაქო კომი-
ტეტს და ამ ხნის განმავლობაში იმდენი ცოდნა და გამოცდილება დაუგ-
როვდა, ზურაბისაგან არაფერი ესწავლებოდა. ამიტომაც იყო, რომ ზუ-

რაბი მამასთან ვერაფერს გახდა. ვერც პროკურორი აიყოლია, ყველაზე —
რი ძველებურად მიეღინებოდა.

მოკლედ, ძალამ აღმართი დახნა. ზურაბი იძულებული გახდა უკეთეს
შემთხვევას დალოდებოდა.

სწორედ იმხანად ქალაქის პროკურორი რთული ოპერაციის გამო
ლოგინს ხანგრძლივად მიეჭაჭვა. არც საქალაქო კომიტეტის პირველი
მდივანი იყო უკეთეს. დღეში, მწვავე სტენოკარდიული შეტევები ჰქონდა,
ექიმებმა ურჩის სამკურნალოდ ჩრდილო კავკასიაში წასულიყო.

ზურაბს შემთხვევა მიეცა დამოკიდებლად ემოქმედა. მოკლე დრო-
ში ბევრი საეჭვო საქმე და ჩახლართული კვანძი გახსნა, ბევრს გაჩენას
დღე აშევლინა. აშკარად იგრძნობოდა, რომ ქალაქში სხვა სიომ დაპერა.

ახალი ამბები საქვეყნოდ გახმაურდა.

სიხარულს სევდაც მოჰყა. ზურაბი ღვინის ქარხანაში მომხდარმა
შემთხვევამ შეაშფოთა. როგორც ირკვეოდა, ღვინის ფალსიფიკაციაში
მისი სასიმამრო ვლადიმერ დვალიც იყო ჩათრეული. ზურაბს აზრადაც
არ მოსვლია სამართალი გაემრუდებია და სასიმამრო დაეხსნა. ერთი აშ-
კარა იყო, ეს შემთხვევა ჩიქვივანებისა და დვალების ურთიერთობაში
სახიფათო ბზარს გააჩენდა.

მძიმე ფიქრები ოთარ ირემაძის შესვლამ გაუფანტა.

ზურაბი თანშეზღდილ მეგობარს მიეგება.

— წუხელ თბილისში არ წასულხარ? აյი, რედაქტორი გიბარებდა.

— ახლახან ჩამოვთრინდი.

— გამოგაგდეს? — გაეხუმრა ზურაბი.

ოთარი არ იყო ხუმრობის ხასიათზე.

— კრიტიკული წერილი დამავალეს. — ზედვე ეტყობოდა, რომ ამ
დავალების შესრულება უძნელდებოდა.

— ვინ გყავთ მიზანში?

— მთელი ქალაქი.

— მთელი ქალაქი? — ზურაბმა უნებურად გაიმეორა. ეს დავალება
ცუდად ენიშნა, უმალვე მამის დაქანცული, შეშფოთებული სახე წარ-
მოუდგა.

მამის შეცდომებს სხვაზე უფრო ზურაბი ამჩნევდა. ერთ-ორჯერ თა-
ვისი აზრიც გაუზიარა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია, პირიქით, შე-
ნიშვნამ დავითი ისე გაალიზიანა, მამა-შვილს შორის ბზარი გაჩნდა. „უმ-
წიფარი ბიჭი მე რას მასწავლიო“, მეხივით დაიქუხა დავითმა. ამის შემ-
დეგ ზურაბი ძალაუნებურად ერიდებოდა ახალ უსიამოვნებას.

ორი დღის შემდეგ ირემაძემ ზურაბს სტატია მიუტანა. წაიკითხეო,
შეთხოვა.

— წინასწარ რა საჭიროა, დაიბეჭდება და წავიკითხავ.

— წერილი იმათ ეხება, ვისაც შენ ებრძოდი, ვისაც ჭერის გამოსართვისა არ დაუთმია, იქნებ მცდარი დასკვნები გავაკეთე.

ზურაბმა წერილი გამოართვა. „ნომენკლატურული სავარძლება“, ასეთი სათაური ჰქონდა. მასში გადმოცემული იყო ქალაქში ბოლო წლებში მომხდარი დარღვევების, გაფლანგვების, მოშვებულობის მრავალი ფაქტი.

ზურაბი ჩაფიქრდა. მოყვანილი ფაქტები დავს არ იწვევდა, მაგრამ, ამავე დროს, წამკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს ქალაქში წლების განმავლობაში არაფერი გავეთებულა. ილაპარაკო მხოლოდ ხარვეზებზე და არაფერი თქვა მიღწევებზე, ზურაბს უმართებულოდ ეჩვენა.

ირემაძემ სტატია ზურაბის შენიშვნების მიხედვით გადააკეთა, მავრამ რედაქციაში მაინც კრიტიკულ მხარეზე გაამახვილეს ყურადღება.

წერილის გამოქვეყნებას თბილისის კომისია მოჰყვა. კომისიამ ხალხისაგან მრავალი მამხილებელი წერილი მიიღო.

ზურაბს არ უფიქრია, რომ შეიძლებოდა ახალ ვითარებას მამა გადაჰყოლოდა, ისევე, როგორც ბევრი სხვა გადაჰყვა, რომლებსაც წარსული თვითნებობისა და შეცდომებისათვის პასუხი მოსთხოვეს. ზურაბს არც იმაზე უფიქრია, რომ მოსალოდნელი სასჯელი, რომელიც დავითს ელოდა, ზურაბსაც მიაყენებდა ჩრდილს.

საერთოდ, ზურაბი ბოლო დროს ისე გაიხლართა ფიქრებში, გარკვევით ვერ ხედავდა, რა უნდა მომხდარიყო. ერთი რამ აშკარად ჩანდა, სტატიის გამოქვეყნება და კომისიის ჩამოსვლა საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს კარგს არაფერს უქადდა.

ნუთუ მამაჩემს შერცხვენა ემუქრება? — მწარე ფიქრი აეკვიატა. — მამაჩემის მიმართ ასეთი ნაბიჯი არ იქნება მართებული. მას ისეთი არაფერი ჩაუდენია, ზურგი შეაქციონ. მე მათ ადგილას რომ ვიყო, გონის მოვიყვანდი, ადგილს გამოვუცვლიდი, მის ცოდნასა და შესაძლებლობას ისევ საზოგადოების საქეთილდღეოდ გამოვიყენებდი. ადამიანის ბედზე ბევრი იწერება, მაგრამ, ზოგჯერ, სამწუხაროდ, ჩვენს პრინციპებს ვივიწყებთ და პიროვნების ბედს ისე ვათამაშებთ, როგორც კამათლებს. ამ მხრივ შეცდომებს უშვებდნენ, შეცდომები კვლავ მეორდება. შეცდომებს ახალი მსხვერპლი, ახალი გულგატებილობა, ახალი გაუგებრობა მოსდევს. ფაქტზე, სათუთ სულს, ზოგჯერ ტლანქი ხელით თელავენ, რამდენს დაუკარგავს რწმენა, რამდენი ააცდინეს სწორ გზას. რატომ უნდა ხდებოდეს ასე?

ქაბინეტის კარი ზურაბის სასიმამრომ, ვლადიმერ დვალმა შემოაღო. ზურაბი უნებურად წამოდგა. ვლადიმერის მოსვლა მოულოდნელი

ეჩვენა. მართალი რომ ითქვას, ზურაბი ცდილობდა ვლადიმერს ას შექ—
ვერდობდა, მისთვის სანუგეშო სიტყვას ვერ პოულობდა. დანაბაული ჩა-
დენილი იყო, ზურაბს მდგომარეობის შეცვლა აღარ შეეძლო.

— გამარჯობათ! — დვალმა ყრუდ ამოილაპარაკა. იგი გაფითრებუ-
ლი და გალიზიანებული ჩანდა.

ზურაბმა ხელი გაუშობდა და სკამი შესთავაზა.

ვლადიმერი სკამზე მოკვეთილივით დაეშვა, შემდეგ ცხვირსახოცი
ამოილო და ოფლით დაცვარული სახე შეიმშრალა. ზურაბმა შენიშნა,
რომ ვლადიმერს ხელი უთრობოდა.

ხანმოკლე დუმილი ვლადიმერმა დაარღვია.

— აღარ ვიცი, რას გზას დავადგე, ვის ვწვდე ყელში. გულახდილად
მითხარით, რას მიპირებთ?

ვლადიმერის კითხვა ზურაბს უცნაური ეჩვენა. „რას ვუპირებ? საკ-
ვირველია! მოფერებას ხომ არ ელოდება?“ გაიფიქრა. შემდეგ ცივად
უპასუხა.

— ამაზე ადრე უნდა გეფიქრათ.

— თქვენ გვონიათ, მე დამნაშავე ვარ? — ვლადიმერმა ისე გაბეჭუ-
ლად გაუსწორა თვალი, ზურაბი წუთით შეყყოყმანდა.

ზურაბს კამათი არ დაუწყია, მით უფრო, საქმის ირგვლივ მასალე-
ბის მოკვლევა ჯერ კიდევ ვრჩელდებოდა. რა აზრი ჰქონდა, ბრალდებე-
ბი წინასწარ წაეყენებია.

— გამოძიებას ახვლედიანი წარმართავს, საქმეს დაწვრილებით არ
გავცნობივარ.

— საწყობის გამგეს დაუშერია, თითქოს ყოველთვიურად ორას მა-
ნეთს მაძლევდა.

— დიახ, — თავი დაუქნია ზურაბმა.

— განა არ შეიძლება, ცილს მწამებდეს?

— ღმერთმა ჰქნას, — მძიმედ ამოილაპარაკა, — ძალიან მინდა იმ
ბინძურ საქმეში არ იყოთ გარეული. თუმცა, ამავე ღროს მეეჭვება, რომ
პასუხისმგებლობას თავი დააღწიოთ.

— ასე რატომ ფიქრობთ?

— ფაქტები თქვენს საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს.

— მე მესმის თქვენი მდგომარეობა, ვხედავ, რომ ჩემთან გულახდი-
ლი საუბარი გინძელდებათ. ეს მაინც მითხარით, რას მიპირებთ.

არ შეიძლებოდა იმ დამოკიდებულების უგულებელყოფა, რომელიც
ზურაბს დვალების ოჯახთან აკავშირებდა. არც იმის უფლება ჰქონდა,
ვლადიმერისათვის გზაკვალი აგნია. უმჯობესად მიიჩნია, სიმართლე-
პირდაპირ ეთქვა.

— გამომძიებელი თქვენს დაპატიმრებას მოითხოვს. საამისო საფუძველიც აქვს.

ვლადიმერი სკამზე შებარბაცდა. წონასწორობა რომ არ დაეკარგა, ხელებით მაგიდას დაეყრდნო. მას მკვდრის ფერი ედო.

— ძალიან გთხოვთ, მამათქვენის ჩამოსვლამდე ნუ დამაპატიმრებთ. — ხანძოკლე დუშმილის შემდეგ ძლივს ამოილაპარაკა.

— ამით რა შეიცვლება, მამაჩემი რას გიშველით?

— არის მიზეზი, რომელიც უშუალოდ მამათქვენს ეხება.

— მამაჩემი ორ კვირას ვერ ჩამოვა. გამოძიება თავისი გზით მიღის.

— უნდა მოითმინოთ, — ვლადიმერს მიმქრალ თვალებში ცეცხლი ჩაუდგა, — მე არაფერ შუაში ვარ, მე დამნაშავე არა ვარ.

— ის ყოველთვიური ორასი მანეთი? — ზურაბმა ისევ შეახსენა.

— დამიჭერეთ, იმ ერთადერთ ქალიშვილს გეფიცებით, მე არა ვარ დამნაშავე.

ეს სიტყვები ვლადიმერმა ისე გულწრფელად წამოიყვირა, ზურაბი გაოგნებული დარჩა.

— თქვენ, გეტყობათ, რაღაც სათქმელი გაქვთ, რაღაცას არ მიმხელთ. თქვენი მდგომარეობა ჩემს მდგომარეობასაც ართულებს. ყველაფერი მითხარით, იქნებ ჩიხიდან გამოსავალი გამოვნახოთ.

ვლადიმერმა ძალა მოიკიბა და უფრო გაბედულად ალაპარაკდა.

— დიახ, საქმე არა მარტო ჩემს ოჯახს, თქვენს ოჯახსაც ეხება. თუ გამიჭირდა, ჩემს სიმართლეს მთელს ქვეყანას გავაგებინებ.

მის ხმაში მუქარაც ისმოდა და თავდაჭერაც. ზურაბი ვერ ჩაწვდა, ვლადიმერს ისეთი რა უნდა ეთქვა.

— რაიმე მიზეზი თუ გაქვთ, რა თქმა უნდა, არ უნდა დაფაროთ.

— ვერც წარმომედგინა, ჩემი საქმე აქამდე თუ მივიღოდა. რაყი არ გინდათ მამათქვენს დაელოდოთ, მე სხვა გზა არ დამრჩენია, ყველაფერს გეტყით.

— გამომძიებელი არ დავისწოოთ?

— ჯერ თქვენ თვითონ განსაჯეთ.

ზურაბმა უჯრაში საგანგებოდ მომზადებული მაგნიტოფონი შეუმჩნევლად ჩართო.

— მე და მამათქვენი პირველი ქლასიდან ერთად ვსწავლობდით, საშუალო სკოლაში, როგორც იტყვიან, განუყრელი მეგობრები ვიყავით. შემდეგ არმაიში სამსახური, უმაღლესი სასწავლებელი, ომის ქარცეცხლი. ომის შემდეგ დავითმა საქალაქო კომიტეტში დაიწყო მუშაობა, მე ქიმიურ ქარხანაში, მოგვიანებით დავითი საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გახდა. იმხანად ღვინის ქარხანაში ჩახლართული საქმეები გაიხსნა. დამნაშავეები დააპატიმრეს. დავითმა მეგობრულდ მთხოვა, ღვინის ქარ-

ხნის დირექტორად ისეთ პატიოსან კაცს ვეძებ, როგორიც შენ უსახმია უარი ვუთხარი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. პარტია გავალებს, უნდა გაა-ქოთო, ოფიციალურად თქვა და თავისი გაიტანა. მუშაობის დაწყებილან სამითლე წლის შემდეგ გავიგე, რომ მთავარ საამქროში ღვინის ფალსი-ფირაციას ეწეოდნენ, სადღაც იარღიყებს აბეჭდვინებდნენ. ყველაფერი მამათვენს ვუაბდე. აღშფოთდა, ყველას ციხეში ჩავყრიო, დაემუქრა-რომ დამშვიდლა, იცით რა მითხრა? უკუღმართი ობიექტია. როგორც ჩანს, მაქ პატიოსნად მუშაობა არ ხერხდება... ესეც არ იყოს, ახლა მეც მიჰირს, მეუღლე ავადმყოფობს, შვილები უმაღლეს სასწავლებელში მო-ვაწყვე. მოგეხსენება, თბილისში საცხოვრებლად რამდენიც არის საჭირო-დღე ისე არ გავა, უცხო სტუმრებს სუფრა არ გავუშალო. პოდა, ჩემი ხე-ლფასი, ძმაო, ყველაფერს ვერ გაწვდა. მართალი გითხრა, სხვას ვერც ვენდობი, მოლი, ძმობა გამიშვი, ნურც მწვავს დაწვავ და ნურც შამფურს, იმ ბიჭებს ციხე ავაცილოთ, ცოტა შენც ისარგებლე და მეც მასარგებლე-მხოლოდ იმ პირობით, თუ არავინ გაიგებს და ის ბიჭები ლრმად თუ არ შეტობავენო. აი, რა შემომთავაზა... ჩათრევას ჩაყოლა ჯობსო, ნათქვამია-დავითს ვერ ვუღალატე, იმის იმეტიც მქონდა, ძალაუფლება ეპყრა, მთე-ლი ქალაქი მის ნებას ემორჩილებოდა, ვინ გაბედავდა მისი სურვილის წინააღმდეგ წასლას. ცოტა ხანი ხელს გავუმართავ მეთქი, ვიფიქრე, სა-ციხოდ არც ის ბიჭები მემეტებოდა. მოკლედ, საწყობის გამგე გავაფრ-თხილე, ჩემთვის ყოველთვიურად პაკეტით ორასი მანეთი მოეტანა, ტრე-სტის ხელმძღვანელები მთხოვენ მეთქი, ვუთხარი...

ზურაბი საკუთარ ყურებს არ უჯერებდა. ისეთი რამ მოისმინა, რა-საც ვერც წარმოიდგენდა. გამოდის, რომ საქალაქო კომიტეტის მდივანს ვლადიმერისათვის უფლება მიუცია საწარმო გაეძარცვა და წილი მისთ-ვისაც მიეცა, გამოდის, რომ ხუთი წლის განმავლობაში მზიას მამის კა-ყოფაზე ყოფილა, ქურდობითა და არამზადობით მონაგარი ფულით ცხო-ვრობდა. ოი, სირცევილო!

ზურაბმა სახე ხელებით დაითარა. მას ძალ-ღონე არ ეყო ვლადიმე-რისათვის თვალი გაესწორებია. დაუკეტელი ზიზლი ივრძნო იმ კაცის მიმართ, რომელმაც საშინელი საიდუმლო გაუმხილა. ნუთუ ეს დასაჭრე-ბელია?

— მთელი ის თანხა, — განაგრძო ვლადიმერმა, — მამათვენთან მი-მქონდა. ამის მეტი არც რაიმე მიმიღია და არც რაიმე მიმითვისებია. იმ-ხანად თქვენ და ჩემი მზია ერთმანეთს დაუახლოვდით. მართალი გითხ-რათ, მზიას არჩევანით კმაყოფილნი ვიყავით, გვეგონა, ჩვენს ოჯახში ბედნიერებას შემოიტანდით, მაგრამ, ემ...

ზურაბს ვლადიმერის სიტყვებისა ნახევარი არ ესმოდა, რაღაც კოშ-

მარულ ბურანში იყო ჩაძირული, სწორ ანალიზსაც ვერ უკეთებდა იმას, რაც ახლა მოისმინა.

— ყველაფერში მამახემი ყოფილა დამნაშავე. ჰოდა, რაკი დაშნაშავეა, პასუხიც აგოს. — უნებურად დაცდა ზურაბს. თავი ასწია, მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ.

— რაც თქვენ თქვით, ყველაფერი ეს სიმართლე თუ არის, — ზურაბმა ხმას აუწია, — მამახემს საზიზღარი საქმე ჩაუდენია, მაგრამ ეს პასუხისმგებლობას თქვენ ოდნავადაც არ მოგიხსნით.

— მე რა შუაში ვარ?

— ქრთაშს არა მარტო იღებდით, არამედ სხვასაც აძლევდით, განა ეს დანაშაული არ არის?

საუბარი ისე არ წარიმართა, როგორც ვლადიმერი მოელოდა. მას ეგონა, რომ ზურაბი მამისა და ოჯახის რეპუტაციის გადასარჩენად არაფერს დაიშურებდა. მაგრამ ასე არ მოხდა, ვლადიმერი ყინულის კედელს წააწყდა.

— მე არცერთი კაპიკი არ მიმითვისებია. მე ჩიხში მომაქციეს — გაბედულება შეემატა ვლადიმერის ხმას.

— თქვენ ბოროტმოქმედებს არამარტო მფარველობდით, არამედ ხელსაც უწყობდით, თქვენ პასუხისმგებლობა არ აგცდებათ!

ვლადიმერი დაგესლილივით წამოიჭრა.

— რაცა მჭირს, თქვენი ოჯახისაგან მჭირს. ამიტომაც გაფრთხილებთ, ან მამათქვენის ჩამოსვლას დაელოდეთ, ან გამოსავალი მონახეთ, თორემ არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე. ჩემს სიმართლეს ქვეყანას გავაგებინებ. თქვენ კი მზიას ხელს ვერ ეღირსებით.

ვლადიმერის ნაბიჯის ხმა დერეფანში მიწყდა.

* * *

მარტოდ დარჩენილი ზურაბი მძიმე ფიქრებში ჩაიძირა.

ნუთუ მამა ვლადიმერისაგან ქრთაშს იღებდა? ასეთ ცდუნებამდე რამ მიიყვანა? გაჭირვებაში არასდროს ჩავარდნილა, დიდი ხელფასი ჰქონდა, სხვა პრივილეგიებითაც სარგებლობდა, მეტი რალა უნდოდა? არიან ადამიანები, რომლებიც მეხუთედსაც არ იღებენ, ცხოვრება არ ულხინთ, მაგრამ სამარცხვინო გზას მაინც არ დასდგომიან, რაც აქვთ, იმითაც კმაყოფილი არიან. მაშ, მაშას რალა მოუვიდა, ფუფუნება გაუტკბა, მოხვეჭის სურვილმა გაიტაცა?

ტელეფონის ზარმა დაიშურიალა.

— ექვსი საათი სრულდება, არ დაიღალე? — ოთარ ირემაძე გამოიწვეოდა
ლაპარაკა.

სკვერთან შეხვდნენ ერთმანეთს.

— რესტორანში ვისადილოთ, — შესთავაზა ირემაძემ.

— არა, ჩემთან წავიდეთ, განმარტოება მირჩევნია.

ქუჩას დაადგნენ.

— რაღაც ხასიათზე ვერ ხარ.

— ღვინის ქარხნის ამბებში, როგორც ჩანს, მზიას მამაც არის ჩათ-
რეული.

— რას ამბობ, ზურაბ, საცოდავი გოგო დარდს გადაყვება.

— აღარ ვიცი რა გზას დავადგე. შაბათს, ორიოდე კვირით სემინარ-
ზე მოსკოვში მივდივარ, მზია თუ დამეთანხმა, თან წავიყვან. მართალი
გითხრა, ასეთ ვითარებაში არ მინდა აქ ვიყო. მოცლილთა ამბავი ხომ
იცი, რას არ ილაყბებენ. ამას ისიც ემატება, რომ ათი დღის შემდეგ მა-
მაც ჩამოვა. ამჯერად უმჯობესია იმასაც გავეცალო.

— მზია რატომ არ უნდა დაგეთანხმოს?

— დღეს ჩემთან ვლადიმერი იყო. ამ საქმეს თუ არ მიხედავ, მზიას
ხელს ვერ ეღირსებიო, დამემუქრა.

— აი, თურმე რას ებლაუჭება.

— გაკერპებულ მამას არ უნდა გაიგოს, რომ ამ ამბებს შეიძლება.
მისი ქალიშვილი გადაყვეს.

— მზია თან უნდა წაიყვანო. მეც ვურჩევ.

სახლში ზურაბს სერგო ბაბუა დახვდა, მოხუცი გაზეთებს ათვალიე-
რებდა.

ხელზე მოსამსახურე ქალმა სუფრა ათიოდე წუთში გაშალა.

— ეს ოჯახი გარეშე ქალის შემყურე სანამდე უნდა იყოს, შვილო?

— საყვედურით დაიწყო მოხუცმა.

— მართალს ამბობთ, ბატონო სერგო, — კვერი დაუკრა ირემაძემ.

— რა ვქნა, ბაბუ? — ზურაბს ღიმილი მოერია.

— შენი მაცქერალი ის ღვთისნიერი გოგო დაიტანჯა, რაღას ელო-
დები?

— კაცი იმეტით ცოცხლობსო, ხომ გაგიგონია. მეც ასე მომდის,
ბაბუ.

— ასეთი რა გიჭირს, გამაგებინე.

— ჩემი სატკიგარი შენ თუ არ გითხარი, სხვას ვის ვეტყვი.

— ჰოდა, თქვი, იქნებ მეც გაგიმართო ხელი.

— შენ ხომ იცი, მე და მამაჩემი მაინცდამაინც ვეღარ ვეწყობით

ერთმანეთს, არ მინდა ჩვენი დავის მოწმე მზია გახდეს, არც უფლებელი
ოჯახში შევალ ჰესიძედ. აი, რა დღეში ვარ.

მოხუცს ტკბილმა ლიმილმა გაუხსნა სახე.

— ამის უფრო ღმერთმა ნუ გაგიჭირვოს. ბინას მე დაგითმობ. მამა-
შენთან მე გადმოვალ. დე მამაშენის ოჯახი ვახტანგს დარჩეს, წესიც ასეა,
უფროსი შვილი სხვა ფუძეზე მკვიდრდება.

— ოჲ, ბაბუ, ისევ შენ თუ მიშველი.

— ვიცი, შენ არც ფული გექნება. ათასხუთასი მანეთი ჩემზე იყოს.

— ლარიბი კაცი ვარ, რომ ვერ გადაგიხადო?

— ღმერთმა კეთილად მოგახმაროს. მიქელგაბრიელს თუ მოვაგონ-
დი, მისთვისაც მაქვს შემონახული.

— რაკი ასე მწყალობ, საქმესაც დავაჩქარებ. ხვალ რომელიმე რეს-
ტორანში პატარა წვეულებას მოვაწყობ.

— მაშ, შენი ბეღნიერებისა იყოს! — ირემაძემ სასმისი აღმართა.

ჭიქები შეაწყვილეს. ბროლის წერიალი გაისმა.

კარი გაიღო. ოთახში დავითი შემოვიდა.

დავითის მოულოდნელ გამოჩენას სამარისებური სიჩუმე მოჰყვა.
იგი არცერთს არ მისალმებია, გამეხებული ჩანდა.

„ალბათ რაღაც განსაკუთრებული მოხდა, — გაიფიქრა ზურაბმა, —
თორებმ მკურნალობას არ მიატოვებდა. იქნებ გამოიძახეს, იქნებ სტატიაშ
გაახელა“...

— ეგ რა ლხინი გაგიმართავთ. ღმერთმანი, კარგი დრო შეგირჩევიათ,
— დავითმა რისხვით გადახედა მაგიდის ირგვლივ მყოფთ. წამით გაჩუმ-
და, სუფრასთან ირემაძე შენიშნა, თითქოს საკუთარ თვალებს არ უჭე-
რებდა, რომ იქ ოთარი იყო, მერყეობა სწრაფად დასძლია, იქითვენ გაე-
მართა.

— მაშ, ჩვენს ქალაქში ყველაფერი დახავსებულია? — ჯიბიდან გა-
კეცილი გაზეთი ამოილო და ცხვირწინ აუფრიალა, — მაშ, ნომენკლატუ-
რულ სავარძლებში ცოდვებით გატენილი ძეგბი სხედან და გამკითხავი
არავინ არის? ოჲ, შე მჯდაბნელო, მოგივლი თუ ვყოფილვარ დავით ჩი-
ქვანი.

— მამა! — აღშფოთება ვერ შეიკავა ზურაბმა.

— ხმა ჩაიკმიდე! — ცეცხლი წაეკიდა დავითს, — შენთვისაც მოვი-
ცლი. შენ კი, — ისევ ირემაძეს მიუბრუნდა, — აი კარები, ჩემმა თვალე-
ბმა არ დაგინახოს. — მისმა მოგუგუნე ხმამ ბროლის ჭალზე გამოსცა
ექო.

ოთარი სხვაგვარ შეხვედრას არც მოელოდა, რისხვაც უსიტყვოდ
აიტანა. მოხუც სერგოს თაფის დაკვრით გამოეთხოვა და გასასვლელისა-
კენ გაემართა. მას ზურაბიც მიჰყვა.

ნამგზავრმა დავითმა ხელპირი დაიბანა და სასტუმრო ოთახში დაბრუნდა. მოხუცი სერგო სავარძელში იჯდა. ზურაბი ჭერ არ ჩანდა.

მოხუცმა შენიშნა, რომ დავითს თვალები შემუპებოდა, ისე იყო ფერმიხდილი, თითქოს მძიმე რამ ავადმყოფობა გადაეტანა. მამა ნათლად ამჩნევდა, რაც შვილის სულში ხდებოდა. დიდებას იყო მიჩვეული, ეგონა მის ერთ სიტყვას შეეძლო მდინარის მიმართულება შეეცვალა, ზღვის ძალის დაპირისპირებოდა. ბოლო დროს, თითქოს ძალონისაგან დაიცალა, ნაკლებად უწევენ ანგარიშს, მაღალი ტრიბუნიდანაც რამდენჯერმე გააკრიტიკეს.

— ჭერ არ გელოდით, — სიჩუმე მოხუცმა დაარღვია.

— უმჯობესი იყო, სულაც არ წავსულიყავი.

— ცუდად დაისვენე? — თანაგრძნობით ჰკითხა.

— კისლოვოდსკში ჩვენი გაზეთები დაგვიანებით მოდის. ერთხელ ბაღში ვიჯექი. თბილისელი ნაცნობი კაცი მომიახლოვდა, გაზეთი გამომიწოდა და მითხრა, თქვენს ქალაქში მიწისძვრა მომხდარა და მნიშვნელოვანი ნგრევა გამოუწვევიაო. ვიფიქრე შეხუმრება მეთქი. წავიკითხე და ტვინში სისხლი კინაღამ ჩამექცა.

— ჰო, საქმაოდ მკაცრი წერილი იყო, მაგრამ თუ კი დაავალეს, ირემაძეს რა ექნა. ურიგო ბიჭი არ არის.

— ერთი დალაგებით მითხარი, ჩემს შემდეგ აქ რა მოხდა?

— მე რა უნდა გითხრა, ან ვინ რას მეკითხება. ზურაბი დაბრუნდება და ის გეტყვის.

— ზოგ რაიმეს მაინც გაიგებდი.

— ზოგი რამ ჰო, ვიცი, უნივერმაღში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში რამდენიმე ჩახლართული საქმე გახსნეს, თურმე ტექნიკურში მისალებ გამოცდებზე ჩალიჩობდნენ. ახლახან ღვინის ქარხანაშიც მიაგნეს კომბინატორებს, ღვინის ფალსიფიკაციას ეწეოდნენ, სადღაც ეტიკეტებსაც აბეჭდვინებდნენ. კრიტიკულ წერილს თბილისის კომისია მოჰყვა.

— მდააა... მართლაც, ცუდი ამბებია, — დავითმა თავისთვის ჩაილაპარაკა.

ოთახში ზურაბი შემოვიდა. იგი უსიტყვოდ სავარძელში ჩაჭდა.

თითოეული თავის ფიქრს მიეცა.

ხანგრძლივი დუმილი დავითმა დაარღვია.

— გამაგებინე, ღვინის ქარხანაში რა მოხდა, ვლადიმერს რა საფრთხე ელოდება?

ზურაბმა მოკლედ აუხსნა.



— წლების განმავლობაში ღვინის ფალსიფიკაციას ეჭვილებული
დიდ თანხებს ითვისებდნენ.

— მაგ ბენე საქმეში ვლადიმერიც მონაწილეობდა?

— საწყობის გამგემ აღიარა, რომ ყოველი თვის ბოლოს ორას მა-
ნეთს პაკეტით საწერი მაგიდის უქრაში ვუტოვებდიო.

— და თქვენ დაიჯერეთ? იქნებ იმ არამზადას განზრახული აქვს
ვლადიმერის ზურგს ამოეფაროს, ამაზე არ გიფიქრიათ?

დავითი მგზავრობით დაღლილი იყო, ახლა მას დასვენება სჭირდე-
ბოდა. ზურაბი კამათს არ შეჰკოლია, არც იმ ფირზე დაუძრავს სიტყვა,
რომელიც ჭიბეში ედო.

— შვილო, — საუბარში მოხუცი სერგო ჩაერია, — ნუთუ არ შე-
გიძლია ვლადიმერს შერცხვენა და უბედურება ააშორო? იქნებ, მართ-
ლაც, უდანაშაულოა. მაგ კაცზე ცუდი არასდროს გამიგონია.

— ამ ამბავს, ბაბუ, სხეაზე მეტად მე განვიცდი, რადგან იგი არა მა-
რტო ვლადიმერს, არამედ ჩვენი ოჯახის ღირსებასაც ეხება, მაგრამ რა
ვქნა, მართლმსაჯულებას წინ ხომ ვერ აღვუდგები. დანაშაული აშკარაა,
დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

— როგორც ჩანს, შენ ხელი არც მაშინ აგიკანკალდება, შენი ოჯახის
წევრის განაჩენს რომ წერდე. რამ გაგხადა, ბიჭო, ასეთი უსულგულო?

მამის მკვახე სიტყვებმა ზურაბს გული აუმღვრია, მაგრამ მაინც ეც-
ადა მშვიდად აეხსნა.

— ბოროტმოქმედს მფარველობა რომ გავუწიო, განა ეს ახალი და-
ნაშაული არ იქნება?

— რა ქვეყნის დამაქცეველი ვლადიმერია, ბიჭო. პატიმარს რა დაე-
ჯერება. თუნდაც ასე არ იყოს, შენ, ან მე ვლადიმერს შეღავათი რომ მი-
ვცეთ, ამას დანაშაულად ჩაგვითვლიან?

ზურაბი მიხვდა, დავითი საით უმიზნებდა, რა გზით ცდილობდა თა-
ვის დაზღვევას. დავითის განზრახვამ, ორმაგი თამაში გაემართა, ზურაბს
წონასწორობა დააკარგინა და მამას პირდაპირ მიახალა: — თქვენ ჯერ
ამ ბრალდებისაგან უნდა დაიცვათ თავი, რომელსაც ვლადიმერი გიყე-
ნებთ.

— რა თქვი? ბრალს მე მდებს? — დავითი სავარძლიდან აღშფო-
ოებით წამოიწია.

— ღიას, ბრალს თქვენ გდებთ.

— მე რა შუაში ვარ?

— ღვინის ქარხნის დირექტორობა რა ჩემი საქმე იყო, უარი ვუთხა-
რი, მაგრამ ვერაფერს გავხდიო.

— დირექტორად დანიშვნა, — ხმას აუწია დავითმა, — იმას როდი
ნიშნავს, რომ საწარმო გაძარცვოს, ხალხს ღვინის მაგივრად წყალი ასვას.

— მან სხვა, უფრო მძიმე ბრალდება წამოგიყენათ, აი რა შეკლაშებული
ჟულს.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს ვლადიმერთან დანაშაულებრივი კავში-
რი მქონდა. თქვი, რაც გაქვს სათქმელი, რას ელოდები!

— მე კი არა, ვლადიმერს აქვს სათქმელი, მას მოუსმინე. — ჯიბიდან
მაგნიტოფონის ფირი ამოიღო. როცა აპარატში ფირს დებდა, შენიშნა,
რომ ხელი უთროთოდა, მაგრამ ნაბიჯი უკვე გადადგმული იყო, უკან აღარ
დაუხევია.

— ეგ რა არის? — იყითხა დაეჭვებულმა დავითმა.

— დღეს ჩემთან ვლადიმერი იყო, ჩვენი საუბარი ჩავწერე.

ზურაბმა მაგნიტოფონი ჩართო.

„...აღარ ვიცი, რა გზას დავადგე, ვის ვწვდე ყალში. გულახდილად
შითხარით, რას მიპირებთ?...“

ვლადიმერის ხმა იცნეს. სამთავე სუნთქვაშეკრული უსმენდა.

ფირზე მთელი საუბარი იყო ჩაწერილი. საუბარი კი არა, ეს იყო უმ-
ძიმესი ბრალდება, საშინელი სინამდვილე, აღიარება იმისა, თუ როგორ
დაადგა ვლადიმერი დანაშაულის გზას. „...ეჰ, რაღა დროს თავის მართ-
ლებაა, — განაგრძობდა აღსარებას ვლადიმერი, — დავითს ვერ ვულალ-
ტე, საწყობის გმეგეს დავავალე, პაკეტით ყოველთვიურად ორასი მანეთ
მოეტანა, ტრესტის ხელმძღვანელებთან მიმაქვს მეთქი, ვუთხარი. იმ თან-
ხას ხელუხლებლად დავითს ვუტოვებდი...“

— პროვოკატორი, ცილისმწამებელი! — დავითის ხმამ მაგნიტო-
ფონის ხმა დაფარა, მაგრამ ეს ნახევარ წუთს გაგრძელდა. მაგნიტოფონი
ჯიუტად აშიშვლებდა სინამდვილეს. ახლა ყოველი სიტყვა, ყოველი ფრა-
ზა დავითს ძალონისაგან ცლიდა, ჩვილივით უსუსურს ხდიდა. მას,
მკვდრის ფერი დაედო, სახე სიმწრის ოფლით დაეცვარა.

ზურაბმა მაგნიტოფონი გამორთო. იგი ნათლად ხედავდა, ვლადიმე-
რის ყოველი სიტყვა დავითს როგორ უჭიგნიდა სულს. ამაზე დიდი ბრა-
ლდება, აღბათ, დავითს ვერც წარმოედგინა.

მძიმე, უხერხული ღუმილი ჩამოწვა.

— თავი მოგვეჭრა? — ცოტა ხნის შემდეგ მოხუცმა ყრუდ ჩაილა-
პარაკა.

მამის სიტყვებმა დავითი ბურანიდან გამოიყვანა.

— როგორ მიბედავთ?! — იჭექა დავითმა, — ეს საშინელი ცილის-
წამებაა, დავალი სასტიკად უნდა დაისაჭოს!

— ნეტავი მაგ ბრალდების გაბათილებას შესძლებდე. — ჩაილაპარა-
კა დაეჭვებულმა ზურაბმა.

— გაჩუმდი, ბიჭო, მე გასაბათილებელი არაფერი მაქვს, ცილისმწა-
მებელმა პასუხი უნდა აღოს.

— ოღონდაც, — ზურაბმა ღრმად ამოიხვენეშა და წასაკვლეული წამოდგა. — მტყუან-მართალს სასამართლო გაარკვევს.

— როგორ, — დავითი სახტად დარჩა, — სასამართლო პროცესზე იმ სულმდაბალთან დამაპირისპირებენ?

— თუ ვლადიმერი ამ ბრალდებას წამოგიყენებთ, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ შეისწავლიან.

— ვაი, სირცხვილო! — მოხუცმა შუბლზე იტკიცა ხელი. დავითს თვალები ისევ აევსო ცეცხლით.

— ხედავ, ბიჭო, რა დღეში ჩამაგდე?

— მე რა შუაში ვარ? — მიუბრუნდა მამას გაოცებული ზურაბი.

— ჰკუადმყოფელი ადამიანი უფსკრულს რომ წაწყდება, კი არ ვადაიჩეხება, შემოსავლელს ეძებს. შენ რა გზა გამონახე, უფსკრულში გადაჩეხვა გადაწყვიტე? დიღებას ეძებ, მაგრამ ნუთუ არ იცი, რომ დიღების მოსაპოვებლად საჯუთარი ოჯახის წევრები არ უნდა გასწირო?

— ცდებით, მამა, — შეედავა ზურაბი, — მე დიდებას არ ვეძებ. მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, ისევე, როგორც ყოველი პატიოსანი ადამიანი შეასრულებდა.

— საქმეც ის არის, კარგად ვერ ასრულებ, ცხოვრებას ალლოს ვერ უდებ. ოღონობლრო ქვეყანას ხელის ერთი დაკვრით ვერ გაასწორებ, ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა.

— ვიცი, ოღონობლრო ქვეყანას ვერ გავასწორებ, მაგრამ სადაც ხელი მიმიწვდება, იქ ბოროტებას არ გავახარებ.

— აი, აქაც ცდები, შვილო. — უკვე დაქანცული, არაქათგამოცლალი ხმით უთხრა დავითმა, — არც მე, არც ვლადიმერს ისეთი არაფერი გაგვიყეთებია, რომ სამსჯავროს წინაშე წარვსდგეთ. შენ ამ საქმეს თუ ვერ მოუვლი, მაშინ ჩამომეტალე, შვებულება აიღე და ერთი თვით სადაც გაემგზავრე.

გამის განზრახვას ზურაბი მთლიანდ ვერ ჩაწვდა. მიხვდა, რომ მამაშ რაღაც ახალი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ, რა, — ვერ გამოიცნო.

— ცეცხლს ხომ არ ეთამაშებით, მამაჩემო?

— ცეცხლი რა შუაშია?

— მეშინია, ძველ შეცდომებს ახალი არ დაამატო და უარესად არ გაიხლართო.

ეს კი დავითმა ველარ მოითმინა.

— ისე მეღლაპარაკები, თითქოს საქალაქო კომიტეტის მდივანი კი არა. შენი პატიმარი ვიყო. დამქანცა შენთან დავამ, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. უკანასკნელად გაფრთხილებ, შენ ან იშას გააკეთებ, რასაც მე გიბრძანებ, ან არა და, აი, კარები!

ხელი სადარბაზო კარებისაკენ გაიშვირა. დავითს ხელი დამბლადა კემულივით უცახცახებდა.

ზურაბი მოელოდა, რომ დავითი მომხდარი ამბებიდან საჭირო დასკვნას გამოიტანდა, საკუთარ შეცდომებს საღად შეაფასებდა, რესპუბლიკაში შექმნილ ამინდსაც ანგარიშს გაუწევდა, მაგრამ ეს არ მოხდა, ჯიუტად ძველ გზას ადგა, ისევ ძალაუფლებით სარგებლობდა, დანაშაულობათა მიჩქმალვას ცდილობდა.

ზურაბს სახლში გული ისედაც აღარ უდგებოდა, აღარ შეეძლო ასეთ ატმოსფეროში დარჩენა.

— კარგი, კარგი, წავალ, ასე ჯობს თქვენთვისაც, ჩემთვისაც.

— წადი, მომშორდი, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს, — კარებში დააწია მოთმინებიდან გამოსულმა დავითმა.

— შენ ნერვები გლალატობს, — უსაყვედურა მოხუცმა.

— რაც თავს მოესწრო, მაგისგან სითბო არ მახსოვს. ისე მექცევა, თითქოს მამინაცვალი ვიყო.

დავითმა ჯიბეზე ხელი მოიფათურა, ეტყობოდა, რაღაც წამილს ეძებდა, რაკი ვერ ნახა, სავარძლის საზურგეს დაეყრდნო, ძლიერდლივობით წამოდგა და საძინებელი ოთახისკენ ლასლასით გაემართა.

მოხუცმა შვილს შეშფოთებით გააყოლა თვალი. ასეთი არაქათგამოცლილი და გალიზიანებული არასდროს უნახავს. „რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, მამა-შვილი როგორ მოვარიგო?“ საგონებელს მიეცა.

ზურაბი შემოვიდა, ხელში ორი ჩემოდანი ეჭირა.

— შვილო, არ გეწყინოს, — მოხუცმა თან გასაღები გაუწოდა, — ერთ რჩევას მოგცემ.

— გისმენ, ბაბუ.

— ცოტა მამასაც გაუგონე. მაგ საქმეს თუ შემოევლება, შემოუარე, იქნებ უმჯობესია შენ გვერდზე დადგე, სხვამ გამოიძიოს, სხვამ დაამთავროს, ხალხიც ნაკლებს ილაჟბებს.

— ჰო, ბაბუ, რა თქმა უნდა, აჯობებს. მეც ადამიანი ვარ, შეიძლება შეც დავკარგო ზომიერება, ან მცდარი ნაბიჯი გადავდგა. უმჯობესია მე გვერდზე გავდგე, არც იმის წინააღმდეგი ვარ, თბილისმა გამოიძიოს. მხოლოდ, ის თუ დადასტურდა, რაც ამ ფირში წერია, იცოდე, მე და შენი შვილი ერთ ჭერქვეშ ვერ ვიცხოვრებთ, ასეთ სამარცხვინო ლაქას ჩვენ ვეღარასოდეს ჩამოვირეცხავთ.

— ხომ შეიძლება, ვლადიმერი აზვიადებდეს?

— რატომაც არა, ყველაფერი შეიძლება. მართლმსაჯულება ჭეშმარიტებას დაადგენს.

— ახლა შენცა და მამაშენიც ისე ხართ ნერვებმოშლილი, ჭკუა არც ერთს არ გეკითხებათ. ხომ ნახე, კაცი რა დღეშია. ყოველ სიტყვაზე, ყო-

ველ ნაბიჯზე წუ აყვები, მოერიდე, რაც ადრე წახვალ მოსკოვშე, სარტყე-
სთვის უმჯობესია.

— ზეგ წავალ, ბაბუ, მზიასაც თან წავიყვან, ერთ თვეს არ დავბრუ-
ნდები. — ფირი მოხუცს გაუწოდა, — ამ ფირს შენ გიტოვებ. კვლავ თუ
შეტოპოს, ჩართე და მოასმენინე.

— შენ კი გაიხარე, ჩემო ბიჭო, — ზურაბს გადაეხვია, — მაგ ფირ-
მა მოსვენება მეც დამიყარგა.

— მივდივარ, ბაბუ. — ზურაბს ხმაში ლმობიერება დაეტყო, — მაგ-
რამ რაღაც შიში თან მიმყვება. მიხედე შვილს, გულმა არ ულალატოს...

ჩემოდნებს ხელი წამოავლო და კიბეზე დაემგა. მას აღარ უნდოდა,
მომხდარ ამბებზე ეფიქრა, საკუთარ თავს ატყობდა, რომ საღად ვერ აზ-
როვნებდა. გადაწყვიტა, ჩემოდნები სერგო ბაბუას ბინაში დაეტოვებია
და სუტთა ჰაერზე გასულიყო.

ორიოდე წუთის შემდეგ სასტუმრო ოთახში დავითი დაბრუნდა, ხე-
ლში აბებიანი შუშა ეჭირა.

— წავიდა? — შემოსვლისთანავე იკითხა.

— წავიდა.

— არ იქნა, მაგ ბიჭის გული ვერ მოვიგა.

— მართალი არ ხარ, დავით. — შეედავა მოხუცი, — ზურაბმა რა
უნდა ქნას, ვლადიმერს გადაეფაროს? ქვეყანა ჩალით ხომ არ არის და-
ხურული?

— მე სამარეს რაღას მითხრის, ცოცხლად რად მმარხავს, ის ფირი
ხომ დამუხტული ყუმბარაა, რომლითაც მე უნდა ამაფეთქოს.

— ფირი მე დამიტოვა, — ლიმმორეულმა მოხუცმა სცადა შვილი.
დაემვიდებია, ფირი ხელში შეათამაშა.

— არ მომცემ?

— არა, მე შევინახავ.

— რად გინდა?

— ამ ფირის არსებობა შენ არ უნდა დაივიწყო.

დავითს გულზე მოეშვა, ეჭვი, შიში, უნდობლობა გაიფანტა, უფრო
საღად დაიწყო განსხა.

— მართალი გითხრა, ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შეიძლე-
ბოდეს, ალბათ, სულ სხვა გზით წავიდოდი, მაგრამ გვიანლა თითზე ქბე-
ნანი.

შუშა გახსნა, რაღაც აბი ამოიღო და გადაყლაპა. სავარძლისაკენ
წასულს, თითქოს მუხლმა უმტყუნა, ერთბაშად შებარბაცდა, რომ არ წა-
შცეულიყო, სავარძლის საზურგეს დაეყრდნო.

— რა მოგდის, შვილო. — შეშფოთებულმა მოხუცმა ხელი შეაშვე-
ლო.

— ფეხქვეშ მიწა მერყევა, მამა.

— ექიმს გამოვუძახებ.

— ალბათ, გამივლის. — სავარძელში ჩაეშვა.

— გამაგრდი, ბიჭო!

— თავი უძლეველი მეგონა, მაგრამ ასე არ ყოფილა. რაკი მამამ.
შვილმა, სხვებმაც შემომიტიეს, აშკარაა, ვცდებოდი. საკუთარ ძალაშია
ზედმეტად ვიყავი დარწმუნებული.

— ამდენიმა ბრძოლამ დაგქანცა.

— დამქანცა, მამა, დამქანცა. როგორც ჩანს, დროა ასპარეზი სხვას
დაუთმო, მაგრამ მინდოდა ეს ჩემი სურვილით მომხდარიყო, ზარზეიმით
წავსულიყავი.

— შენ კი არა, ამერიკის პრეზიდენტი გადააყენეს. ისეთი არაფერი
ჩაგიდენია, რომ სულ გაგწირონ. — დაუტკბა მოხუცი.

— მეც მაგის იმედი მაქვს.

— სიკეთე არ დაიკარგება.

— ეჰ, რა ვიცი. — დაქანცული, სევდიანი ოვალები მოხუცს მიაპ-
ყრო. — გუშინ გაზეთი რომ წავიკითხე, ცუდად გავხდი. გულმა აშკარად
მითხრა, მომეშვი, მეტი ალარ შემიძლიაო, რატომლაც შენთან, ბაღნებთან
მომინდა ყოფნა.

შვილის სიტყვებმა მოხუცს გული დაუთუთქა.

— ჭირსა შიგან გამაგრებაო, ხომ გაგიგონია. ძალა ახლა უნდა მოიკ-
რიბო.

— ეჰ, — ღრმად ამოიხვნეშა, — ცუდი კაცი არ ვიყავი, ვისზეც ხე-
ლი მიმიწვდებოდა, ყველას ვშველოდი. ხელისუფლება შემიყვარდა, ეს
იყო ჩემი შეცდომა. ნეტარებას ვგრძნობდი, როცა ვხედავდი, რომ ჩემს
ერთ სიტყვას შეეძლო მთელი ქალაქი ფეხზე დაეყენებინა. რას იზამ, ეს
ქვეყანა ასე ყოფილა მოწყობილი. იმის მიხედვით გაფასებენ, თუ რა
ძალას ფლობ. მეც ვცდილობდი მაჩანჩალად არ გადავქცეულიყავი. ჩემი
არსებობის...

საქალაქთაშორისო ტელეფონის გაბმულმა ზარმა სიტყვა გაუშივიტა-
ყურმილი მოხუცმა აიღო.

— დიახ, სახლშია... თბილისიდან რეკავთ? — ყურმილი დავითო გა-
დასცა, — გაიოზია, მეორე მდივანი.

დავითს ცუდად ენიშნა, ყურმილი ჩამოართვა.

— გისმენ, გაიოზ... — დღეს ჩამოვფრინდი... თბილისში გვიბარებენ?
რას გვერჩიან?... ცუდად მუშაობთო? რა გაეწყობა, ჩამოვალ, გულს ნუ
გაიტეხ, თავის დაცვას შევძლებთ, ვაშენებდით, ხომ არ ვანგრევდით... —
ადახლახებული ხელით ყურმილი ძლივს დასდო.

— როგორც ჩანს, საბრალდებო სკამზე უნდა დამსვან. ნუთუ უცემა — და კი გადაუსვეს?

წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო, ძალ-ღონემ უღალატა.

— გამაგრდი, ბიჭო, — მოხუცმა გამხნევება სცადა, — ომის ქარიშ-ხალს გაუძელი, ამ პატარა შეხლა-შემოხლას ვერ გაუძლება?

— ეს პატარა შეხლა-შემოხლა არ არის, მამა. ფეხი მწვერვალზე მო-მიცურდა, ქვევით უფსკრულია.

დავითი საკუთარმა სიტყვებმა შეაძრწუნა. მან თქვა ის, რაც წამით გაიფიქრა, მაგრამ ამავე დროს არ უნდოდა დაეჭერებინა, რომ შეიძლე-ბოდა მწვერვალზე ფეხი, მართლაც, დასცურებოდა...

— რა მოგდის, შვილო, — ერთიანად გადაფიტრებულ დავითს მიეჭ-რა მოხუცი.

დავითმა ხმა ვერ ამოიღო, სუნთქვა შეეკრა, თავი სავარძლის საზურ-გეზე გადაუვარდა, მკერდის სილრმეში საშინელი ტკივილი იგრძნო, თი-თქოს ვიღაც მკერდს უფლეთავდა.

— შვილო, არ დამღუპო! — აქვითინებული მოხუცი შვილის ფერ-თით, მუხლებზე დაეცა და ჯერ კიდევ თბილ მკერდზე მიეხუტა.

სავარძელში სიცოცხლე იფერფლებოდა.

* * *

თუ ღიმილი გაგიბედე,
იცოდე რომ თვალებს ვენდე,
შენ ხომ ცაზე უფრო წმინდა
თვალები გაქვს...
სულთა ხილვა შემძლებოდა,
გეტყოდი, რომ შენით ვენთე...
გეტყოდი, რომ ჩემი გული
ბარე მიგაქვს...

დაიცადე, დაიცადე,
ერთხელ კიდევ ბედი სცადე,
იქნებ ისევ შეგიყვარდეს ძველებურად,
რაღაც ძლიერ განვიცადე,
ისე მინდა შენი მწამდეს...
ალბათ გული მარტომბით დაიბურა.

თუ ღიმილი გაგიბედე,
იცოდე რომ თვალებს ვენდე,
შენ ხომ ცაზე უფრო წმინდა
თვალები გაქვს.
სულთა ხილვა შემძლებოდა,
გეტყოდი, რომ შენით ვენთე,
გეტყოდი, რომ ჩემი გული
ბარე მიგაქვს...

მ ხ ა ტ ვ ა რ ს

ჟვავილებს სთხოვე, ყვავილებს და მზეს,
ფუნქისთვის სათუთ ფერებს დათმობენ,
შაგრამ თუკი გწამს ფერის ხატობა,
ჭელი არ ახლო ცისფერ სინაზეს!

შეც ვეტრფი ფერებს — ვარდისფერს,
ზღვისფერს,
ოქროსფერს, მწვანე ფოთლებზე დაღვრილს;
შაგრამ ყველაფერს შენს მუზად გავხდი
თუ დამიტოვებ ამქვეყნად ცის ფერს.

* * *

შე სიყვარულის იმედით საფსებ
შენს ბოროტებას ავხადე ფარდა,
დაიმსხვრა ყველა სხვა სილამაზე,
ჩემი ლამაზი ლექსების გარდა.

დამწვარ რწმენასთან დამეწვა მსურდა
ლექსები ჩემი, უმანქო ცამდე,
შაგრამ ძალიან მაწამონ თუნდაც,
შე მინდა, მათი ბოლომდე მწამდეს.

* * *

შემომხედავდი, გული კვდებოდა
და თითქოს ფეხევეშ იწოდა მიწაც.
შაინც შეხვედრას გევეღრებოდა
სული ყოველი განშორებისას.

მახსოვს; თვალებში, მიმკრთალ თვალებში,
როგორც არასდროს სიჭაბუკეში,
თრთოდა უმანკო, უხმო ალერსი
და ესღა იყო ჩემი ნუგეში.

ღ ი მ ი ღ ი

ყველა ღიმილს ეძებს, ყველა...
ბევრი კარგავს ღიმილს, მერე,
მაგრამ მისი ისე სჯერათ,
ვით ზღვის ლურჯი სიელფერე.

ათასნაირ ღიმილს ვხვდებით,
ღიმილს — ძვირფასს, სასოებით...
სხვა ღიმილსაც ხომ აქვს სითბო,
მხოლოდ ჩვენვის გაჩნდა თითქოს.

* * *

մալլե ցածրացեսուլո մոցա,
 յառո ցաղցեծա սակլուս,
 Շենո և սոցարուլո մոմյլացս,
 Շենո և սոցարուլո դամլուս.

Ծովուտ ցամոչպացեծո թիւս գա
 տուշուս արց ցիւնու նոնա,
 Սուլ ար ցմուրուցա դեզաս:
 „Եռմ ար ցատեռցացեծո նոնա“.

Եղերաց ցատենցեծս զուլաց,
 Շազալ Շեցամյուծեն նեցեծո,
 Աջրե մալնեց մշազու ուզազ,
 Եկլա շունառու եցեծո.

Զոնաց ցառուրուս, լմերտուտ,
 Ընենո մոշոնցեծաց ցիւցս,
 Շեն թյ մոմյուրունու մյերդուտ,
 Ցյուզո մալնեց լուման լույսեծս.

Տույո հյեմո մունի ցայրա,
 Թիւյմեսաց դաշուղցեծո ծաթեծս,
 Շորո Շլոս Ծյուզուլցեծսո, Ցացրամ
 Ախալ Ծյուզուլցեծսաց ծագեծս.

Նոտծուս և սոցարուլո մոչպացս,
 Եղոնձաս ցամարուլցեծո մոնենուս,
 Ցեռլուց և սոցարուլո մոմյլացս,
 Ցեռլուց և սոցարուլո մոկենուս.

* * *

მამალმა იყივლა და გაათენა,
 სოფელი წამოდგა და გაიზმორა,
 მოხუცმა ბალიში გამისწორა,
 „გაკეთდა ხალხი — ადე ნენა!“

ვისთვის უკანასკნელ გათენდება,
 ვისთვის გაღვიძება ადვილია,
 მოხუცი ყოველთვის აღრე დგება,
 მოხუცის დღეები დათვლილია.

მე კი მოვესწრები იუდავ,
 მე კი მოვესწრები ლამის ტეხვას,
 მოხუცი სასტიქად ჭიუტობს,
 მოხუცმა ჩხუბი ამიტეხა.

თმებში მწვდა, მესმა არაოდეს,
 თვალის სეირია არნახული,
 მამლის ყივილზე რომ თენდებოდეს,
 მერცხალს რომ მოჰყავდეს გაზაფხული.

კაცი ოხერი რომ აღარ იყოს,
 ქალს რომ არა ჰქონდეს წყევლის ნიჭი,
 მაშინ ძეირფასებო, (ჩვენში იყოს),
 მაშინ საყვარლებო რაღა გვიჭირს.

ვდგები, რა თქმა უნდა საწყენია,
 მზეც კი გამოსულა საბალახოდ,
 პო, ნაომარო პაპის ცხენო,
 ობლად დარჩენილო ყაბალახო.

* * *

„ხათუნებს“

ახლა ორკესტრი კინტოურს ახვევს,
 ახლა იწყება ჩემი წვალება,

მე მომეჩვენა — შენ დამიძახე,
 დაღუმდი, მაგრამ გაგთქვეს თვალებმა.

მუსიკას ტანჯვის დემონიც ახლავს,
 (იუდას გვამი ზიდონ ვერხვებმა)
 მე შემიძლია ვიცეკვო ახლა...
 „ტანგო“ ან „ტვისტი“ არ მეხერხება.

შენთვის ვარდების თაიგულს ვტრავდი,
 სიყვარულია სიცოცხლის ალფა,
 შენა ხარ ნეოარისტოკრატი,
 მე კი „ქუჩის ბიჭს“ მოვგევარ, ალბათ.

გული გაუძლებს ნერვიულ კოცონს,
 მაგრამ ვგრძნობ საზღვარს გადააბიჯე,
 თან მეკითხები — „რომელი მოგწონს
 ალენ დელონი თუ კიკაბიძე?!“

აუტანიათ ტანჯვა იობის,
 (ჩემთვის ვიშროა თქვენი საყელო)
 შეხედე სუფრას, (რის მსახიობი),
 რამდენი გმირი ზის უსახელო.

„ოჰ, გაუმარჯოს გრძნობას უჭინობადს!“ —
 ჭიქას მაწვდიან ყრმობის გიუები,
 შენ კი, ძვირფასო, ვიღაც უცნობთან,
 ალენ დელონთან მეპატიუები.

* * *

როს გაავდრდება, იგრძნობ სიცივეს,
 აგითრთოლდება როცა ტუჩები,
 როს ატირდები ტკივილებისგან,
 მაშინ მოვალ და ჩაგეხუტები.

შოგეფერები, როგორც პატიას
და ამოგიშრობ თვალებში ცრემლებს,
გადაიდარებს, შენ გაჩუმდები;
გამიღიმებ და მე წავალ მერე.

ქარები და ფოთლები

ქარები სიყვარულს უხსნიან ფოთლებს და
ოქროს კოშკს ჰპირდებიან ცაში,
ნაღვლობს დედა ხე; ვაითუ მიენდოს და
ვაითუ დამელუბოს ბავშვი.

იცის დედა ხემ ქარების ეშმაკობა,
მაგრამ ეს არ ესმით შვილებს,
შორდებიან დედას და ქარებს ანდობენ
თავიანთ სიყმაწვილეს.

სურვილი არის ოქროს კოშკისკენ და
ფართატით ეშვებიან, აზიზ!
„არა უშაგსო, — ამშვილებენ ქარები, —
ეს არის ცხოვრების ფასი“.

რა ტკბილი იყო და სიცოცხლის მწამლავი
მანძილი ზეციდან მიწამდე,
მერე კი რა მოღის, ტალახის საფლავი,
ეხ, დედის რატომ არ ვიწამეთ?!

შაჟარ აომანაძე

ვ ა ს ვ ა ბ ი

სამი წელია შინ არ ვყოფილვარ და ჩემი სოფელი ძალიან შეცვლილი
მეჩვენა...

კანტორიდან ჩვენს სახლამდე მხოლოდ საურმე გზა ადიოდა, მერე
როგორი გზა, წარმოიდგინეთ, ურემი რომ ურემია, იმასაც უჭირდა.

ჯარში მამაჩემის წერილი მივიღე, ჩვენი სოფელი მეორე სოფელს
დაუკავშირდა სამანქანო გზით, ეს გზა ჩვენს ჭიშართან გადისო.

მართლაც რა გზა გაუყვანიათ. სწორედ ისეთი, ურთ დროს მთელი
სოფელი რომ ოცნებობდა!

მივდიოდი ამ ფართო გზაზე და ოვალს ვეღარ ვაშორებდი ფერდო-
ბებზე შეფენილ ციტრუსოვანთა ბალებს, ჩაის პლანტაციებს. შემოდგო-
მის დაუდეგარი სიო არხევდა ხეთა ტოტებს და ირგვლივ მწიფე ხილის
სურნელი იდგა. იქ, ჩრდილოეთში კი ოვალი და ყინვა დავტოვე.

სახლს ვუახლოვდებოდი.

მაგრამ, სანამ სახლში მივიდოდი, ერთ ტოტებგასხეპილ, ნახევრად
უოთლებგაცვენილ თხმელის ძირში შევჩერდი.

ის მოზრდილი ქვევრის ნატეხები, რომელიც მაშინ მე და მამაჩემმა
აქ ვიპოვეთ, ისევ აქ ეწყო, მხოლოდ. ტრაქტორს გზის გაყვანის დროს
ცოტათი ყვითელი მიწა მიეყარა.

მე ამან სამი წლის წინანდელი ამბავი მომაგონა.

* * *

მალე ჯარში უნდა წავსულიყვავი.

ჩემს მეტი ვაჟი არ ჰყავდა მამაჩემს და, რა თქმა უნდა, ჩემზე ამო-

დიოდა მზე და მთვარე. არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ ვატყობლი, უჭირდა და. ძალიან უჭირდა ჩემი დაშორება.

ერთხელ, დილით, ბოსტანში ჩამიყვანა და გზისპირას, ფერდობზე ეკალ-ბარდებით დაფარულ ერთ პატარა მიწის ნაკვეთზე მიმითითა. აქ კენტად აღმართულიყო ტოტებშესხებილი ბერი რცხილა და ეკალ-ბარდები ცამდე აეტანა.

— ეს ნამდვილად ჩვენი სირცხვილი კი არის, ნოდარ, — მითხრა მამამ. — ხომ ხედავ როგორ ირთვება და ლამაზდება ჩვენი სოფელი. მალე. მგონი, ერთ მტკაველ ცარიელ მიწას ვეღარ ნახავს ჩვენთან კაცი... ჰოდა, ეს რა არის, ეს რა გვიდგას ეზოში! ეს ხე მოვთხაროთ, გავწმინდოთ აქაურობა. ჰოდა, მერე, მანდარინი ან ჩაი გავაშენოთ.

იქვე კოლმეურნეობის კანტორის მახლობლად სამანქანე გზა გაჰყავდათ. მამაჩემმა ტრაქტორი ითხოვა, გამოვუბით ხეს და ძირფესვიანად მოვთხარეთ.

და ხის ამონათხარ ორმოში ვეებერთელა ქვევრი აღმოჩნდა.

საკვირველი ის იყო, რომ ამოდენა ქვევრს ისე ჰქონდა თავიდან ბოლომდე შემოხვეული რცხილის ფესვები, როგორც ბაღე.

ჩვენს სოფელში ცნობისმოყვარე ხალხია და ვინ არ მოიყარა თავი, როცა ეს ამბავი გახმაურდა.

მეზობლის ბიჭებმა ხის ფესვები შემოაჭრეს და ძველთაძველი ქვევრის ვეებერთელა ნატეხები ამოალაგეს. ეტყობოდა, ქვევრი ახლა, ხის მოთხრის დროს გატეხილიყო.

სახეგაბრწყინებულმა მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს. მერე ერთმა მათგანმა თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა და თქვა:

— შეხედეთ, ჩვენებური ქვევრი!.. სადაც ეს იყო, ვენახიც იქნებოდა; მაგრამ სოფელს იმდენი ჭირ-ვარამი გადახდა, ვაზიც თან გადაჰყა. აბა აქ უშინ სად იყო ციტრუსები, ჩაი, ტუნგი... ესენი ხომ ჩვენს დროში გავაშენეთ.

— პო, როგორც საქართველოს ბევრ სხვა კუთხეში, აქაც უშინ მხოლოდ მეცხოველეობა და მევენახეობა ყოფილა განვითარებული, — ჩაურთო ტანდაბალმა მოხუცმა, რომელსაც ისმეილას ვეძახდით. — მაშინ თურმე აქ ბევრი ჭიშის ვაზი ყოფილა გაშენებული.

— პირველ რიგში ვენახი რატომ მოსპეს? — ცნობისმოყვარეობით იყითხა ერთმა ჩემმა თანატოლმა ბიჭმა.

თეთრწვერა მოხუცმა დინჯად დაიწყო:

— რატომ და მუსლიმანს ეკრძალებოდა ღვინო, თურქს კი უნდოდა ჩვენში მუსლიმანური სარწმუნოება დაემკვიდრებინა. ჰოდა, პირველ რიგში ვენახი აჩეხა. იმ ოჯახს, რომელშიც ღვინოს აღმოაჩენდნენ, დედაბუდიანად სპობლნენ და ანადგურებდნენ. რა უნდა ექნა ხალხს. სიმწრით

მოწეულ ღვინოს ხომ არ გადაღვრიდნენ! და აი, ასეთ ეშმაკურა ტესტს მოჰყოფების გართეს: ვეებერთელა ქვევრებში ჩასხეს ღვინო და თავი მაგრად დაუცეს, შემდეგ კი, თურქს რომ ვერ მიეგნო, ქვევრის თავზე რცხილა დარგეს. საღაც რცხილაა, იქ სინესტე ნაკლებია. ღვინო კარგად ინახება. სჭეროდათ, თურქები მალე წავიდოდნენ და შემდეგ გემოზე მოილენდნენ...

სულგანაბულნი უსმენდნენ მოხუცს. მერე, როცა საუბარი დაამთავრა. ვკითხე:

— ამ ქვევრში თუ იქნებოდა ღვინო?

— როგორ არა!

მე უნებურად შევხედე მამას. ქვევრის ნატეხებს დასცემურდა და რაღაცნაირი იდუმალი ღიმილით იღიმებოდა...

* * *

ჯარში მამა მწერდა: გზის გაყვანის დროს, ჩვენი ეზოს მახლობლად ვიპოვეთ ქვევრი, მთელი ქვევრი, დავისმარე მეზობლები, ამოვილეთ, სხვა აზგილას ჩავფალეთ და ახლა შიგ ღვინო მისხიათ. ჯარიდან რომ დაბრუნდები, მთელი სოფელი იმ ღვინით უნდა ვაქეიფოო.

* * *

ეზოში შესულს პირველი მომეჭრა დედა. ტიროდა და იცინოდა, მკოცნიდა და მეცვეოდა, სიხარულის ცრემლებით მისველებდა მექრდს. მერე მამაც გამოვიდა, ჯერ ხელისგული მიიფარა შუბლზე, ისე გამომხედა და მერე დინჯი, მოხომილი ნაბიჯებით გამოეშურა ჩემკენ.

— როგორ ხარ, მამა! — ვკითხე და გადავეხვივ.

— მე რა მიჭირს, შენ როგორ ხარ, ბიჭო?

— მე რა მიჭირს, მამა!

— ლმერთმა ნუ გაგიჭირვოს შვილო ნურასოდეს... დაბრუნდი არა?!

— კი, დავბრუნდი, მამა, დავბრუნდი.

...მერე, როცა მაგიდას მიეუსხედით და მამამ ჭიქებში კამკამა ღვინო ჩამოასხა, გამახსენდა და ვკითხე:

— ნაწილში რომ წერილი მოიწერე, ის ქვევრი სად ნახე?

მამამ ღვინით სავსე ჭიქა დადგა და დინჯად დაიწყო:

— ჩვენი ჭიშკრის ზემოთ რომ დიდი, ბებერი რცხილა იდგა, ხომ გახსოვს შვილო?

მე უხმოდ დავუქწიო თავი თანხმობის ნიშნად და ახლა გამახსენდა. წელან იმ გზაზე რომ ამოვიარე, ხეს ვერ მოვკარი თვალი.

— მოჭერით?

— ჴ, შეილო, მოვჭერით, ხელს უშლიდა გზას. ჯერ მოვჭერი, მერე ვიფიქრე, შეიძლება ამის ძირშიც აღმოჩნდეს ქვევრი მეთქი და აღმოჩნდა კიდეც. ამ სოფელში ბევრი რცხილის ხეა და ბევრმაც იფიქრა, მოდი, მოვთხრი, იქნებ ქვევრი ვნახოო, მაგრამ კაციშვილმა ვერ ნახა ვერაფერი. შხოლოდ ჩვენ, ჩვენ ვნახეთ ორჯერ და ერთხელ მეჯიდამ, ეზოს რომ თხრიდა.

— იმ ქვევრებში ღვინო ხომ არ იყო?

— ღვინო არა, მაგრამ ყურძნის დამჭვნარი მარცვლების მსგავსი კე ვნახეთ რალაც...

ნასაღილებს მამამ ვენახში ჩამიყვანა.

— ა, შეილო, ჩვენი ვენახი! წელს არა, მაგრამ მომავალ წელს მგონი ნიშანს იზამი... შენ რომ გაგაცილე, ერთი კვირის შემდეგ ჩამოვიტანე ნერგები. აქ მანდარინის ბალი უნდა გამეშენებინა, მაგრამ, ქვევრი რომ ვნახე, ვენახი დავაშენე.

— რა ჯიშისა? — ვკითხე.

— ძველად აქ თურმე ყველაზე უფრო ჩხავერი ხარობდა და მეც ჩხავერი დავრგი. ასე რომ, წინაპართა საქმე გავაგრძელე. — მხარზე და მადო ხელი და განაგრძო: — შენს ქორწილს ჩემი ეზოს ღვინით გადავიხდი.

მე არაფერი მითქვამს, მიხაროდა და ვილიმებოდი.

* * *

იმ საღამოს მეზობელ-ნათესავებით აივსო სახლი, გაიშალა სუფრა და წავიდა ლხინი.

პირველი საღლეგრძელო მამამ დალია. მან სინათლეზე გახედა ღვინით სავსე ჭიქას, ჩაახველა და დაიწყო:

— ჩვენს ათას ჭირ-ვარამ გამოვლილ მამულ-დედულს გაუმარჯოს, შის ლონიერ ფესვებს გაუმარჯოს, რომელიც სულს გვინახავს, გულს გვიხარებს, ჯიშ-ჯილაგს გვიმაგრებს...

მამამ კიდევ ბევრი თქვა გულისა, ჩემი დაბრუნებისა, ჩვენი სოფლისა და ჭიქა გამოსცალა, სველ ტუჩებზე ხელი გადაისვა და დაჭდა.

0306 გაიღაი

ჩ ვ ა ხ ი მ ხ რ ი ვ

ეს ამბავი ასე მოხდა. გამომიძახა ერაყელ თავმჯდომარებ და ტყავი გამხადა. ვდგავარ, კრისტი ვერ დამიძრავს, ერთ წერტილს მივშტერება-ვარ. ვიცი, კარგ საქმეზე არ დამიძახებდა. ბოლო დროს ნამეტანი მოვეშვი, თუმცა ამაში ჩემი ბრალი არც ისე დიდია. სოფელში* კარგა ხანია ვცხოვრობ, გამიმრავლდნენ ნათესავები, მოყვრები. ერთს ძეობა აქვს, მეორეს — დღეობა, მესამეს არმიაში აცილებენ, იქ კიდევ ქორწილია. „მოდი თავი შევიქციოთ“... არ წახვალ, ეწყინება, მეორეხელ არც დაგიძებს.

ჰოდა, ვუსმენ უხმოდ. სად იყო და სად არა, კაბინეტში ხმაურით შემოიჭრა ჩვენი კოლმეურნეობის ექსპელიტორი როდიონ ნესტოროვიჩი. ქალაქში მიდის, საბუთების ხელმოსაწერად შემოირბინა.

— შენ რა, დემიდ, მართლა ზორბად სვამ? — მეკითხება. — თუ ირგებ?

თავმჯდომარებ შემომხედა: — ამ ბუღას სირჩა მოერევა? მაგ ავტო-სარწყულებელთან უნდა დააყენო.

ნესტოროვიჩი თავმჯდომარეს ულიმის.

— ლარივონ ხრისანტიოვიჩ, მოდი, დღეს ჩემთან წამოვიდეს!

— რაო?

— ხომ მოგეხსენებათ, მე წვეთს ვერ ვსვამ, აქ კი ასეთი ამბავია... ჩვენი მხრივ ვიღაც ხომ უნდა იყოს...

თავმჯდომარე ჩაფიქრდა, ნაოჭები გაუჩნდა.

— კარგი, არ დაინახოს ჩემმა თვალებმა. — ბრაზით ხელი ჩაიქნია.

„რა ჭირად ამიკიდა ახლა ნესტოროვიჩმა? ეტყობა, მარგებელი ჭირია, რაკი თავმჯდომარე ასე იოლად შემეშვა. ჰოდა, თუ დავიმსახურე, 45 სასჯელიც კეთილსინდისიერად უნდა მოვიხადო“, — ასე ვფიქრობდი.

ჩავედით ქალაქს. როდიონ ნესტოროვიჩმა უზარმაზარ სახლთან დაკავშირდა მაყენა, მომიცადეო. ვუცდი საათს, ვუცდი მეორეს, ვუცდი მესამეს თქვენც არ მომიკვდეთ. ნაბახუსევზე თავი მისკდება, ყელი გამიშრა, კუჭი მეწვის. ხალხი პორთფელითა და ჩანთით ამ უზარმაზარ შენობაში შერბის და გამორბის, ჩქარობს, მე კი მუხლი ვერ გამიმართავს, ძელსკამზე ვზივარ. „ამდენ ხანს რომ მეხნა, ახლა ბარე სამი ჰექტარი მექნებოდა ამბორუნებული“, — ვასკვნი ფიქრში. ბოლოს ნესტოროვიჩიც გამოვარდა სახლიდან.

— გვეშველა, დემიდ! მოვაჭახრაკე! ო, რა გაეხარდება ბიჭება! აბა, წავიდეთ დასატვირთავად.

— ჯერ ხომ არ წაგეხემსა ცოტა, — შევთავაზე.

— ო, არა. გავიქცეთ ბაზაში, იქ ისეთი საქმეა, ვინც მოასწრებს...

მანქანით სწრაფად მივედით ბაზაში, ყველაფერი სრულად მოგვითვალეს, ხელიც მოგვაწერინეს. ნესტოროვიჩმა შვებით ამოისუნთქა და ოფლი ჩამოიწმინდა. მერე და არ იტყვით! მე ვტვირთავ, ის კი ოფლად იღვრება. „მეშინოდა, — ამბობს, — ვინმეს ცხვირი არ ჩაეყო ამ საქმეში — ამხელა სიმდიდრე ერთ კაცს როგორ ჩაუვარდა ხელთ. სამკალი კარს მოგვდგომია, კომბაინის დეტალები იქროდ ფასობს“.

— ახლა კი შინისაკენ! — ვეღარ ვითმენ მე.

— შინისაკენ? დაიცა. მთავარი საქმე წინ გიდევს. ახლა რესტორანში წავალთ, — მიჩურჩულებს.

ვიფიქრე, ნესტოროვიჩი მატყუებს-მეთქი, მაგრამ არა.

— შენ ამ საქმეში, — მეუბნება, — ახალგაზრდა ხარ, არაფერი გესმის. ჰოდა, იცოდე, იმ ხალხს მაღარიჩი უნდა გადავუხადო, აი ეს რომ გაგვიკეთეს, — ავტომანქანის გაჭედილ ძარაზე მიუთითებს.

— იმ ხალხს სად ნახავ, ქარხნებში არიან, საამქროებში, — ვიცინი.

— შენც ერთი! გაგვიკეთეს — ეს ნიშნავს გამოგვიწერეს, გაგვიფორმეს. არც სიმართლე დაგვიკლია, არც სიცრუე. კაცი უნდა ხერხი იყო, გაგქონდეს და გამოგქონდეს. შენ იცი, სმა არ შემიძლია, ჩვენი მხრივ კი ვილაცამ ხომ უნდა ასწიოს ჭიქა.

— მაგრამ რომ არ მოვიდნენ? იქნებ მოგვერიდონ?

— ოჰო, მოგვერიდონ! მოვლენ. ოლონდ აი რა — არაყს კი არ დავლევთ, არამედ ყველაზე ძვირფას კონიაკებს, შენ კი ცოტა კულტურულად მოსვი, ბურახივით ნუ მოხრუპავ. დელიკატესებსაც ნუ დაეძალები, კუჭისაც ვერ გამოიძღებ, მამასისხლად კი ფასობს... ნახევარი ლიტრი კონიაკი გადახუხე — გინდამც ორი ცენტნერი ხორბალი გაგნიავებინოს, ასი გრამი ხიზილალათი ყელი ჩაიკოლოზინე, — ასე ჩათვალე, მთელი ბიდონი რე გადაგესხას. ჰოდა, ნუ გაიბერები, შინ ჩახეთქე...

სამნი მოვიდნენ, მარა რა მოვიდნენ. ისეთი ზორბები იყვნენ, გუთან-

ში გამოდგებოდნენ. ერთი მათგანი, ვილის მექანიკი რომ თქვა, მათ ცუკლი გოლიათს ჰეგვდა. მხარებეჭიანი, ფართოყბიანი, მუცლიანი. ეს წერტილი იყო, თან კი შეგირდები ახლდა — თოდოსი და რომანი — ასაკითაც უმცროსნი და გაბარიტითაც მცირენი. მაგრამ ყოველი მათგანი ხეს მოთხრიდა ძირიან-ფესვიანად. თოდოსის ყურები კისრის ქონებში უცურავდა.

სამივე მოხერხებულად მიუჯდა მაგიდას და მოურიდებლად დაუკვეთეს ოფიციანტს სასმელი და საჭმელი. ჩემი ნესტოროვიჩი თავის კანტურს ვერ აუდიოდა.

ოფიციანტსაც არ დაუყოვნებია. ნახევარ საათში მაგიდა აავსო. ჩიტის რძეც არ აქლდა.

ნესტოროვიჩი ჭიქას ავსებს და წარმოთქვამს:

— თქვენ გაგიმარჯოთ, ამხანაგებო, მრავალუამიერ!

ნესტოროვიჩმა ბაგე შეახო ჭიქას და დადგა. „ამხანაგებმა“ კი ერთი ყლუბით დასკალეს. მერე, მოგეცა ლხენა, დააბრუნეს დოლაბები და ფქვეს და ფქვეს ზედიზედ, რასაც კი მისწვდნენ. ჩახეთქვაში ვინ მაკობებს, მაგრამ ამათთან სად მივიდოდი!

გაძლნენ და წყურვილიც მოიკლეს „ამხანაგებმა“. მერე მუსიკა დაუკვეთეს, გოგოები საცეკვაოდ გაიწვიეს. ულაყებივით ახვივინდნენ. საწყალი ნესტოროვიჩი კი ხურდას ათამაშებს და დანა პირს არ ულებს.

— შემთხვევით თუმნიანი ხომ არა გაქვს, — მეკითხება, მუსიკოსებსაც ხომ უნდა გადავუხადოთ!

— არა უშავს, გადავუხდით, — ვეუბნები, — იმხიარულონ. ჩვენი მხრივ ტყუილად კი არა ვარ აქ.

გული იჯერეს „ამხანაგებმა“, ყელამდე სვეს და ჭამეს, მუსრი გაავლეს სანოვაგეს, პირი მოიწმინდეს, ტუჩები მოილოკეს.

— ბიჭებო, შინ, — თქვა ვილიმ, — სინდისიც კარგი საქონელია.

თითქოს უბრძანესო, სამივენი წამსვე ადგნენ.

— ერთი წუთით, — შევაჩერე, — მოითმინეთ, ჯერ არ დამთავრებულა.

— შემწვარი ხბო არ მოგაქვთ? — მოიტათ! — იცინის რომანი.

— ხბო კი არა, შეიძლება მოზვერიც მოჰყვეს, ახლავე ნახავთ.

მოვუხმე ოფიციანტს. ანგარიში მაგიდაზეა.

— აბა, ბიჭებო, მოიქექეთ ჯიბეები, — ვეუბნები, — სწრაფად, გვაგვიანდება, შორი გზა გვაქვს.

ვერ წარმოიდგენთ რა მოხდა! დაწითლებული ცხვირები უმალ გაუფითრდათ, მერე დაულურჯდათ, ბოლოს სანთლის ფერი დაედოთ.

ნესტოროვიჩი მკლავზე მექაჩება.

— ხუმრობს, ამხანაგებო, — ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ამ საქმეს ჩვენ თვითონ მოვუკლით, — ლულლულებს.

მე კი ფეხს არ ვიცვლი. გადაიხადონ! მუშტი მოვიღერე, გადმოვკარკლე:

— ფულები მაგიდაზე! შენ, ვილი, ხუთი ცენტნერი ხორბალი შესან-სლე დღეს აქ. შენ, თოდოს, შვიდი ბიდონი რქე გადაუშვი სტომაქშა, შენ კი, რომან, მთელი ბუღა გადაყლაპე, ვინ გადაიხდის?

იკადრეს „ამხანაგებმა“ ჯიბეების მოქექვა, საათებიც მოიხსნეს. გა-შუწული წიწილებივით მოიბუზნენ.

— დაიხსომეთ, — ვეუბნები, — სხვის ლუკმაზე ნერწყვი ნუ მოგ-დით, თორემ მეორეხელ „ჩვენი მხრივ“ მარტო კი არ გეახლებით, მთელ ბრიგადას მოვიყვან...

უკრაინულიდან თარგმნა
გრიგოლ სიხარულიძე

შოთა ჩოიძე

ამ პიცნი ერა გერმანეთის

ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული ატმოსფერო იცნობს სახელებსა და გვარებს, რომელთა ნაწერებს ხელალებით აქებენ ან აკრიტიკებენ. მიმდინარე პროცესში მოქმედი მწერლის ხელალებით ქებას, ყველანი თვალნათლივ ვხედავთ, რომ სარგებლობა არასოდეს მოუტანია, პირიქით, აღათ, ეს არის ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი ღიღი ნაკლი. მისი გამოსწორება ადვილიცაა და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ ჩვენს ბეჭდვით ორგანოებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი მის დასაძლევად; ძნელია იმიტომ, რომ ამ საშუალოების შინ ეღობება და ხელოვნურად აფერხებს ცალკეულ მწერალთა მიკერძოება. ეს აზრი მარტო მე არ მეკუთვნის. იგი ნათლად ჩანს მწერალთა ყრილობების მასალებიდანაც. არიან მწერლები, რომელთა

ნაწარმოებებს, კარგსაც და ცუდ-საც, ხელალებით აქებს ჩვენი კრიტიკა. ქვეყნდება ნაწარმოებები, რომლებზეც კრიტიკა ხმას არ იღებს, და თუ იღებს, ამ შემთხვევაშიც ეძებს მხოლოდ ნაკლ. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ზოგჯერ რესპუბლიკის პერიფერიებში შექმნილ კარგ ნაწარმოებსაც კი გზა გადაღობილი აქვს რესპუბლიკურ უურნალ-გაზეთებისა თუ გამომცემლობების რედაქციებში. აქ მაგალითებს აღარ მოვიშველიებთ, რადგან ეს საკითხი ცალკე მსჯელობას და, დავა-მატებ, სერიოზულ მსჯელობას მოითხოვს. ამ წერილის მიზანი სულ სხვაა. მინდა ჩემი შთაბეჭდილებები გავუზიარო მკითხველს ბათუმში გამოცემული ერთი მოთხოვბის შესახებ, რომელსაც „უტა ბერმუხეთელი“ ჰქვია. მისი ავტორი გიორგი ლორთქიფანიძე

იმ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს, რომლის ნაწერებს ხელაღებით არც აქებენ და არც აძაგებენ. ოლონდ კამათობენ. ჩემი აზრით, ეს არის მისი ყველაზე უფრო დამახასიათებელი და დადებითი მხარე.

„უტა ბერმუხეთელის“ ანოტაცია გვაუწყებს, რომ მოთხოვის მთავარი გმირია უტა საყვარელიძე, ბერმუხეთელთა კოლმეურნეობის თავეაცი. იგი გაბედულად იბრძვის ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ. მწერალი დიდი მოქალაქეობრივი გულისტყივილით ამზეურებს ჩვენს ცხოვრებაში შემორჩენილ ავსა და მანკიერ მხარეებს, გვიხატავს უტა ბერმუხეთელის დიდი ჰუმანიზმით აღსავს პიროვნებას, მის სულიერ სამყაროს, რომელსაც განუკურნებელ იარად აზის ომის ქარცეცხლში განცდილი და გარდახდილი, გვიჩვენებს როგორ უნდა იბრძოდეს კაცური კაცი ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის; ამ ბრძოლის ფონზე ნათლად ჩანს, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი კომუნისტი.

ეს მოქლე ანოტაცია, ვფიქრობ, მცირე დაზუსტებას საჭიროებს, რა ოქმა უნდა, კარგი გაებით. როცა მწერლობაში სიტყვა ჩამოვარდება ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე, მისი პათოსის და სულისკვეთების შთაგონებაა რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში გატარებული ღო-

ნისძიებანი. ამ ღონისძიებებმა ბევრ ქართველ მწერალს შესცალა თემა და იდეა. რაც შეეხება „უტა ბერმუხეთელის“ ავტორს, იგი აღრეც შეეხო ამგვარ მოვლენებს. მკითხველი იცნობს გლორითჭიფანიძის ნაწარმოებებს, რომლებიც ამ მოვლენების წამოწყებამდე, გაცილებით ადრე დაიწერა, დაისტამბა და რომლებშიც მკვეთრი ასხვა ჰპოვა იმ „მამა-პაპური სულის მოდუნების გამო“ შექმნილმა სოციალურმა მოვლენებმა, რასაც ახლა მთელი ჩვენი ხალხი ებრძვის. ანოტაციაში ვკითხულობთ „...მწერალი დიდი მოქალაქეობრივი გულისტყივილით ამზეურებს ჩვენს ცხოვრებაში შემორჩენილ ავსა და მანკიერ მხარეებს...“ ვფიქრობ, უფრო მართებული იქნებოდა „შემორჩენილის“ ნაცვლად, დავვეწერა ერთ დროს „დამკვიდრებული“.

მოთხოვის მთავარი მოქმედი პირები უტა საყვარელიძე და ლურმიშხან წეროძე ერთი თაობის, ერთნაირი საზოგადოებრივი მოვლენების მონაწილე ადამიანები არიან, მაგრამ მათი საქმიანობა და აღგილი საზოგადოებაში ისე კონტრასტულია, როგორც ცა და მიწა. სწორედ მათ გარშემო ტრიალებს ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა და კონფლიქტი, რაც გამოხატულებას პოულობს მრავალწახნაგოვან კოლიზიებში. კონფლიქტი უტასა და დურმიშხან შორის სამამულო ომის წლებში მოხდა. მაშინ როცა

მთელი ქვეყანა მოწოდებული იყო სამშობლოს დასაცავად, დურმიშხანი მტრის მხარეზე აღმოჩნდა იოსებ კოლუაშვილის სახელითა და გვარით. ომის წლებში მომხდარი კონფლიქტი კულმინაციას აღწევს დაახლოებით ოციონუახუთი წლის შემდეგ. ორდენებით მკერდდამშვენებული უტა საყვარელიდე ბერმუხეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, ხოლო მოლალატე იოსებ კოლუაშვილი, ახლა დურმიშხან წეროძე, ერთ-ერთი პერიფერიული ქალაქის დიდი სამშენებლო ტრესტის მმართველია. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ომის შემდგომ პერიოდს ეხება, მისი ნაწარმოების შინაარსს განსაზღვრავს ომის შედეგები; უტა ოციონუახუთი წლის შემდეგ სცნობს მოლალატეს. ყალბი სახელი და დიდება მოუპოვებია, თანამდებობა, ფული, ტკბილი ცხოვრება...

უტა დაეჭვებულია: — „ნუთუ ის არის?“ — ეკითხება თავის თავს, როცა დატოვა ტრესტის მმართველის კაბინეტი.

უტა ბერმუხეთის მზრუნველი თავაცია, ვერ შერიგებია იმ ფაქტს, კულტურის სახლისა და უნივერმალის მშენებლობა შუაგზაზე რომაა მიტოვებული. რა არის ამის მიზეზი? ცხადია საზოგადოებაში ფეხმოკიდებული ნეგგატიური მოვლენები, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მექტამება, ძმაკაცობა, ზემოდან მფარველობა და კიდევ მრავალი სხვა. სოფელში ახალმშე-

ნებლობის საქმეს წინ, გადაედობა ბა სამშობლოს მოლალატე, ოშის დეზერტირი. აქ შეიძლება მკითხველს დაებადოს კითხვა — არის თუ არა ეს დეტალი რეალური? შეიძლებოდა თუ არა სინამდვილეში ასე მომხდარიყო? არის თუ არა მწერლის ფანტაზია ცხოვრების რეალური გარემოთი ნაკარნახევი და კიდევ მრავალი სხვა.

ამ კითხვაზე პასუხი ერთია: „უტა ბერმუხეთელი“ ასახავს სინამდვილეს. ეს ძალიან მარტივი ჭეშმარიტებაა და მაინც საჭიროებს განმარტებას. რეალური სურათის ასახვა ცხოვრების უმთავრესი ამოცანაა და შეიძლება შეგვეკამათოს მკითხველი — რაა აქ საგანგაშო და სატრაბახო, თუ მოთხრობაში რეალური ცხოვრებაა გადმოცემულიო. თუ კა გამოჩნდება ვინმე ასეთი ოპონენტი, წინასწარ ვუპასუხებ, რომ ცხოვრებაც არის და ცხოვრებაც, რეალობაც არის და რეალობაც, ცხოვრების ცალკეული დეტალებიც არის და პრობლემებიც. მკითხველს ახსოვს გალაკტიონის სიტყვები: „დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს ეს წელიწადი, დღე და საათი“. აქ დიდი პოეტი ლექსის დაწერის დროს კი არა, ეპოქის დამახასიათებელ ვითარებას გულისხმობს. დიდი ილიას შეეძლო „ოთარაანთ ქვრივში“ ცალკეულ დეტალებში მოეცა ბატონყმობის სურათები, მაგრამ იგი ამით არ კმაყოფილდება. „ოთარაანთ ქვრივი“ იმიტომ შეიყვარა ხალხმა, რომ იგი პრობ-

ლემატური ნაწარმოებია და ბატონიშვილის სურათის ექვირისული აღწერით არ კმაყოფილდება. „უტა ბერმუხეთელს“ რომ ვკითხულობთ, ვხედავთ, რომ მწერალი იდეურ-თემატური და ემოციურ-მხატვრული ფაქტორებით ახერხებს ჩაგვახედოს იმ ვითარებაში, რაც სუფევდა ოც ისე შორეულ წარსულში, თუნდაც ჩვენა ქალაქში თუ ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე. მარტო რად ღირს ეპიზოდი საოლქო კონტეტის პირველი მდივნის შალვა სალაძის კაბინეტში. აქვე არიან მეორე მდივანი მატუა (მარკოზი), უტა საყვარელიძე და სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილე ელგუჯა ჩხაიძე. პირველი მდივანი შალვა სალაძე ღადებითი პიროვნებაა, საქმის ერთგული და პატიოსანი, მაგრამ რატომლაც სადავები ხელთ უპყრია მატუას. ეს გასაგებიცაა. მას მფარველები ჰყავს ზემოდან და მისი სიტყვა კანონია. მისმა „კანონიერმა“ სიტყვამ დასვა სამშენებლო ტრესტის მმართველად სამშობლოს მოღალატე, მექრთამე და ზნედაცემული დურმიშხან წეროძე, საგზაო სამმართველოს უფროსად კუჭუხიძე და სხვა მრავალი. პირველი მდივანი სალაძე პატიოსანი კაცია, ზემოდან მხარს უჭერენ მეორე მდივანს — მარკოზს (მატუას), რომლის საქმიანობა კარგად არის ნათელი მკითხველისათვის. ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ეს

იმ სოციალური მოვლენის წარმატებისადან უჯანცდა ჩვენი რესპუბლიკის პატიოსანი მმრომელი მოსახლეობა და რაც ჯერ კიდევ საგრძნობლად აფერხებს ჩვენს წინსვლას კეთილშობილური მიზნისაცნ. გამომდინარე აქედან ნაწარმოების იდეა ნათელია: ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ჯერ კიდევ დროა საჭირო, რომ ამაღლდეს მმრომელი ხალხის რწმენის კედელი, რომ ჯერ კიდევ ადრეა ვიხმაროთ გამოთქმა „უახლეს წარსულში არსებული ნეგატიური მოვლენები...“ ნეგატიური მოვლენების ერთი ხელის დაკვრით აღმოფხვრა არ შეიძლება, მას დრო სკირდება და თანმიმდევრული, სერიოზული მუშაობა. უტა ბერმუხეთელის დიდმა ნებისყოფამ და შალვა სალაძის წრფელმა პარტიულმა დამოკიდებულებამ დაამარცხა ბოროტება და დურმიშხან წეროძე სამშენებლო ტრესტის მმართველის სკამიდან ბრალდებულის სკამზე გადაიყვანა. დღეს ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან არა-ერთი მაგალითის მოტანა შეიძლება, როცა თანამდებობის პირს თანამდებობა ბოროტად გამოუყენებია და მექრთამების გამო გაუთავისუფლებიათ და არანა-ლებ თანამდებობაზე დაუნიშნავთ. ვთქვათ დურმიშხან წეროძე გადაეყვანათ მშენებლობის ან ვაჭრობის მინისტრად, ცხადია, ეს იქნებოდა რესპუბლიკაში მო-

რალური, კლიმატის გაჭანსაღები-
სათვის ბრძოლის გზიდან გადახ-
ვევა და უტა საყვარელიძეც მო-
რალურად გატყდებოდა. ჩვენ
გვპირდება ისეთი ადამიანები,
როგორიც უტაა, პატიოსანი, მარ-
თალი, შეუპოვარი, უშიშარი,
ქვეყნისა და ხალხის ერთგული.
ყოველივე ეს ის თვისებებია, რაც
უნდა ახასიათებდეს ჭეშმარიტ.
კომუნისტი. ვიყოთ გულშრფელი
და ვალიაროთ: ვართ კი ყველანი
ასეთი? — რა თქმა უნდა არა. მე
ჩემი თვალით მინახვს და ყუ-
რით გამიგონია, რომ უტასავით
შეუპოვარი და მებრძოლი პირო-
ვნება ინტრიგანად მოუნათლევთ.
ცხადია, უტა საყვარელიძე გამო-
რჩეული ადამიანია და ყველას არ
ყოფნის ის პიროვნული ძალა,
ბოლომდე მისდიოს სიმართლის
საქმეს. უტა ერთადერთია მოთ-
ხრობაში (ხოლო ცხოვრებაში
ერთობ ცოტანი), რომელმაც
სძლია ადამიანური სუსტი თვი-
სებები და მასში გაიმარჯვა ძლიე-
რმა პიროვნებამ. ამიტომ იგი
ფართოდ განზოგადების ღირსაი.

ჩვენს ლიტერატურაში დიდი
ადგილი აქვს დათმობილი უბრა-
ლო, მშრომელი ადამიანის სახეს,
მაგრამ ხელმძღვანელის პრობლე-
მის ჭერ კიდევ ცოტა ვინენ შეხე-
ბია. ხელმძღვანელი ქმნის კოლე-
ქტივში კლიმატს, რაზეც დიდად
არის დამოკიდებული კოლექტი-
ვის წევრთა განწყობილება. ხელ-
მძღვანელის კულტმა ჩვენს თვა-
ლებს ფარდა ჩამოაფარა და ზო-
გვერ ველარაფერს ვხედავთ, ისე

მოიციდა ფეხი წლების მანძილზე
ყალბმა ტაშმა და პათოსმა.

— კი მაგრამ, ხარიტონ, ეს
მაჩვენებლები და ციფრები საყ-
ვარელიძის წყალბა კი არ არის,
მთელი სოფლის ნაჯაფია. გლეხი
წლიდან წლამდე მიწას ჩაჰერიკი-
ტებს, რგავს, აშენებს, ნახნავ-
ნათესს შვილივით ეფოფინება,
მშრომელ კაცს ამაგი წყალში კი
არ უნდა ჩავუყაროთ. მართალია,
შეიძლება არ იყვირონ, მაგრამ
გული მაინც ეტკინებათ, ჩვენ
დღედაღმა ოფლს ვლვრით, წელ-
ში ვართ გაწყვეტილი, ორდენებ-
სა და მედლებს კი უფროსები
ირიგებენ.

კოპალეიშვილმა სიგარეტს მო-
უკიდა, გააბოლა და ჩაილაპარა-
ქა:

— შენ, ასე ფიქრობ?
— ჰო, ეს ასეა. ზოგჯერ უბრა-
ლო, თავმდაბალ, მშრომელ კაცს
არ შეუძლია ზოგიერთივით ენა
პირსახოცივით გადაიკიდოს მხარ-
ჩე, საკუთარი თავი განადიდოს
და თვალშიც არ გვეჩრება. ამათ
კი ჩრდილში გავიქნევთ, დავივი-
წყებთ და ასე გვვონია, რაკი უფ-
როსები ვართ, ყველაფერი ჩვენ
გვეკუთვნის, ჩვენ რომ არა, ქვე-
ყანა დაიქცევაო. ხარიტონ, მე
რომ მკითხო, აქ გამრჯე, უჩინარ
ადამიანებს სჭირდება წახალისე-
ბა.

— უტა, — ისევ ჩაილიმა ხა-
რიტონმა, — ჭერ ერთი, ეს მარ-
ტო ჩემი აზრი არ არის. მეორეც,



ას სოფლიდან ბარე ათამდე კაცუ წოუწევს გილდოები. ასე რომ, ასე კაცი ხარ, დაწყნაოდი, ვინ რა უადა თქვენ.

— არა, ხარიტონ, მე და შენ გამოობა არ გვეკუთვნის!

ეს დიალოგი მრავალმხრივ სა-
ყურადღებო და სინტერესოა.
ხარიტონი რაიკომის პირველი
მღივანია. უტამ იცის მისი საქ-
მიანობის ბევრი წვრილმანი, ამი-
ტომ მწერალი საცხებით მართა-
ლია, როცა ხალხის განწყობილე-
ბას გვიხატავს უტას სახით. უტა
პირში ეუბნება მდივანს, შენ
ვისრობა არ გეკუთვნისო. ეს მა-
შინ, როცა ზოგიერთი ბიუროკრა-
ტი ხელმძღვანელის საშუალებით
ჩვენში დამკვიდრდა აზრი, რომ
არ შეიძლება რაიკომის მდივნის
გარიტიკება. საქმარისი იყო ეს
გეთქვა მდივნისათვის და ხვალ
სამუშაო უნდა გეძებნა. მწერა-
ლმა გადალახა ფესვგადგმული მა-
გნე შეხედულება და ხმა აღიმალ-
ლა ყოველგვარი მოჩვენებითი
პათოსის წინააღმდეგ.

— კი, ბატონო ჩემო, ღმერთ-
მა შეარგოს ყველას. რა მაქვს სა-
წინააღმდეგო, მაგრამ რომ გაი-
ხი, გეგმის ოთხმავად ასრულე-
ბსო, ან კალდებულება ორმაგად
და სამშავად გავანაღდეთო, ეს კი
ვერ გავიგე, ჯერაცენა!

— რატომ, კაცი თუ მოინდო-
მებს, ყველაფერს შეასრულებს,
რა არის აქ გაუგებარი და დასაბ-
ნევი?

— რა არის და, მე ჰქონებით ვატყუებთ ერთმანეთს!

უტამ კარგად იცის ვინ არის
მტყუანი და ვინ არის მართალი,
ვინ ვის ატყუებს და რატომ. მას
კარგად მოეხსენება რომ გეგმა,
რომელიც რეალურ საფუძველს
ემყარება, ოთხმაგად არ შესრუ-
ლდება, ამიტომ ვერ შერიგებია
ყალბი გმირების მომრავლების
ფაქტის.

ეს ისეთი სავალალო ფაქტია-
რასაც ცველა ხედავს, ხელმძღვა-
ნელი მუშაკიც, მწერალიც და
მკითხველიც, მაგრამ ყველას არ
აქვს უტა ბერმუხეთელის ვაჟკა-
ცობა, რომ თვალი გაუსწოროს
სიმართლეს. სწორედ აქ ვლინ-
დება მხატვრული ნაწარმოების
დანიშნულება და ცხოველმყო-
ფელი ძალა.

ბერმუხეთის კოლმეურნეობას
200 ტონა ტუნგის ჩაბარება დაა-
ვალდებულეს, მაშინ, როცა სო-
ფელში ტუნგი სულაც არ იყო.
უტა საყვარელიძეს დიდი შეხლა-
შემოხლა მოუხდა ხელმძღვანე-
ლებთან, რომ მოეხსნათ ტუნგის
გეგმა. საქმე იმაშია, რომ უტას
წინამორბედი თაგმჯდომარეები
ამ გეგმას გადაჭარბებით ასრულ-
ებდნენ, საიდან? ცხადია, გეგმა
სრულდებოდა მხოლოდ ქაღალ-
დზე.

სოფლის მეურნეობის სამინის-
ტროს საგეგმო განყოფილებაში
რომ ექრაფერი გააწყო, უტა მი-
ნისტრს ეახლა: „მაღალი, მხრებ-
ში მოხრილი, ნახევრად გამელო-
ტებული და პირგრძელი იასონ

ბარაბაძე, გრძელ, მსუქან თითებს ყავსაფრად მოსარეულ მაგიდაზე ათამაშებდა, თანაც თვალმოჭურული უსმენდა უტის, ეჭვიანად ილიმებოდა ულვაშებში და უარის ნიშნად თავს აქნევდა.

საყვარელიძეს მოთმინება აღარ ეყო.

— ჯერ სოფელში გაიარ-გამოიარეთ, ჩამოდით, ნახეთ, დარწმუნდით, ეს დასაწვევი რას ვახარებთ და რას ვერა იმ მიწაზე. კოტა თავიც გაანძრიეთ და ისე დაეგემეთ მოსავალი... ჩაიზე და ციტრუსებზე ხომ არ ვამბობთ უარს.

— უტა, უთავგზურობას გვწამებ? — ჩაუკრა მინისტრმა.

— დიახ, ეს' უთავობაა. თქვენ გინდათ თავი გამოიჩინოთ, გაქონ, გადიდონ და ხალხი წელში გაწყდეს? არა, იასონ, ასე არ გამოვა!

— რას იზამ, — მშვიდად ჩაურთო იასონმა, — გეგმა კანონია!

— არ გედავები, მაგრამ სასწორის სისწორე ამწონზე ჰქიდია. აკაც იმხელა ტეირთი უნდა აპეირო, რამდენსაც გაწვდება და აზიდავს. ჯანიანი კაცი ჩახნარ იასონ. მაგრამ ვინც არ უნდა გიბრძანოს, მთას მხარზე ვერ მოიდებ. შენ საქმე თქვი, თორებ შესრულე ამხანაგოს კიუინი ადვილია».

აქ ამით ვკმაყოფილდებით და საილუსტრაციო მასალას აღარ ვავაგრძელებთ. მოტანილი მასა-

ლიდან საკმაოდ კარგია, რომ მწერალი ზუსტად და გეგმაზომიერად იყენებს დეტალს, როგორც პერსონაჟისა და ცალკეული ეპიზოდის თუ სიტუაციის დახასიათების საშუალებას. ციტირებულ დეტალში ჩადებულია შეტად დამახასიათებელი სოციალური და, ამავე დროს, ფსიქოლოგიური შინაარსი: ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს პერსონაჟის სულის მოძრაობის მიმართულებას.

სსგულისხმოა, რომ მწერალი მხატვრული ტიპიზაციის საშუალებით იყენებს ამა თუ იმ გარემოსა ან პერსონაჟის სიტყვიერ დახასიათებას, რაც დატვირთულია მხატვრული დამაჯერებლობით. თითოეულ პერსონაჟს აქვს მეტყველების საკუთარი მანერა და გარკვეული ინტიმაცია. უტა საყვარელიძე არასოდეს არ იტყვის „რას დამჩხავი ბაში-ბუზუკივითო“. ეს დურმიშხან წერძის პიროვნების შესატყვიისა. დურმიშხანი არ იტყვის და არც ექნება ამისი სიტუაცია, რომ თქვას „ასე გინდათ ააშენოთ ქვეყანა!“ მგონი მკითხველი მიმიხვდა რისი თქმა მსურს.

და ბოლოს, ისევ უტა საყვარელიძე. იგი ნამდვილი რაინდული ნაბიჯებით შემოდის ნაწარმოებში და ასეთივე ნაბიჯებით მიდის ბოლომდე. რამდენჯერმე ტერორიც კი მოუმზადეს, მაგრამ ამანაც ვერ გადაახვევინა ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის გზი-

დან. ამ გზაზე მას მხარში ამოუ-
დგა შვილობილი უტა ანდრეევი.
ამ პერსონაჟის შემოყვანით მწე-
რალმა კიდევ ერთი ნათელი შე-
ჰქმატა უტა ბერმუხეთელის სახეს.
საინტერესოა მოთხრობის ფინა-
ლი: „ახლა ანდრეევიც (ტერენტი
ანდრეევი — შ. ჯ.) გულლიად
შესცინოდა და ეფოფინებოდა
უტას, ოღონდ ხმის ამოღება უჭ-
ირდა...“

და ამ დუმილში... ცრემლიანი

თვალებიდან ჩანჩქერივით იღვ-
რებოდა ენით გამოუთქმელი უს-
აზღვრო სიყვარული, ერთგულე-
ბა, სითბო, განცვიფრება, მაღ-
ლობა და ოწმენა კაცისაღმი, რო-
მელმაც ასე გაუბედურებული,
ხელჩაქნეული ანდრეევი მეორედ
გააცოცხლა და ცხოვრებას დაუ-
ბრუნა“.

ასეთია „უტა ბერმუხეთელი“.
ამ სახით გამაცნო იგი მწერალმა
გიორგი ლორთქიფანიძემ.

მაღვე ფორჩები

პრეზი-პატიორი

ვის არ უცდია ჩვენი მოსპობა — სპარსელებს, არაბებს, თურქებს თუ მონლოლებს, მაგრამ საქართველო მთლიანად ვერავინ დაიძყრო. ოლონდ ბოლო საუკუნეებში მოხდა, რომ ღალატითა და მუხანათობით მთელი სამასი წლით მოსწყვიტა თურქეთმა აჭარა, ეს მშვენიერი მხარე დედა-სამშობლოს — საქართველოს. მაგრამ ამ მხარეში მცხოვრებმა ქართველებმა სასოებით შეინახეს დედაენა და ხსოვნა თავიანთი წარმომავლობისა, ისტორიისა და მუდამი იმის ცდაში იყვნენ, რომ კვლავ დაბრუნებოდნენ თავიანთ დებასა და ქმებს, კვლავ შემოერთებოდნენ საქართველოს. ეს ასეც მოხდა. არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ ამ კეთილშობილი ეროვნული საქმის ღიდებული მესვეურები, რომელთაც სახალხო საქმი-

სათვის გასწირეს პირადი ბეღნიერება და ზოგმა სიცოცხლეც კი. მაღლიერი ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმ ბდამიანების სახელსა და ღვაწლს, რომლებმაც, მეტ-ნაკლებად, შეძლებისდაგვარად, ხელი შეუწყეს ამ დიდი საქმის განხორციელებას. ესენი იყვნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები სელიმ ხიმშიაშვილი, ნური ხიმშიაშვილი, შერიფ ხიმშიაშვილი, გულო კაიკაციშვილი, აბდულ მიქელაძე, მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე და ბევრი სხვა, რომელთაც სხვადასხვა დროს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ჩვენს დიდ მოლვაწეებთან — გრიგოლ ორბელიანთან, ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან, ვაჟა-ფშაველასთან, სერგეი მესხთან, ზაქარია ჭიჭინაძესთან და სხვებთან.

ახლა იმასაც ვიტყვი, თუ ყოველივე ამას რა კავშირი აქვს ამ წერილის მთავარ თემასთან. მამია ვარშანიძეს ამ დიდებულ ადამიანთა მოკლე ჩანაწერები და სიტყვები, რომელნიც მომეტებულია დიდ აზრსა და მნიშვნელობას შეიცავენ ამ მხარის ისტორიული წარსულის თვალსაზრისით, ძველი დროის უურნალგაზეთებიდან ამოუკრეფია და

სხვა თანამედროვე მუსიკურის ნაწარმოებებთან ერთად ერთ წიგნად შეუკრავს, სახელიც დიდებული შეურქმევია — „მამულო საყვარელო“. ამაშიც ვხედავთ ჩვენ მამულიშვილურ საქმეს. და ჩვენთვის სრულიად ბუნებრივად ელერს პოეტის შვენიერი სტრიქონები, რომელიც მას, ეჭვირაა, წინაპართა ღვაწლა და თავდადებამ შთააგონა:

რომელმან შექმნა სხალთის ტაძარი,
სვეტიცხოველი რომელმან შექმნა.
ნეტა ვინ იყო მზე-პატარძალი,
დაპბადა დიდი ბეშქენ და ბექა?
რომელმან შექმნა ანჩა, იშხანი,
რომელმან შექმნა ბანა, ხახული;
რომელმან შექმნა ზარზმა, ხიხანი,
ანდა ვინ იყო მათი მსახური?
რომელმან შექმნა დიდი ვარძია
და ვინ დაპბადა შოთა რუსთველი?
სულმა და გულმა ნეტარ წამძლია,
ამაგალობა ენაუთქმელი.
ვინ აღაზევა, რომელთა ნიჭმა
და განადიდა კისმა მარჯვენამ,
ვინ დაგვიტოვა ეს ცა და მიწა
ხან სიხარულად, ხან სატანჯველად?

პოეტის სიცოცხლის სამოცი წელი ისეთი მრავლისმეტყველი ასაკია, რომლის თუნდაც კეთილი თვალით შეხედვა თუ აწონდაწონა მეტ სიდინჯესა და სიფრთხილეს მოითხოვს ჩვენგან, რამეთუ მას სიტყვასთან დაუსრულებელი ჭიდილით, დაუცხრომელი წვითა და რუდუნებით სავსე სულ ცოტა ოთხი ათეული წლის მძიმე შემოქმედებითი შრომა

მაინც აწევს მხრებზე. და ვინ იცის, პოეტს ამ ხნის განმავლობაში სად, რომელ ბილიკზე, როგორ დაუსხლტა უეცრად ფეხი; სად ან როდის მეტი ცხოველ-მყოფელობით იგრძნო ათასნაირი მოულოდნელობითა და იდუმალებით მოცული წუთისოფლის დაუსრულებელ გზაზე ყოველდღიური ყოფის სიტკბო თუ სიმწარე; როდის ან რით იყო იგი

ბედნიერი თუ გულნატეენი... ვინ იცის; ყოველდღიური შრომით დამაშვრალს სად, რომელი მწვერვალიდან უნათებდა მზე, ან სად რომელ აღმართხე ეკვეთებოდა მუხლი, მამულისა და პოეზიის სიყვარულით ანთებულს, ჭეშმარიტების ძიებაში, რათა სულში ჩამწვდომი ნათელი პოეტური სიტყვით მოყვასთა გულში მხოლოდ პოეზიასა და სიკეთეს დაევანა...

ამიტომ, როცა ღვაწლმოსილი პოეტის შემოქმედებას ვაფასებთ, საჭიროა წინასწარ გავიაზროთ და გავითიქროთ, რა პირობებში, როგორ გარემოცვაში უხდებოდა მას ესოდენ საჭირო, მაგრამ მეტად მძიმე და რთული შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც დიდი, დაძაბული სულიერი ენერგიის ხარჯვას მოითხოვს მუდამ. ამას იმაზე მოგახსენებთ, რომ ჭეშმარიტი პოეზია არასოდეს მდგარა თავისი დროისა და სივრცის გარეთ, ხოლო ყოველი პოეტის შემოქმედება იმითაა ჩვენთვის საინტერესო, თუ რამდენად მკვეთრად და ხელშესახებად გამოსჭვივის პოეტის - ნაფიქრალსა და ნააზრევში ყოველივე ის, რაც მის ირგვლივ ხდებოდა და რომელსაც იგი ისე განიცდიდა, როგორც საკუთარ გულის ცემას.

უმრავლეს შემთხვევაში ყოველი პოეტის შემოქმედებას უმეტესად იმ ცისა და მიწის ფერი და სურნელი დაჭრავს, საღაც ის

იშვა და აღიზარდა. მამია ვარშანიძის პოეზია გამსჭვალულია საჭართველოს ერთ-ერთი უმწვენიერესი მხარის — აჭარის განუმეორებელი კოლორიტის მძაფრი უეგრძნებით. თავისი მაღალი მთებითა და ატეხილი ჭალებით, ზამთარ-ზაფხულ მუდამ ამწვანებული კორდებითა და ცისფერი მდინარეებით, მწვერვალებიდან გამომქუჩარე ჩანჩქერებითა და დაბალი ფერდობებიდან გამომდინარე ლელებით, სადაც ალბათ წელიწადის ყოველ დროს უთვალავი ფრინველი გალობს, ათასნაირი ჯიშის ხეები შრიალებენ, აურაცხელი ფერის ყვავილები ჰყვავიან და მაგნოლიისა და ფორთოხლის ხეებთან ერთად მუდამ უცნაურ ხმებს გამოსცემენ, რომლის შორეული ექო მკაფიოდ გვესმის, როცა პოეტის ლექსებს კვითხულობთ. მაგრამ მამრავარშანიძის შემოქმედება ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესო მით არის, რომ მის ლექსებში, უპირველეს ყოვლისა, ასახულია ქაურ ქართველთა შართლაცდა განუმეორებელი კოლორიტი, ყოფა, პატიოსანი მშრომელი ადამიანების ლტოლვა და მისწრაფებანი, სიხარული და სიყვარული სამშობლოსა და სიცოცხლისადმი. და ყოველივე ამას პოეტი გვაგრძნობინებს უაღრესად სადა, თბილი ლირიკული სტრიქონებით, რაც უსათუოდ მისი პოეზიის ერთ-ერთი დიდი ლირსებაა:

გშობლიური მთების ახლოს ძველისძველი ქვევრებია, გრივებული
მოდი, ნახე, მე აქ ვსახლობ, მზე აქ შემიჩერებია. გიგანტებია
მესხი ვარ და ხელმადლიანს ეზო დამიმშვენებია,
ნახე, რა არ მაბადია, რა არ მომიშენებია.

ვაზი რთველის ეშხში ცურავს, ლალისფერი მტევნებია,
ტკბილი ღვინო დამიწურავს, ქვევრში ამიმღერებია.
ჩემს სახლს განა ჩრდილი ფარავს, ცისარტყელას ფერები აქვს,
ვარსკვლავები მომიპარავს, ლამე გამითენებია.

ჩემი კერა დალოცვილი, მზესთან შემიჩერებია,
ჩუქურთმებით დაკოცნილი, ო, რამდენი ფერებია!
კალავ მესხურად გავიძახი, გული ამიმღერებია,
მოდი, ნახე ჩემი სახლი, რარიგ დამიმშვენებია!

როგორც ვხედავთ, პოეტი აქ
საკუთარ კარ-მიდამოზე ლაპარა-
კობს, მაგრამ ღრმა ლირიკული
წიაღსვლებით საყვარელი მამუ-
ლის ბეღნიერ ყოფასა და აღორ-
ძინებულ ცხოვრებაზე მიგვანიშ-
ნებს. ეს ერთგვარი პოეტური ტა-
ქტია, მხატვრული ხერხი, რითაც
იგი თავისი შინაგანი სულიერი
აღფრთოვანებით თანამოძმეობა
სიხარულსა და ჯანსაღ განწყობი-
ლებასაც გამოხატავს მოხდენილ-
ად, რასაც მას, ეჭვი არაა, გამარ-
ჯვებული მთელი ქართველი ხალ-
ხის განახლებული ცხოვრება
შთააგონებს.

მამია ვარშანიძის პოეტური შე-
მოქმედება საკმაოდ მრავალფე-
როვანია. პოეტი თავდავიწყებით
უმღერის სამშობლოს, ადამიანის
სულიერ სიწმინდესა და პატიოს-
ნებას, სილამაზეს, ბუნების მშვე-
ნიერებას, სიცოცხლის მარადი-
ულობას, სამშობლოს წარსულს,
აჭმყოსა და მომავალს. მისი ში-

ნაგანი გზნება, ტემპერამენტი მის
პოეტურ გულწრფე ლობაში ი
იჩენს თავს ყოველთვის და ეს
ანიჭებს პოეტის ლექსებს სით-
ბოსა და აღამიანის სულზე მოქ-
მედების კეთილისმყოფელ ძალ-
ას, რასაც პოეზიის თეორეტიკო-
სები ემოციას უწოდებენ. მის
ლექსს მუდამ თან ახლავს სინაზე
და სინათლე და შეიძლება ზოგ-
ჯერ მომეტებული სისადავეც, მა-
გრამ არასოდეს არ აკლია უშუა-
ლობა. ეს ქმნის მისი პოეზიის იმ
პოეტურ თავისებურებას, რითაც
ის ასე მკაფიოდ გამოირჩევა თა-
ვისი თაობის პოეტებისაგან.

მამია ვარშანიძის პოეზია იმი-
თაც არის ჩვენთვის ძვირფასი,
ესოდენ მახლობელი და მნიშვნე-
ლოვანი, რომ იგი გატაცებით
უმღერის აჭარის განთავისუფლე-
ბას, რომელიც სამასი წლის მან-
ძილზე მოწყვეტილი იყო ქარ-
თულ ეროვნულ კულტურულ გა-
ნვითარებას, ქართული ეროვნუ-

ლი აზრის ცხოველმყოფელობას. პოეტს დიდი პატრიოტული შეგნებით აქვს შექმნილი საუკეთესო ლექსები, სადაც მგზნებარე პათოსით გამოხატავს წარსულში დაბექავებული მშობელი ხალხის

უსიხარულო ცხოვრებას. შედეგი იმართება ენამ რომ მიხმო სამზეოდ, ხელში „ყურანი“ მოთქმით ატირდა“, — სწერს პოეტი ლექსში „ჩემი მამულის საგალობელი“. და მეორე ლექსში — „ჩემი სახელი“ ამაყად აცხადებს:

დღეს ლექსის ბრწყარებს მზის ყალმით ვხატავ
და მას სახელის სიმღერა ჰქვია,
თითქოს რიცრაუმა გაშალა კალთა,
ცისარტყელები გადმომაფრქვია.
გული ოცნებით ამიგუგუნდა,
და პა, ჩემს ლამაზ აკვანსაც ვხედავ.
მამა დამიბნევს ია-ვარდს გულთან,
და ჩემს ძველ სახელს მეძახის დედა.

რასაკვირველია, აქ ლაპარაკია ძველ ქართულ სახელზე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მივიწყებული იყო, ვიდრე ოქტომბრის რევოლუციამ ჩვენს მიწა-წყალზე მცხოვრებ ყველა აღამიანს თავისი „სახელი“ არ დაუბრუნა და სულში საკუთარი ეროვნული შეგნება არ ჩაუნერგა.

მამია ვარშანიძის პატრიოტულ ლირიკას ჩვენს თვალში კიდევ უფრო მეტ შნისა და ლაზათს მატებს ერთიანი განუყოფელი საქართველოს კეთილშობილი, მა- მულიშვილური იდეა. პოეტი მძაფრი, ლსტატიურად შესრულებული პათეტიკური ლექსებით შთააგონებდა და შთააგონებს მშობელ ხალხს, რომ აჭარა საქართველოს ერთ-ერთი მაცოცხლებელი მთავარი ძალვია, მისი გულისა და სულის ნაწილია, მისი

სისხლი და ხორცია. და პოეტი, სამშობლოზე ფანატიკურად შეყვარებული, რაღაცნარიად გამაბრუებელ, ლოცვასავით წარმოსათქმელ ეგზალტირებულ ლექსებს უძღვის ამ უკეთილშობილეს წმინდა იდეას: „შენი ძუძუ მადლიანი დედის ძუძუდ შემიცვნია“ — მიმართავს იგი ერთ ლექსში თბილის და მერე გაორკეცებული ძალით მოქმედებს ჩვენზე პოეტის უკეთესი ლექსები, რომელიც კი ოდესმე სამშობლოზე დაუწერია.

მამია ვარშანიძე თავის თაობის პოეტებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც ასე მწვავედ განიცადა და განიცდის საქართველოს მიღმა მცხოვრებ თანამომმეთა ბედს. მაგრამ მის გულს სკეფსისი და გულგატენი-

ლობა არასოდეს გაჰკარებია. მისი პოეზია გამოტბარია სამშობლოს უკვდავების დიდი იმედის სხივით და თავის შინაგან მუწოდება ამგვარი გამართული, სტრიქონებით გამოხატავს:

იყო და მარად იქნება, ლურჯი ქედები და ჭალა,
იყო და მარად იქნება, ჩემი ფხიანი აჭარა.
იყო და მარად იქნება, ჩემი ტაო და კლარჯეთი,
იყო და ალარ იქნება, ალარ იქნება ქაჯეთი.
იყო და მარად იქნება ჩემი შავშეთი მწყაზარი,
იყო და მარად იქნება ჩემი ხატი და ტაძარი.
იყო და მარად იქნება ჩემი ლაზეთი ვეფხური,
იყო და მარად იქნება „განდაგანა“ და „ფერხული“,

იყო და მარად იქნება ჩემი სამშობლო ხმიერი,
რუსთველის ტკბილი სავანე, დიდი თამარის ივერი,
მამულო, იყავ კურთხეულ, იყავი მარად ძლიერი,
იყავი მარად ძლიერი,
იყავი მარად ძლიერი!

მამია ვარშანიძემ დაძაბული, ცემს პოეტი, ყველასათვის ნათელი გახდება, ვინც დაკირვებით წაიკითხავს მის ლექსებს: „შესისირად დაგრჩა ქოშები“, „სარფი, გონიო“, „თომარი და ივერია“, „შორს მოსხანს მისი პორიზონტები“, „ქოჩახელა მღერის“, „შენ გეფერები“ და ბევრი სხვა, რომელთა აქ ჩამოთვლა შეუძლებლად მიგვაჩნია. ოღონდ ის კი უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ მამია ვარშანიძის პატრიოტულ ლირიკას განსაკუთრებულ იერსა და სახიერებას მატებს დიდი სამამულო ომის ღროს ჭეშმარიტად პერიოდული შემართებით დაწერილი ლექსები. როგორც ცნობილია, პოეტმა სამამულო ომის ქარიშხლიანი დღეები საკუთარ

მხრებზე გადაიტანა და გამოსცა-
და შეუპოვარი ბრძოლების სა-
შინელება. მაგრამ იგი სულით არ
დაცემულა, პირიქით: იმდროინ-
დელ, მოქმედ არმიაში დაწერილ
ლექსებს მეტი ცეცხლი და
გრძნობიერება ემჩნევა, რასაც
მას უსათუოდ მტრებზე გამარჯვე-
ბის ურყევი რწმენა შთააგონებ-
და. „იმ წუთს ვნატრობ: თუნდ
საფლავში ჩამომესმას ხმები წმი-
ნდა, რომ სამშობლო საყვარელი,
მტრებისაგან გაიშმინდა!“ სწერ-
და პოეტი 1942 წელს ყაბარდოს

ველზე მოქმედ არმიაში და ურთი-
წუთითაც არ ივიწყებდა საშობ-
ლოსათვის თავგაწირვის უწმინ-
დეს მოვალეობას. ამავე წელს,
სწორედ მოქმედ არმიაშია დაწე-
რილი პოეტის მეორე ლექსი
„შენ მაპატიი“, რომელშიც იგი
საყვარელ არსებას კიდეც ეთხო-
ვება და პატიებასაც თხოვს, თუ
რამე მის წინაშე დანაშაული
ჰქონდა და თითქოს აღსარებას
ამბობსო, ბრძოლის ქარცეცხლში
ისე ჩურჩიულებს:

თვალში მზის წყარო ნუთუ მელევა,
ნუთუ საფლავი აქ გამეთხრება?!
და ჭმუნვის ალი ალარ მენელა
და ცა მასკდება თავზე მეხებად.
ვაი, რომ თვალის ჩინი მემღვრევა,
ჩემივ ფარაგით მე სისხლს ვიმშრალებ...
ამ ქარში გული თუ დამელლება...
შენ მაპატიი, რაც დაგიშავე.

ეს იყო იმ დროს, ხოლო როცა
ომის შემდეგ ცხოვრება კალაპო-
ტში ჩადგა, როცა მთელი საბჭო-
თა ხალხი დიდ აღმავალ შემოქ-
მედებით მუშაობას დაწერათა ყო-
ველ უბანზე, პოეტი კვლავ იგო-
ნებს ბრძოლის ველზე დაღუპულ
ქმებს და დაუვიწყარი სტრიქო-
ნებით ეთხოვება მათ სამუდამოდ:
„ოცნებით მოველ ვოლგის ნაპი-
რთან, აქ დაცემულხართ, თქვენს
ძვლებს ვინ ნახავს. აი, ყორანი
ველზე დაფრინდა, თქვენს
ძვლებს კი არა, მე მირტყამს ლა-

ხვარს!“ ეჭვი არაა, ეს ლახვარი
ყველას გვხვდება გულზე, როცა
სამამულო ომში დაღუპულ ადა-
მიანებზე ვფიქრობთ...

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია
მამია ვარშანიძის შემოქმედებაში
სატრუიალო ლირიკას. ეს ძველი-
სძველი, მაგრამ მუდამ ახალი თე-
მა პოეტებისათვის ყოველთვის
აღმაფრენის საგანი იყო. სიყვა-
რულს, ამ უკეთილშობილეს
გრძნობას, ყველა პოეტი თავისე-
ბურად უმღერდა ქვეყანაზე. ამ
თემაზე დაწერილი უარავი ლექ-

სიდან ჩვენ აქ მხოლოდ ორ პა-
ტარა ლექსს შევეხებით და ვფიქ-
რობთ, ნათელი გახდება, თუ რო-

გორი სულში ჩამწვდომია,
ფერებით უმღერის პოეტი ამ
უკვდავ გრძნობას.

გაღმოდგები აივანზე დილით სასხამ
და თოვლისფერ თავშალს თავზე წამოისხამ.
თოვს, თოვლია, მზის სხივები ისევ გრთავენ,
შინ რა ვინდა, გარეთ გამო, მეგუნდავე.
შენთან მინდა გუნდაობა, სხვასთან არა,
მოიხედე, თავშლით სახეს ნუ იფარავ...
მოვალ ჩუმად და შენს დალალს მოვიპარავ.
გინდ გაჭავრდი და მთუთქავდეს შენი რისხვა,
მაინც გეტყვი, მითხრეს, თურმე ჩემი ხნის ხარ.
რად გაწითლდი, ჩემო ხეითოვ, განა შეგრცხვა?
რა ვქნა, გოგოვ, სულ დამთუთქა შენმა ცეცხლმა,
თოვს, გეძხი, მემალები და დარდით ვწევ თუთუნს,
ნუთუ არას გებრალები, არ გიყვარვარ ნუთუ?

ეს ლექსი პოეტს თავისი სიჭა-
ბუკის გაზაფხულზე აქვს დაწე-
რილი. აქ მოსჩანს ახალგაზრდა
პოეტის გულწრფელობა, როცა
იგი ყველაფერს გახარებული
თვალით აღიქვამდა, როცა ჯერ
კიდევ არ განეცადა მომავალი
ცხოვრების შფორთიანი დღეები...
მეორე ლექსი „მინდა მიმღეროს
ქალმა ლამაზმა“ პოეტს გვიან,
სიჭარმაგეში აქვს დაწერილი, რო-
მელშიც თავის ინტიმურ გრძნო-
ბებს მეტი ტრაგიზმით გამოხა-
ტავს: „როს ჩემს სულს კვამლად
წაიღებს ქარი, სიცოცხლის ყვე-
ლა ცხრა კარს ჩარაზას, არ მინ-
და ყველას მოთქმა და ზარი, მინ-
და მიმღეროს ქალმა ლამაზმა!“
არ შეიძლება, ამ სტრიქონებმა
მკითხველზე არ იმოქმედოს.

მამია ვარშანიძის პოეზიაში
პოეტური თემის ორიგინალური

მოფიქრებითა და მხატვრული
აზრის თავისებურად წარმოჩენის
ოსტატობით გამოირჩევა ის ლე-
ქსები, რომელიც პოეტს ზღვისა-
დმი აქვს მიძღვნილი. ამ ლექსებ-
ში კიდევ უფრო მკვეთრად მო-
ჩანს მისი შინაგანი სულიერი სი-
მდიდრე და საგნისა და ცხოვრე-
ბისეული მოვლენების ბოლომდე
წვდომის უნარი. ამ ხასიათის ლე-
ქსებში პოეტი უმეტესად ლირი-
კული ჩანაფიქრისა და განწყობი-
ლების მოქნილი, ელასტიური
სტრიქონებით ავლენს თავის გუ-
ლისთქმას. და ეს ჩვენ სრულები-
თაც არ გვიკირს. ზღვა მამია ვა-
რშანიძის ბიოგრაფიის ნაწილია:
„დაუდგრომლობა შენ შთამაგო-
ნე და მე სიჩუმე მტრულად გავ-
წირე!“ — მიმართავს იგი ზღვას
და მერე ამ ლექსს ასე ამთავრებს:

უთვალავ ფერთა დედა საწუთოს
 ლოკავ და ლოკავ შინით, უწყალოდ,
 იქნებ მით გვიყვარს საწუთო უფლო
 და მით გვებრალების ზიწა უწყალო.
 შენი ქარებით შენი წვიმებით
 რეკავს სიცოცხლე და ორ თავდება,
 ჩვერ წუთისოფელს სულ ვეწირებით,
 შენ — უკვდავება გიდგას თავდებად.

• მამია ჭარშანიძე მომეტებულად
 მართალი, მგრძნობიარე გულის
 პოეტია. მისთვის დიდ სიხარულ-
 თან ერთად ორც აღამიანური სე-
 ვდა და ნაღველია უცხო. ეს მწო-
 რედ იმ ლექსებში იჩენს ხოლმე
 თავს, სადაც პოეტი თავისი ქვე-
 ყნის ტრაგიულ წარსულს ეხება,
 შაგრამ ამგარებ ლექსებიც კი გა-
 ნათებულია ოპტიმიზმითა და მო-
 მავლის ნათელი რწმენით, კაცო-
 მოყვარეობასა და დიდი პუმანიზ-
 მის კეთილშობილი გრძნობით.

ჩვენ საგანგებოდ შევჩერდებით
 ერთ ლექსზე, რომელიც პოეტს
 წაყითხული აქვს მაჭახელჰესის
 გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე
 ქედზედში 1957 წლის 22 აპრილს.
 ამ საზეიმო განწყობილების ლე-
 ქსში პოეტი სიამაყით იხსენიებს
 ჩვენს დიდ წინაპრებს, რომელნიც
 შორეულ წარსულში სწორედ ამ
 შხარეში თავისი ხელით ჩაკინას
 ადნობდნენ და სახნისთან ერთად
 ხმალსა და მახვილს სჭედდენენ
 შამულის დასაცავად, ხოლო გვი-
 ან საუკუნეებში სახელოვნი შჩა-
 მომავალნა აქ თოვებს ამზადებ-
 დნენ მტრის წინააღმდეგ საბრ-
 ძოლველად, რომელსაც ჩვერა
 ხალხმა მაჭახელა შეარქვა: „მა-

ჭახელათი იცავდნენ ჩემს ცივ
 წყაროებს მჩქეფარეს, ტყვიებს
 მექებად ახლიდნენ სულთანს ძა-
 ლლივით მყეფარეს. ოხერმა მაინც
 არბა სახლი შენიც და ჩემიცა,
 მიწა სამრედ გამიჭრა, შუა გაგ-
 ლივა ჩემი ცა...“ მაგრამ სულთა-
 ნმა შუა ვერ გაგლივა ქართველი
 კაცის მგრძნობიარე გული, სულ-
 თანმა შუა ვერ გაგლივა ქართვე-
 ლი ხალხის ერთვნული შეგნება.
 ქართველმა ხალხმა, მთელმა აჭა-
 რამ, სამხრეთ საქართველომ,
 რკინისებური სიმტკიცით შეინარ-
 ჩენა ხსოვნა თავისი დიდი ის-
 ტორიული წარსულისა, სასოებით
 შეინახა დედაენა, რომელიც ილია
 ჭავჭავაძის სიტყვებით რომ
 ვთქვათ, პირველი პირობაა ყოვ-
 ელი ერის მთლიანობისა და თა-
 ვისთავადობის შენარჩუნებისა.
 ამას უმღერის ჩვენი პოეტი, ეს
 არის მისი შემოქმედების მოვა-
 რი მაცოცხლებელი ძარღვი. ამი-
 ტომაც არის ასე ძვირფასი, ასე
 მნიშვნელოვანი ჩვენთვის მისი
 პოეზია.

ყოველი ზემოთ ნათქვამის
 შემდეგ ისიც უნდა აღინიშნოს,
 რომ მამია ვარშანიძის შემოქმე-
 დებას სრულებითაც ორ ემჩევა

ქვეთ წოდებული წიგნური, რე-
მინისცენტრის, ფორმისა და ლი-
რიკული ჩანაფიქრის განვებ გარ-
თულება. იგი მუდამ გარიდგებუ-
ლია ხელოვნურობასა და ბუნდო-
ვანებას. მას ახასიათებს პოეტუ-
რი აზრის, სათქმელის ერთ-
გვარი სითამამე, უშუალობა და,
რაც მთავარია, საგნისა და ცხოვ-
რებისეული მოვლენების, ნაგრ-
ძნობისა და განცდილის ნათელი,
რეალური წარმოსახვა. ეს ანიჭებს
მის პოეზიას, როგორც ზემოთ
ვთქვით, ადამიანის სულზე მოქ-
მედების უნარსა და ემოციას. ამ
თვისებებით ქმნის პოეტი ქარ-
თულ ლიტერატურაში გარკვეულ
პოეტურ ღირებულებას: „მელა-
ვდა სევდა, ჭრილობები, შენ მა-
ლამო დამაფინე, „დედაენა“ მო-
მაშველე, ზედ ბულბულად დამა-
ფრინე, შენ მომეცი ფხა, ლანათი,
ჩემო დედავ, ჩემო წილო, ერთ-
კაპალა გული მაქვს და მოვკვდე,
თუ არ შემოგწირო!“ ამბობს პრ-

ეტი ლექსში „შენი ჭრიანა მო-
ვარ“, და გვჯერა პოეტის პატო-
სნებისა და სიწრფოებისა. და უფ-
რო მეტი სიყვარულითა და ინ-
ტერესით ვკითხულობთ მის მიერ
თანამედროვე, საზოგადოებრივ-
სამოქალაქო მოტივზე დაწერილ
ლექსებს, რომლებმიც პოეტი ცი-
ნცხალი, მისთვის დამახასიათებე-
ლი. ხელშეუხებელი პოეტური
ფერებითა და სახეებით გადმოგ-
ვცემს თავისი ლირიკული გმი-
რის შინაგან ჭანსალ განწყობილე-
ბებსა და მისწრაფებებს, ჩვენი
ყოველდღიური ყოფის მიზანსა
და დანიშნულებას.

* მამიც ვარშანიძე ზხლა სხდოც
წლისაა და კვლავ ახალგაზრდუ-
ლი, ჭაბუკური ენერგიით ეჭიდე-
ბა ქართულ პოეტურ სიტყვას,
ხოლო მისი მაღლიერი მკითხვე-
ლები კვლავაც ახალახალ შემო-
ქმედებით გამარჯვებას მოელიან
მისგან.

შედარების სპეციფიკა ამ შემთხვევაში ის არის, რომ საგანი ან მოვლენა გამოხატოს მოკლედ და სხარტად, მაგრამ ნათლად და ამომწურავად, მისთვის ნიშანდობლივი, ყველაზე არსებითი თავისებურების გახაზვით და გამოყოფით“.²

შ. დადიანი შედარების გადმოსაცემად უმეტესად იყენებს „ვით“ თანდებულიან ვითარების გარემოებებს და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ როლ ქვეწყობილ წინადადებებს.

შედარება გამოხატულია „ვით“ თანდებულიანი სიტყვით: მოთიბული ბალახივით დაეცა, 4,243³; ყაყაჩოს გულივით ჩაშავებული ოვალები, 5,298; ხმა ისარივით გასრიალდა, 5,75; მტრების ამბორი იარებივით სწვავს, 1,101; სიტყვა მოქნეული ლახტივით გუგუნებდა, 2,206; ნისლი საქორწილო ლექაჭივით მომიბურავს, 1,45; მოსაზრებამ გველივით უქბინა, 2,15.

ვითარების გარემოებითი დამოკიდებულ წინადადებებში ხშირად ცალკე გამოჰყოფენ ისეთ

2 ივ. ქავთარაძე, შედარების გამომხატველი ძირითადი გრამატიკული საშუალებები და ვითარებითი ბრუნვის ერთი შემსრულებისათვის ქართულში, თსუმ, 5(148), 1972, გვ. 161.

3 მაგალითები მოტანილია შ. დადიანის ხუთომეულიდან. პირველი ციტრი შეუთოვებს ტომს, მეორე — გვერდს.

დამოკიდებულ წინადადებას, რომ უკავშირდებული შელიც შედარებას გამოისახოვს. მთავარში ლაპარაკია იმაზე, რაც უნდა იქნეს შედარებული, დამოკიდებულში კი იმაზე, რაც უნდა შევადაროთ. ვითარების გარემოებითი დამოკიდებულ წინადადებებში, რომლებითაც შედა, რებებია გამოხატული, საკავშირებელ სიტყვებად გამოყენებულია მიმართებითი ზმნიზედა „როგორც“ და ნაწილაკი „თითქოს“: შენი სიყვარული ისე ჩაქრება, როგორც ღამის ჭრაქი, 1,57; მისი სხეული ისე მოქნილია და მარდი, როგორც ტყის სიო, 1,320; პირის კანმა შავი გადაიბურა, თითქოს ცამ პირი შეიკრა, 1,345; ისე ღამებებს სიცივე, თითქო მყინვარწვერის საყინულეა, 1,101.

ზოგჯერ შესადარებელ სახელებთან გამოყენებულია მსგავსების სემანტიკის მქონე სიტყვები „ჰეგას“ და „მსგავსი“: ფანჯრებიც, მინის მაგივრად ზოგგან ფიცრებაჭედილი, ბაბუას გამოციებულს გულს მიაგავდა, 1,124; სახურავი ცხრილს დაემსგავსა, 1,219.

შედარების გამოსახატავად გამოიყენება აგრეთვე არსებითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმაც. ასეთი შედარებები ლაკონურად და სხარტად გამოხატავს სათქმელს, ზორდის მის ემოციურ იერს: წამწამები შავ ისრებად აქოჩრილიყვნენ, 2,162; ტურფა ლექსად აწანწეარდა თამარის სიყვარული, 2,162; თორნის მჭადს ბადრ მთვარე დ

გამოყვანს, 5,332; ცრემლის ნაკადულიდ ვიქეცი, 1,197.

მეტაფორა. შ. დადიანი . მეტაფორების გამოყენებით ემოციურობას ჰქატებს თხრობას, შთამბეჭდას ხდის. სურათს, პორტრეტს, გმირის ხასიათს, პერსონაჟების გუნება-განწყობილებას. მეტაფორების საშუალებით მწერალი ლრმად გვახელებს მოქმედი პირების სულში, გვხდის მათი განცდების უშუალო მონაწილედ. იგი გმირთა ყოველდღიური ცხოვრების სურათებს ისე აღწერს, რომ მქითხველში იწვევს ესთეტიკურ ტემბობას.

პერსონაჟთა გარევნობის დასახასიათებლად მწერალი იყენებს მრავალფეროვან მეტაფორებს: ტუჩები წითლად ღვივიან, 1,173; თეთრი მარგალიტები გამოკრთა მეწამული ბაგიდან, 1,437; ულვაშები ამწვანებია, 5,257; უტანდარს შეუჩერა ქარვის ტბაზე ჩაჭდეული გიშრის გუგანი, 2,112; სახეზე ატმისფერი გაიშლება, 1,398.

მეტაფორის ექსპრესიული ძალა განსაკუთრებით საგრძნობია გმირების გუნება - განწყობილების გაღმოცემისას: ბედი მირტყამს უსამართლო მათრახებს, 3,434; მოიზიდა მშვილდი შეტყობისა, 2,11; შეგნებამ ჩამოუქანდაკა, 2,82; ეჭვი აფათურდა გონებაში, 2,70; დაძმარდა დრამატურგი, 1,363; ამას სევდის ლეჩაქი ჰქონდა გადაფენილი, 3,410.

პეიზაჟის, ბრძოლის სურათის და სხვა საგნებისა თუ მოვლენე-

ბის გამოხატვას მწერალი ოსტატურად ახერხებს შესაბამისი მეტაფორებით. კოლებიდის ჭაობიც კი, პირმომლიმარე, იწმენდს მალარიის უკანასკნელ ოფლს, 1,92; ისრის ტყე ჰაერში ნავარდობს, 2,273; გორაქს ცეცხლის ღილები გამოსხმია, 2,218; გზაში გამდნარიყო ლაშვარი, 2,309; მხე მთის კალთებში თავს ყვინთავდა, 2,123; ელვა ვარჯიშობდა ცეცხლის მახვილით, 1,44.

გაპიროვნება. ეს მეტაფორის თავისებური სახეა. მისი მხატვრულ - ემოციური ინტენსივობა მაღალია, რაღაც მასში ცხოველი, უსულო საგანი თუ განყენებული მოვლენა ადამიანური თვისებითაა შემოსილი.⁴ მწერალი იმხერხს უმთავრესად მიმართავს ბუნების სურათის დასახატვად და ძლიერი განცდების გადმოსაცემად: აკანკალდა ჰაერში ხმა, 1,42; ფიქრები ფუსფუსებდნენ, 2,317; წყარო იჩეხებოდა ქვესკნელში, 1,310; ულვაშს ზემოთ ნაღველი გაწვა, 2,24; გრძნობა ბორგავდა, 2,177; ბალახიც... თრთის და ცახცახებს, 1,92.

ეპითეტი. შთაბეჭდილების გაძლიერებისა და აზრის ნათელყოფისათვის მწერალი იყენებს ეპითეტებს. ამ მხატვრული სამკაულების მომარჯვებით თხრობა ხდება ხავერდოვანი, ემოციური.

4 გ. შეთევაური, მეტაფორის მხატვრულ-ემოციური ფუნქციისათვის, შატე, 4, 1975, გვ. 52.



ეპითეტები უმეტესად გადმოცე-
მულია ზედსართავი სახელითა და
მიმღებით: ცხადი მომხრე, 2,83; ეს იყო საორკაცო პო-
ეზია, 1,310; გაიტაცა მწარე მოგონებამ, 2,64; ჭაბუკ გო-
ნებას ვერ დაეძლია, 2,22; ჩონ-
ჩხიანი შიმშილი მოჩანს, 1,60;
ითხვება ნაჭედი სიტყვები,
5,83; მოქარგული ენა ჰქონია, 2,310; გამოჭახრა-
კებული გონება, 2,140.

ეპითეტის საშუალებით შესაძ-
ლებელი ხდება ნათლად დახასია-
თდეს საგანი, მოვლენა, გამოიკ-
ვეთოს მწერლის დამოკიდებულე-
ბა მათ მიმართ. ეს იგრძნობა არა
მარტო დადებით, არამედ უარ-
ყოფით ეპითეტებშიც: ლაქუ-
ცა მოხელე, 1,148; ჭინჭყ-
ლი ვაჭარი, 3,107; კუდშეკ-
ვიცილი ერობა, 5,196; ცუ-
ნდრუკა სიყვარული, 1,136;
გამოჭახრაკებული სო-
ვდაგარი, 2,28.

მწერალი ქმნის შთამბეჭდავ
მეტაფორულ ეპითეტებს. მათ
დიდი სტილური დატვირთვა
აქვთ: მსხმოიარე კაცი,
3,228; ყვიციანი საღილი,
4,23; დაყურსული სიბრ-
ძნე, 3,79; გვერდებშეხ-
ლეჩილი მთა, 1,458.

პეიზაჟი. შ. დაღიანი მემუა-
რულ ნაწარმოებში „რაც გამახ-
სენდა“ ოღნიშნავდა: „ჩემზე ბუ-
ნებას დიდი გავლენა აქვს და მი-
სი სიტურფით თუ ლამაზი უცნა-
ურობით დიდად მოხიბლული
ვარ ხოლმე, თან მგონია, რომ

მალიან დიდის სინაზით უცნაურების სიმშენიერეს თუ გრანდიო-
ზულობას“.⁵ მწერალი მართლაც
დიდი პოეტური უშუალობით აღ-
იქვამდა ბუნების სილამაზეს და
შესანიშნავად ახერხებდა განც-
დილის დახატვას. მისთვის ყველ-
აზე მახლობელი იყო მშობლიუ-
რი ბერთემი, ერთ-ერთი ულამა-
ზესი სოფელი სამეგრელოში.
მწერალმა მომხიბლავად აღწერა
მშობლიური მხარის სილამაზე,
და მკითხველს განაცდევინა ამ
სილამაზის სიღიაღე. „ედემი ბე-
რთემი“, „გვერდებშეხლებილი
მთა ლებარკალე“, „ლაუგარდოვა-
ნი“ და გამჭვირვალე მდინარე ტე-
ხური“, პატარა მდინარე გურქე-
მია „ხეინჭენარით, სილას რომ
რბილ ქვეშაგებად თითქო განგებ-
პირი მოუწმენდია“, ნაქალაქევის,
ჭოლევისა და აბედათის გორები,
ცხვრიანი მთა კვაუთიაი, მწერ-
ლის საოცნებო სამყარო, სადაც
დანავარდობდა მისი პოეტური
სული ბალობიდან ხანდაზმულ
სიბერემდე.

მოხდენილი პოეტური ფერე-
ბით ხატავს მწერალი ღამის სუ-
რათს: „მოვარეს თავისი აქრო-
ქსოვილი ლეჩაქი მიებურა ქალა-
ქისა და მისი მისადევრისათვის.
შორეულ მთებს ლურჯი ჩოხები
ჩაეცათ ჩაქებშეჭრილი კალთე-
ბით... და მყინვარსაც თავისი თე-
თრი ჩაფხუტი გამოეჩინა“, 1,514.

5 შ. დაღიანი, რჩეული თხზულებანი-
ტ. 5, თბ., 1962, გვ. 45-46.

შ. დადიანი მომხიბლავი საღებავებით ქმნის მთების, მდინარეების, შავი ზღვის და სხვათა სურათებს. საშპობლოს ბუნების მშენებელების ასახვა ყოველთვის ემსახურება პატრიოტული გრძელების გაღვივებას.

მოქმედ პირთა დახასიათების საშუალებები. ადამიანის სახის შექმნა რთული საქმეა. იგი არ იქმნება მხოლოდ ერთი საშუალებით, ერთი ხერხით. ტიპიური სახის შესაქმნელად მწერალი ხშირად მიმართავს პორტრეტს. შ. დადიანის მიერ დახატულ ბევრ პორტრეტს მკითხველი აღიქვამს როგორც ფერწერულად შესრულებულ ნაწარმოებს. შთამბეჭდავია მოახლე ქალიშვილის თაფლოს პორტრეტი რომანიდან „გიორგი რუსი“: „...ოთხი, მაჯის სიმსხო, მოჭირებული წითელი ნაწარვები კოჭებამდინა სცემდა. პირისფერი მონიგრულ, რუს მარმარილოსავით იყო ფერმიღებული და ამ მარმარილოსა და ომის ცეცხლის ჯიღას შორის მაყვალივით შავი, კილოებში გაზიდული, მეტყველი თვალები, შავსავე მშვილდურად მორკალური წარბებით, დამატყვევებელ ეშხათ ხმაურობდა. სიარული ჰქონდა ლალი, დამოუკიდებელი. მათრახივით მოქნილი, წერწეტა ტანი თავის სინარჩარით გიშვევდათ გამოსადევნებლად“, 2,152.

შ. დადიანი მოქმედ პირთა სახელებსა და გვარებს ზოგჯერ იყენებს დახასიათების ერთ-ერთ საშუალებად. ნაწარმოების გმი-

რის გვარი ამ შემთხვევაში ხსნის მის ძირითად ხასიათს, მიგვანიშნებს იმაზე, პერსონაჟი დადებითია თუ უარყოფითი, თანაუგრძნობს ავტორი მას, თუ კიცხავს. მწერლისეული გამოგონილი გვარებია: პიტრიშაძე და ყაუყტაძე კომედიიდან „გუშინდელნი“, ბინძურეიშვილი და ვარხალალოვი კომედიიდან „უწა-უწა“, ცოცხაძე და ფოცხაძე კომედიიდან „ცოცხი და ლოკოკინა“, უწარაძე მოთხრობიდან „გარმშვენიერი“ და სხვ. ამავე ფუნქციის მატარებელია სახელები: ქუხილია და ბანძლი, ნექტარინა და თოლისქვამი რომანიდან „გვირგვილიანების ოჯახი“, ფიცხელა, მზენათი და ბინდია პიესიდან „მღვიმეში“... ამგვარი გვარები და სახელები გარკვეული კონტექსტის სემანტიკურ და სტილისტიკურ ძალას განსაკუთრებით აღიდებს.

მოქმედი პირების ენა ნაწარმოებებში მწერლის მდერ გამოყენებულია, როგორც დახასიათების ერთ-ერთი საშუალება. იმისდამიხედვით, თუ როგორ ლაპარაკობს პერსონაჟი, ჩვენ გვიყალიბდება წარმოდგენა მისი ხასიათის, მისწრაფებების. სულიერი მდგომარეობისა და კულტურული დონის შესახებ. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა კომედია „კაკალ გულში“. ამ ნაწარმოებში მეტყველებასთან დაკავშირებული კომიზმი დიდ როლს ასრულებს. კომედიაში ყურადღებას იმსახურებენ ე. წ. საშუალოზე დაბალი რანგის „ხელმძღვანელი მუშაკე-

ბი": კვეუენაძე, რინგველი და გო-
ჩოლავა. ეს სამი პერსონაჟი „გა-
ნასახიერებს მე-20 საუკუნის ოც-
იანი წლების ქართული ბიურო-
კრატიული ფენებისათვის ნიშან-
დობლივ გულცივობას, გონება-
ჩლუნგობას, კარიერისტულ მიღ-
რეკილებებს".⁶ გოჩოლავას გო-
ნებაჩლუნგობა ვლინდება უპირ-
ველესად მეტყველებაში. იგი
მცირე აზრის თუ უაზრობის გად-
მოსაცემად სიტყვების კორიან-
ტელს დაყენებს ხოლმე. მის
მეტყველებაში თავს იჩენს სასა-
ცილო ანტითეზისი. გოჩოლავას
თითოეული რეპლიკა წინათ „და-
მტკიცებულის“ ჯერ ეჭვქვეშ და-
ყენებას და შემდეგ „უარყოფას“
წარმოადგენს. ბოლოს ისე გმო-
დის, რომ გოჩოლავა ნამდვილად
არაფერს ამბობს, არაფერს ამტ-
კიცებს, თითქმის ისევე, როგორც
არაფერს უარყოფს, ყოველ თანა-
მოსაუბრეს გაუგებრობის ბურუ-
სში ტოვებს და თითქოს ნიშნის-
მოგებით „იასნო დალშეთი“ ას-
რულებს სათქმელს, მაშინ, რო-
ცა არაფერი არ არის ნათელი:
„შევრიგდეთ, ან მე შეგირიგდე-
ბი, ან შენ შემირიგდები, მაგრამ
თუნდაც არ შევრიგდეთ, დარწ-
მუნებული ხარ, რომ მე უფრო
მერგება შირმა, ამაში მე დარწ-
მუნებული ვარ, შენც დარწმუნე-
ბული ხარ, ან შეიძლება დარწ-
მუნებული არ იყო, არც მე ვიყო
დარწმუნებული, მაგრამ იასნო

დალშე!“... 4,71; „თვითონ გრძელებულ
რას ვეტყვი... არა, შეიძლება სიცი-
ვუთხრა, მაგრამ მაინც, იასნო
დალშე!“... 4,72.

აინკველის მეტყველებას, გო-
ჩოლავასთან შედარებით, საპი-
რისპირო ნიშანი აქვს. თუ გოჩო-
ლავას ყოველ წინადაღებას უმა-
ლვე მოსდევს ეჭვქვეშ დაყენება
და შემდეგ უარყოფა, რინკველ-
თან პირიქით ხდება. მას ერთხელ
ნათქვამი არასაცმარისად გასაგე-
ბი ეჩვენება და ცდილობს განამ-
ტკიცოს. ამ მიზნით ქართულად
წარმოთქმულ ყოველ ფრაზას
რუსულადაც იმეორებს.

კვეუენაძე თავის სიბეჭეს, გაუ-
ნათლებლობას თითქმის ყოველი
წინადაღების წარმოთქმისას ამჟ-
ოვნებს. მწერალი კვეუენაძის
ენის ინდივიდუალიზებას ახდენს
ცალკეულ გამოთქმათა გამეორე-
ბის საშუალებით. იგი იმეორებს
სიტყვებს: „ვჩომდილო, ტავა-
რიშ“ და „ნებანიმაიშ“.

პერსონაჟის დახასიათების ასე-
თსავე ხერხს მიმართავს მწერალი
კომედიაში „უწა-უწა“: მოანგა-
რიშე ქალი კეკელა წამდაუწუმ
იმეორებს სიტყვებს: „გენაცვა-
ლოს კეკელას თვალები!“ ეს ზე-
დმეტსიტყვაობა მისი მეტყველე-
ბის განმსაზღვრელი ნიშანია.

შ. დადიანს პერსონაჟების მეტ-
ყველების დახასიათების ერთ-
ერთ ხერხად გამოყენებული აქვს
აგრეთვე დიალექტიზმები. დიალ-
ექტურ ფორმათა ხმარება საუბა-
რში საგებით ლოგიკურად ეგუ-
ება მათ განათლებას, გარდა ამი-

6 დ. იოვაშვილი, ლიტერატურული
წერილები, თბ., 1974, გვ. 14.

სა, ასეთი სიტყვების გამოყენებით იქმნება ტიპობრივი გარემო, გარკვეული კუთხური კოლორიტი და იძერწება ტიპობრივი ხასიათები. მწერალი სიტყვიერი მასალით გვაგრძნობინებს თუ რომელი კუთხის წარმომადგენელთან გვაქვს საქმე. ავტორი რომანში „გიორგი რუსი“ ბაზალეთელ გლეხს ბოლოტუშვილს ამეტყველებს ისეთნაირად, რომ იგი ცოცხლად წარმოგვიდგება, რეალურ პირად გვეხატება, ვასხვავებთ მას სხვა კუთხის მცხოვრებთაგან, მისი ენა ინდივიდუალიზებულია, ე. ი. ინახავს ცოცხალი ურთიერთობის კონკრეტულ ფორმებს.⁷ მწერალი ალაპარაკებს გლეხს: „— ომი რა სანატრელია, მაგრამ ე ბიჭები გამერყვნებიან სახლში ჭდომითა...“

— ბევრი გყავს ბიჭები?

— სამოცდაათამდე მარტო ჩემი ნაშიერია. მე ის მაწუხებს, წინეთ სამასამდე მაინც დავარჩევ-დი ვაჟყაცხა და ახლა არ ვიცი ჩემიანთ გარდა რამდენს-ღა შევკრებ... აი ერთი ჩემიანიც ემანდა... აი ეგერა... ძულან რო... მუშაობდა“... 2,241.

⁷ Л. Тимофеев, О принципах анализа языка, литературного произведения, «Литература в школе» 1939 г. № 3.

კომედიას „არაფერიც არ იქნება“ სათაურის ქვეშ აქვს მინაშერი, რომ მოქმედება ხდება აღმოსავლეთ საქართველოს ერთერთ მიყრუბულ სოფელში. კომედიის პერსონაჟების მეტყველება ამ მინაშერის გარეშეც მიგვანიშნებს მოქმედების ადგილს. პინიშები: „— უი, ქა! ერთი აქ შეხე, მაგლანჭან! — დაიშუბოს მაგი დამწერი... — ამითვინა მატარებელში კაჯალი წაურტმევიათ... — როგორ თუ წაურტმევიათ? — ლამაათ... ტომარაც წაიღეს.... თორენა — მატარებლიდან გადმამიყვანეს... კედლი გაზეთში არ არის გამოჭიმული თავის გრძელ ულვაშებითა!.. — ალარავისა ზოგამენ... — ეხლა მენა რო ერთ ტაქან ღვინოზე დავპატიუო, არ იმღერებს?“ 4,249-257.

კომედია „გუშინდელნი“ ენბიბრივი ფორმებით მიგვანიშნებს, რომ მოქმედება მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოში. აქ გამოყენებული დიალექტიზმები ნიშანდობლივია დასავლური კილოებისათვის.

მოქმედი პირის დახასიათებისა და ტიპობრივი გარემოს შექმნის მიზნით მწერალი იყენებს არქაზმებსაც. არქაულ ფორმებს უმთავრესად ვხვდებით ისტორიული პირების მეტყველებაში. ეს ბუნებრივიცაა. თამარ მეფეს, გოდერძი ჩორჩანელს, დავით სოს-

ლანს, არსენ სამძივარს, რუსულან დედოფალს, ზაქარია მხარე-გრელს... თანამედროვე ქართულით რომ ემეტყველათ, ცხადია, შეუსაბამო იქნებოდა, დამაჯერებლობა მოაკლდებოდა ამ მხატვრულ სახეებს.

რიტმულობა, როგორც პოეტური თხრობის გამოხატვის საშუალება. შ. დადიანის ნაწარმოებებში გვხვდება რიტმული პროზის ნიმუშები. ამ მხრივ აღსანიშნავია მწერლის „ჩამოკრულები“, როგორიცაა: „სიხარულის არის ცრემლები“, „მონა-ყმა-მუშა“, „ხმა“, „შინ“, „მთის ყვავილი“, „ეჭვი“, „სახელსა და დიდებას“, „ბანი“, „ღობემძვრალას“ და სხვა.

ამ ნაწარმოებებში რიტმულობას ქმნის ეპითეტთა ხშირი ხმარება, გარკვეული ლექსიების მოშველიება, წინადადებებში სიტყვათა რიგი, განსაკუთრებით მსაზღვრელ - საზღვრულის არქაული წყობა და ოც თუ იშვიათაზ რიტმი. შ. დადიანის პროზაში პოეტური თხრობის განმსაზღვრელია უმეტესად შინაგანი რიტმულობა. სანიმუშოდ ავიღოთ ალეგორიული ხასიათის ნაწარმოები „სიხარულის არის ცრემლები“, რომელიც დიდი ლირიკული განცდით და პოეტური უშუალობითაა დაწერილი. მინიატურაში აშ-

კარად იგრძნობა მარცვალთა თანაბარი, კანონზომიერი განაწილება ფრაზაში:

„სიბნელე იყო(5), მხოლოდ უორს სადღაც(5), ვით ზღვის კანდელის(5), მოკიაფობდა(5) რაღაც სინათლე(5). ამ სიბნელე-ში(5) თვალებშეჩევულა(5) ჩემსა გარემოს(5) სურათსა შავსა(5) მივჩერებოდი(5)“. როგორც ჩანს, პირველ და მეორე ფრაზაში რიტმული ერთეულების მარცვალთა რაოდენობა თანაბარია, ტოლია მათი შეფარდებაც — 5:5.

„ზოგჯერ მესმოდა(5) მისი გრგვინგა(4) ყრუ და ძლიერი(5), ზოგჯერ ზვირთების(5) ნელი ჩქროლა(4) მინანვებდა(5), თავს ცამრისხანელ(5) მოქუშული(4) ჩამომწოლოდა(5), თითქოს უნდოდა(5) ღრუბელი ზვავქვეშ(4) რომ მოვყოლოდი(5)“. ამ მონაკვეთში რიტმულობა ძლიერია. რთული წინადადებების თითოეულ ნაწილში მარცვალთა რაოდენობა თანაბარია — 14:14... 14:14. რიტმული ერთეულების შეფარდება წინადადებების მიხედვით არის — 6:6.

ნაწარმოები ბოლომდე თითქმის ასეთივე რიტმულობით ხასიათდება, თუმცა ზოგჯერ დარღვეულია რიტმულ ერთეულებში მა-

რცეალთა რაოდენობა. მაგრამ ეს ხელს არ უშლის ენის მუსიკალ-ობას, პოეტურ თხრობას, რადგან ფრაზაში ძლიერია შინაგანი რიტ-მულობა.

რიტმული პროზის ნიმუშია „მონა-ყმა-მუშა“. მაგალითი ტე-ქსტიდან:

„ასე ამგვარად(5) დაიბადა(4):
სუსტი ძლიერი(5). მერე რა და
რად(5) არ მომნათლე(4), რა არ
დამარჯვი?(5) ჯერ მონა ვიყავ(5)
სულიერი(4) ვითომ უსულო(5).
მერე ყმად ვიქეც(5), ბევრი სუ-
ლი(4) არც მაშინ მქონდა(5), შენ
მაინც მაშინ(5) ასე ბჭობდი(4),
ასე ფიქრობდი(5), ახლა მეძახი(5)
მუშა ხარო(4), სულიც გიდგა-
სო(5). მწამს რომ კაცი ხარ(5) და
კაცური(4) გინდა მოჰყრობა(5),
მაგრამ რა შორს არს(5) შენი სი-
ტყვა(4) და შენი საქმე(5). რაც
იყო თავში(5), ბოლოშიაც (4)
იგვივე დარჩა(5). იქეთკენ ისევ(5)
ძლიერია(4), აქეთკენ სუსტი(4).
სახელი სცვალე(5), სახრავი კი(4)
ისევ შენია(5). ეს არის მთელი(5)
ისტორია(4) შენი და ჩემი“(5).
როგორც ჩანს, თითოეული თო-
თხმეტმარცვლოვანი რიტმული
სტრიქონია. რიტმს ქმნის თანაბა-
რი შეფარდება ტაეპის ინტონა-
ციურ ერთეულებს შორის. შეფ-
არდება ასეთია: 5—4—5. ხუთმა-
რცვლოვან ერთეულში გამოიყო-

ფა მცირე რიტმული ერთეულებიც
(ქორე და დაქტილი) შეფარდე-
ბით 2:3. მაგ., ასე, ამგვარად...
სუსტი, ძლიერი...

შ. დაღიანის „ჩამოკრულებში“
ყოველთვის არ გამოიყენება ამგ-
ვარი საზომი. გეხვდება ათმარცვ-
ლოვანი და თხუთმეტმარცვლო-
ვანი ტაეპებიც: მაგ., „ოჰ, ეჭვო,
ეჭვო! გეთაყვანები!“ 1,51. „შენა
ხარ გზაღმყვანი, უცხო ვარსკვლა-
ვი კაცობრიობის!“ 1,51.

რიტმული პროზის ელემენტე-
ბი შეინიშნება დრამატულ ნაწა-
ომოვებებშიც, როგორიცაა „როს
ნადიმობდნენ“, „მღვიმეში“ და
„თეთნულდი“, შ. დაღიანი დი-
ლოგის შესანიშნავი ოსტატია, ზა-
გომ „თეთნულდის“ დიალოგი
თავისი მოქნილობით, ბევრადო-
ბით და იშვიათი მუსიკალობით
განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭი-
როებს. „თეთნულდის“ მრავალი
დიალოგი და მონოლოგი თავისი
წყობით რიტმულ პროზას უახ-
ლოდება. რიტმული პროზა
ზრდის ტექსტის ემოციურობას
და დიდ მხატვრულ ეფექტს იძ-
ლევა.

შ. დაღიანი ორიგინალური
სტილის შეტანილია. პოეტური
უშუალობა, განცდათა სიღრმე,
საოცარი გულწრფელობა და ნა-
ზი ლირიზმი ახასიათებს მის
თხრობას, ლაპიდარული, მეტყვე-
ლევა.

ლი და ფერადოვანი სტილი, განუმეორებელი. წერის მანერა აშკობს მის ქმნილებებს. მწერლის ბევრი ნაწარმოები სულის ერთი შთაბერვით შექმნილ პოეტურ ნიმუშს გვაგონებს. შ. დადიანს მეტად გამახვილებული აქვს ფაქტი გრძნობა სიტყვის შეცნობისა და ამიტომაც მის მიერ თქმული უბრალო სიტყვაც კი საოცარ მიმზიდველობას იძენს.

მწერლის ენა ქართული ენაშეობის საუკეთესო გამოყლინებაა. მისი ყოველი ფრაზა გემოვნებითაა შერჩეული, თავაზიანი და ამაყია, მკვრივი და კრიალაა, თითქოს მწერლის სულის გამომზეურება იყოს.

შ. დადიანის ღვაწლი ქართული ენის ისტორიაში საკმაოდ დიდია. იგი ქართული ენის ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელია.

ჯემალ ჯაზელი,

ფილოლოგის, მეცნიერებათა
კანდიდატი

პარმენ რუჩაშვილის შემოქმედებები და ლიტერატურული - ფოლკლორული ურთიერთობანი

პარმენ რუჩაშვილი (1888-1963) ეკუთვნის მწერალთა იმ თაობას, რომელთა შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი საუკუნის დასაწყისის სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა. ახალგაზრდა მუშა-პოეტი შინაგანად დარწმუნებული იყო, რომ გამოჩენებოდა ცისკარი — „გამარჯვების წინამორბედი“. მის პოეტურ სამყაროში იბრძოდა ორი საწყისი, ორი უკიდურესობა — სიკეთე და ბოროტება. კეთილ ძალებში იგულისხმებოდა ის სანუკვარი თავისუფლება, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის უნდა მოეტანა — „კაცობრიობის ცისკარი“, ამომავალი მზე. მზე კი, ისევე როგორც მთვარე და ვარსკვლავები, ხალხური მხატვრული სახეებია. ეს სახეები მუდამ ნიშნავდა სწრაფვას ამაღლებული ადამიანური იდეალებისაკენ. მაგრამ ამ ფოლკლორულ პოეტურ სახეთა გვერ-

დით შეიქმნა ბოროტების საწყისთა ხალხური მხატვრული სახეები, როგორიცაა დემონი, ქაჭი და სხვა.

დემონის თემას ბევრმა მწერალმა გადაუხადა ხარკი როგორც პოეტურ, ასევე პროზაულ ნაწარმოებებში. ეს თემა ხელოვნების ნივთიერ სახეებშიც განხორციელდა. პარმენ რუჩაშვილმა შემოქმედებაში დემონოლოგიის სახეთა სიმბოლოები რევოლუციის მტრების სახით წარმოსდგა. 1914 წელს დაწერილ მის ერთ უსათაურო ლექსში ეს ნათლად იგრძნობა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პოეტმა დემონოლოგიის მხატვრულ სახეთა სისტემა შეაწივა ამ თემაზე შექმნილი კლასიკური მწერლობიდან, მაგრამ დასახელებულ ლექსში, ამ შემთხვევაში, არა თუ ბაირონის „კანის“, არამედ უშუალოდ ფოლკლორული მასალებით მიღებული შთაბეჭდილებები იგრძნობა თა-

ვისებურ პოეტურ განწყობაში. ამიტომაცაა, რომ თვით ფოლკლორში ცნობილი გამოსახვის საშუალებებითა და ხერხებითა გახსნილი ეს ხალხური მხატვრული სახეები.

კიენის ბობოქარი სული ვერ ეტეოდა დედამიწაზე და ისე წარმოედგინა, თითქოს თავისი აურაცხელი შესაძლებლობების მიუხედავად დემონამდე მაინც ვერ ამაღლებულიყო სიძლიერისა და

დედამიწაზე დაუტევარდი საჭლო თვისებებით. იგრძნო, შეიგნო ეს და დაღვარა მმის სისხლი.

„და ამით უფრო გააღრმავა ბეჩავმა წყლული“! პოეტმა ეს იმ-თავითვე ხალხური მასალა, გამოსახვის საშუალებანი და პოეტური აქსესუარები გამოიყენა იმისათვის, რომ დამაჯერებლად დაეყენებია კითხვა თუ როდის დამყარდება ქვეყანაზე მშვიდობა, სიყვარული და სათნოება.

მას შემდეგ სისხლი ალარ შრება დედამიწაზე,
შეღებილია ჭიისფერად გზა, მინდორ-ველი.
ო, ნეტავ როდის დამყარდება ამ ქვეყანაზე
სიყვარულის და სათნოების დრო სანატრელი.²

კონტრავოლუციური ძალების თა დემონის ხალხურ მხატვრულ გამოსახატავად პოეტმა მთელ სახეებს.
რიგ მომდევნო ლექსებში მიმარ-

დუხჭირ ცხოვრებას მალე დაპერავს მეხი ციური,
ჭაოსი დანთქავს ბნელსა ძალას. ბნელშივე ნაშობს,
შეწყდება ლხენა და ხარხარი დემონიური
და სანეტარო ტკბილ მომავალს შრომა წარმოშობს.³

ლექსში „ნატვრა“ პოეტისათ- წარმოადგენს ქვეყნის ორგული-
ვის ყველაზე დიდ, თუმცა ამ შე- სა და ხალხის მტერის სამარცვი-
მთხვევაში პასიური პოზიციები- ნო ბოძზე გაკვრა:
დან, სანატრელს და საოცნებოს

ას, ნეტავ ვიყო მძლე ქარიშხალი,
რომ ზღვას მდუმარეს დავუფრთხო ძილი.
ნეტავ შემეძლოს მწუხარე კვნესად
შევცვალო ბოროტ სულის სიცილი.⁴

1 პ. რურუა, ერთომეული, სახელგა-
მი, ბათუმი, 1958, გვ. 46 (ქვემოთ ყვე-
ლგან მითითებული იქნება აღნიშნული
გამოცემა, რადგან წინა გამოცემებიდან

ლექსებს ფოლკლორული ცვლილებები
არ განუცდია).

2 იქვე, გვ. 46.

3 იქვე, გვ. 9.

4 იქვე, გვ. 17.

მომდევნო ლექსში „ოცნება“ პოეტი წამიერად მოწყდა მიწიერ ცხოვრებას და თავის იდეალებთან ერთად ზეციურ, უბოროტო

ცხოვრებას ეზიარა. იქ არ იყო ჩაგვრა და აბუჩად აგდება, იქ ყველაფერი ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს.

იქ ცხოვრების ქარიშხალი
 არ ქროდა, არ მღელვარებდა.
 მხოლოდ ვით ზღვა — ლურჯი ზეცა
 ლივლივებდა, ელვარებდა.
 საზარელი ბოროტ სულის
 იქ ხითხითი არ მესმოდა,
 მთვარე ოქროს სხივს მაფრქვევდა,
 სიხარულით ფრთა მესხმოდა.⁵

დიახ, მხოლოდ მაშინ იყო ბე-
 დნიერი პოეტის სული, რადგან
 ოცნებებით მოწონებულ აღთქ-
 მულ მხარეში მისი სმენა თავი-
 სუფალი იყო საზარელი ბოროტი
 სულის ხითხითისაგან. დემონი,
 ცხადია, ყველგანაა, მაგრამ იმ-
 დენად დარწმუნებულია პოეტი
 მიწიერი კონტრრევოლუციური
 ძალების დემონიურობაში, რომ
 ის, დემონი, მხოლოდ მიწაზე ეგ-
 ულება და არა ცაში. ეს ლექსი
 დაწერილია 1913 წელს და პო-
 ეტს, ცხადია, არ შეეძლო კონ-
 ტრულად ჩამოეყალიბებია თა-
 ვისი საბრძოლო პოეტური პრო-
 გრამა, ამიტომ განსახილველი
 ლექსის ლირიკული გმირის მებ-
 რძოლი სული დაბალია და ის პა-

სიურ ჭვრეტამდე დადის. მებრ-
 ძოლი პათოსის დაცემა იგრძნობა
 აგრეთვე ლექსში „ღამეა, ღამე“.
 ეს ლექსი შეიქმნა 1914 წელს.
 საყოველთაოდ ცნობილია, ამ
 წლების დიდი შინაგანი პოლი-
 ტიკურ - ეკონომიური დაძაბუ-
 ლობანი, რაც შემდგომ სისხლის-
 მღვრელ მსოფლიო ომად გადაი-
 კცა. ამ წლებში შემოქმედებითი
 ინტელიგენციის დაცემულობის
 განწყობილების ფესვები კიდევ
 უფრო ღრმად გაიჭრა ხელვნე-
 ბის თითქმის ყველა სფეროში.
 ამიტომ გასაკვირიც არაა მუშა
 პოეტის პ. რურუს სულშიც შე-
 კრილიყო ბზარი უიმედობის,
 სუნი მსოფლიო ომში დაღვრილი
 სისხლისა და უკომპრომისო სუს-
 ხი:

ლამეა, გული მიკვნესის მწარედ,
ბნელია სახლში... ბნელია გარეთ...
ცისა ეთერი შავად ციმციმებს,
ლამე კვლავ სოფელს იპყრობს ღრმა ძილით...
სატანა თავის ჩანგისა სიმებს
ლამდერის ისევ ველურ სიცილით.
არსად ჩანს მთვარე — წყვდიადის მტერი,
ის ბნელს შთაუნთქავს... სისინებს ქარი...
ენა დუმდება, ვეღარა ვმღერი...
გული მიკვნესის, ქვითინებს ქარი...
ლამეა, ლამე საშიში, ბნელი —
სიცოცხლეს მუსრავს სიკვდილის ცელი...⁶

ეს ამონაწერი იმიტომ მოვი-
ზანეთ, რომ მისაწვდომი გაგვე-
ხადა ის კონტრასტი, რომლის
ერთ მხარეს ბოროტება დგას.
ხოლო მეორე მხარეს ძლეული
პოეტური სული, რომლის ფონ-
ზეც სატანა თავის ჩანგის სიმებს
აყლერებს და მღერის ველური
სიცილით.

ცას შავი რიდე შემოეხვია,
გამეფდა ირგვლივ ღმე ტიალი
და თანაც მავნე, ბოროტ სულებმა
იწყეს განგაში, იწყეს ყიალი
და ყურთა სმენას ჭამლავს და შხამავს
მათი ხითხითი, მათი ხრიალი.
რა გახარხარებთ, კუდიანებო,
რა გაზეიმებთ, რა გიხარიათ?
სამუდამოდ რომ მზე დააბნელოთ,
იმდენიც თქვენა გაგიხარიათ.⁷

ამ ლექსში დახასიათებული
ბუნება ბოროტი სულებისა —
მათი „განგაში“, „ყიალი“, ყურ-
თა სმენის „მომწამლავი“ და

ეს მოტივი გვიანამდე არ წყდე-
ბა პ. რურუს შემოქმედების
დისონანსებში. ამ მხრივ, თუ შე-
იძლება ითქვას, ლექსში „ლამით“
არის საინტერესო ნიმუში ავი
სულების ბუნებისა და დახასია-
თების წვდომისა.

„მომშხამავი“, მათი „ხითხითი“,
„ხრიალი“, „ხარხარი“ და სხვა,
დემონოლოგიურ სახეთა აქ და-
ხასიათებული შინაგანი სამყარო,
ბუნება, ხასიათები და ოვისებები
ფოლკლორულ წყაროებით აა-
შთაგონებული. ეს წყაროები

6 იქვე, გვ. 45.

7 იქვე, გვ. 83.

ვრცელი და მდიდარია. აქ თით-
ქოს შეჯამებულია ამ ხალხურ
მხატვრულ სახეთა ინდივიდუალ-
ური და გრძნობად-კონკრეტული
ხასიათები ერთი მთლიანი მო-
ნოლითური დემონური სახის შე-
საქმნელად, რომ კეთილ ძალებ-
თან მისი დაპირისპირებით დიდ
პოეტურ ეფექტს მიაღწიოს. ასეც

ზღვა თვალსა იფშვნეტს ნამძინარევი,
საცაა ქარიც დაიწყებს ქროლვას
და მალე ისევ, სულნო ბოროტნო,
ჩვეულებრივად აგიტებთ ბრძოლას.

მოვა დრო და ზღვა კვლავ აღელდება,
საბედისწერო დარეკავს ზარი,
ტალღა წამოვა განრისხებული
და აიჭრება ღრუბლებში ქარი,
და დაგიდგებათ დრო საწუხარი,
და დაგიდგებათ დრო შესაზარი!⁹

ლექსი დაწერილია 1917 წელს
და მისი პათოსიც ამიტომ საკმა-
ოდ ამაღლებულია. აქ დაპირის-
პირება ბოროტი ძალების წინაა-
ღმდეგ მკეთრი და გადამწყვე-
ტია. პ. რურუა, როგორც ზემოთ
აღვნიშნეთ, ზოგჯერ თუ ცალკეუ-
ლად მიმართავს უარყოფით ხალ-
ხურ დემონოლოგიურ სახეებს,
ხშირად მათ აერთმოლიანებს და
ერთი ცნების ქვეშ ათავსებს.

ამის ნიმუში აქ წარმოდგენილ
ლექსებშიცაა: „და მალე ისევ სუ-
ლნო ბოროტნო ჩვეულებრივად
აგიტებთ ბრძოლას“. ზღვის მხა-
ტვრული ხალხური სახე 1918
წელს დაწერილ ლექსებშიც პო-
ეტური კრედოთი წინასწარ მინი-
შნებულ ადგილს იჭერს ქვემოთ
ციტირებულ სტრიქონებში:

ბოროტებს შიშის ზარს
დასცემენ მახვილით,
ქვეყანას მოლახვენ
ფოლადის მახვილით,
და შემდეგ, როდესაც
ზღვის ღელვა ჩადგება,
როდესაც მშვიდობის
ღრო-ჟამი დადგება —

8 ამ საყითხზე იხილეთ გ. ჭაველის
საკანდიდატო დისერტაცია „ქართველ
მთიელთა პოეტური ტრადიციების ასა-
ხვა ლიტერატურაში“ (პ. ი. ლერმონ-
ტოვი, ა. მ. ყაზბეგი) გვ. 83.

9 პ. რურუა, დასახელებული ტომი,
გვ. 83-84.

ჰიმნს გამარჯვებისას
შებრძოლი გულითა
დააგუგუნებენ
კვლავ სიხარულითა.¹⁰

ხალხური სიტყვიერების მრავალი ნიმუში იცავს აზრს, თითქოს ჭექა-ქუხილი სხვა არაფერია, თუ არა გაავებული ცხენებით ეტლის ჭენება ცაში. ეს მითიურ-ასტრალური სახე გამოკრთა ლექსში „გაზაფხულის ღამე“.

ელვამ ფრთები გაპკრა წყვდიაღს,
დაიჭექა, დაიქუხა,
ზეცის რაშმა დაიგმინა,
ბოროტ სულმა იშყო ძრშოლა.
მზის სხივების მოტრფიალე
ღამის წყვდიაღს შეებრძოლა.¹¹

ამ ლექსის პოეტური აქსესუარები: „ელვა“, „ჭექა“, „ქუხილი“, „ზეცის რაშის გმინვა“, „ბოროტი სულის ძრშოლა“, „მზის სხივების ტრფიალი“ და სხვა, ლიტერატურულ - ფოლ-

კლორული ურთიერთობის შესანიშნავი ნიმუშია. ციური მოვლენებისადმი ხალხური წარმო-დგენების გამონაკრთომთან ერთად აქ ოპტიმისტური შტრიხით ვხვდებით ხალხური დემონოლოგიისა და ბიბლიურ-მითოლოგიური ხასიათის ანარეკლებს.

საგულისხმოა, რომ დემონს, მავნე სულს უკავშირდება ყველაფერი, რაც პოეტს სიმშვიდეს უკარგავს პირადი და საზოგადოებრივი ბედნიერების ექლიან გზაზე, თვით სიყვარულშიც კაერთ-ერთ უსათაურო, სატრფიალო ლექსში დემონური სიძლიერისა და ყოვლისშემძლეობის გრძნობა თავისებურადაა გადატეხილი. „სიმშვიდის წამრომევი“, „გულის დამატყვევებელი“, „გულზე ჭრილობების გამჩენი“ გრძნობა ახლავს უსაზღვრო პოეტურ სიყვარულს. ასეთი გრძნობების გასაგნებად აქაც დემონს მიიჩნევს და დასძენს:

სულში რომ ძვრები, სიმშვიდეს მართმევ,
წმინდა არსი ხარ თუ მავნე სული?¹²

დემონოლოგიის ხალხურ მხატვრულ სახეთა მოშველიებით, მათი ბუნების დახასიათებით, რევოლუციამდელ ქართულ პოეზიაში თავისი მოკრძალებული შემოქმედებითი ხმით მუშა-პოეტმა პარმენ რურუმ საინტერესო კონტრასტები შექმნა. ეს კონ-

ტრასტები გამოიხატება კეთილასა და ბოროტის ურთიერთ მარადიული ბრძოლის პოეტური ჩვენებით. მას, ცხადია, არ შეუქმნია რომელიმე ფოლკლორული ნიმუშის პოეტური გადამუშავებით რამე ახალი, თვალსაჩინო ნაწარმოები, მაგრამ გარკვეული ხარჯი გადაიხადა ტრადიციული ხალხური სახეების იმ გარეგნული ნათებისათვის, რომელიც მის

10 იქვე, გვ. 90.

11 იქვე, გვ. 20.

12 იქვე, გვ. 47.

ჭვრეტითს მეხსიერებასთან დარჩა.

ქართულ სატრფიალო ფოლკლორში ფართოდაა ცნობილი ე.წ. „მაქციას“ მოტივი. მაგალითად, „ჩიტად მაქცია“, „ფიფ-

ქად მაქცია“, „ბაგეზე დაგაღნებოდი“, „პერანგად მაქცია“ და მრავალი სხვა. პ. რურუას სატრფიალო ლექსში „სარკის წინ“ გვხდებით სწორედ ამ მომენტს. პოეტი გამოთქვას სანუკვარ სურვილს:

მსურს მე მდინარედ გადავიქცე,
და შენ კი — ალად,
ჩემს სათუთ გულში სამუდამოდ
რომ ჩაიძირო.¹³

ეს ლექსი ამ შემთხვევაში ორ მხრივაა საინტერესო. ერთი მხრივ მასში მდინარედ გადაქცევის ცნობილი მოტივია, მიღებული ფოლკლორულ - გამომსახველობითი ტრადიციით, ხოლო მეორე მხრივ ის ეხმიანება მდინარესთან მჭიდროდ დაკავშირებულ ალს, რომელიც ხალხურ რწმენაში ღვთაება დალის ფუნქციადაკარგული, დაკნინებული სახეა ბიბლიაში კარგადცნობილი დალილას შემდეგ. ამ ფოლკლორულმა პერსონაჟებმა, მართალია, საუკუნეების მანძილზე ვერ შეიძინეს ანთროპომორფული სიმბოლური სახეები, მაგრამ ხალხურ

რწმენაში მტკიცედ დამკვიდრდნენ შესანიშნავი ინდივიდუალური სახე-ხასიათებით. ყველასაოვის ცნობილია, რომ ალი ფოლკლორული მასალების მიხედვით მჭიდროდაა დაკავშირებული წყალთან.¹⁴ ის გარეგნულად არის ზედმიწევნით ლამაზი. მას აქვს სწორი, ლამაზი სახე, ზის მდინარესთან ლოდზე და ივარცხნის ოქროსფერ გრძელ თმებს. თვისებებითაც თავისებურია. ის თავისი მშვენიერებით, მომხიბვლელობითა და მომაჯადოებლობით დიდ გავლენას ახდენს ადამიანზე — მამაკაზე. მას შეუძლია იყოს ცოლი. ის საკმაოდ ცბიერიცაა. იმავე ლექსში ვკითხულობთ:

შენ ნარცისივით სარკის წინ ხარ მუდამ დახრილი
და გინდა დატკბე შენივ სახის მშვენიერებით.
ტანი მოქნილი — ალვასა ჰგავს მალა აყრილი,
ვის არ მოხიბლავ, ღვთაებრივო, მაგ ცბიერებით?

14 ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 112-114; ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971, გვ. 136-137.

13 პ. ჭაველას დასახელებული ნაშრომი, გვ. 79;

ასულს კი არა, ზღაპრულ ნიმფას ჰეგავხარ თვალ-ტანატს,
ჰეგავხარ თვალ-ტანატს, საუნდევ ძვირო!¹⁵

აქ სატრფო შედარებულია ალ-
ის ხალხურ წარმოდგენებში შე-
მონახული გაგების მომაჯადოებ-
ლობითობასთან, ნიმფას ზღაპ-
რულ სილამაზესთან და ამით გა-
კეთილშობილებულია სიყვარუ-
ლის პოეტური გრძნობა, გალამა-
ზებულია ლირიკული გმირის სა-
მყარო და მხატვრულად ამაღლე-
ბულია ლექსი „სარკის წინ“.

ფოლკლორში კარგად ცნობი-
ლი ე. წ. „მაქციას“ მოტივი სა-
თავეს უნდა იღებდეს ე. წ. „ნატ-
ურიდან“. ნატურა ისეთი სანუკვა-
რი გრძნობაა, რომ ხალხს ისიც
სანატრელად მიაჩნია:

„ნეტავი ნატვრა მანატრა“.

საგულისხმოა, რომ „მაქციას“
მოტივის ერთ-ერთი უნიკალური
ლექსის სათაურია „ნატვრა“. რაც
საქმიანდ დიდი დასტურია იმისა,
რომ ეს მოტივი სათავეს იღებს
მოტივიდან „ნატვრა“.

ნეტავ ფრინველად მაქცია,
შენსკენ გაღმოვყვე ნიაგსა,
მოვიდე, ყელს მოგეხვიო,
თავგაუშლელსა იასა.
საბნისა წვერი ავწიო,
პირსა გაკოცო მზიანსა,
არც არა შენ დაგიშვდეს,
არც მე ჩავვარდე ზიანსა.¹⁶

„მაქციას“ მოტივის საუკეთე-

სო ნიმუშია „ნეტავი რათმე მაქ-
ცია.“

ნეტავი რათმე მაქცია,
ბულბულად გადამაქცია,
ბულბულის ენა მისწავლა,
ბალებში შემომაჩვია.¹⁷

ეს მოტივი აჭარულშიც საკმა-
ოდაა გავრცელებული. მიგვაჩ-
ნია, რომ პ. რურუს სტრიქონე-
ბი — „მსურს მე მდინარედ გა-
დავიქცე და შენ კი ალად“, რო-
გორც ლიტერატურული, ასევე
ფოლკლორული თვალსაზრისით
არის ფრიად საინტერესო.

პ. რურუა გეგეჭკორისა და
აბაშის მოსახლვრე სოფელ ორ-
ქაში დაიბადა. ეს თანამედროვე
კოლხეთის თითქმის ცენტრს წა-
რმოადგენს. კოლხური (ქართული)
ფოლკლორი ამიტომაც ასე ახლო-
ბელია პოეტისათვის. ამ სიახ-
ლოვის ერთ-ერთი დადასტურე-
ბაა არგონავტიეკის, კოლხი მედე-
ას თემა და ვრცელი ლექსი „ლა-
ზური სიმღერა“.

ლექსში „მედეა“ ცნობილი მი-
თური პერსონაჟი მედეა დახასი-
ათებულია სწორედ ისე და ხასი-
ათდება სწორედ იმ თვისებებით,
როგორც ეს ცნობილია ფოლკ-
ლორიდან. არგონავტიეკას მიეძ-
ღვნა მთელი რიგი მეცნიერულ-
პოპულარული გამოკვლევები-

15 პ. რურუა, დასახ. წიგნი, გვ. 80.

16 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოე-
ზია, თბ., 1961, გვ. 75.

17 იქვე, გვ. 241 (ორივე ლექსი ჩა-
წერილია ქართლში).

მან დიდი ხანია მიიპყრო ფოლ-
კლორისტთა ყურადღება. ყველა
შესაძლო ვარიანტითაც ცნობილი
კოლხი ქალის მედეას არა მარტო
გარეგნული პლასტიკა, არამედ
მთელი მისი შინაგანი სულიერი
სამყარო, მისი ინტერესები, მიზ-
ნები, ვნებათა ღელვა, დაუოკებ-
ლობა გულისა, ულმობლობა და
სწრაფვა, სიყვარულის ვულკანუ-
რი ქმედების სულისშემძვრელო-
ბა.

თითქმის ასევეა დახასიათებუ-
ლი მითიური მედეა ლექსში „მე-
დეა“. ეს ისეთი მარადიული თე-
მაა, რომ მასზე შექმნილი ნაწარ-
მოებებისათვის დროის გარკვეულ
მონაცვეთს, თუნდაც. საუკუნეს,
არავითარი ახსნა და მნიშვნელო-
ბა არა აქვს. პ. რურუას ეს ლექ-
სი დაიწერა 1913 წელს. ეს დრო
სავსე იყო ტკივილებითა და ში-
ნაგანი დაძაბულობით. ამ დროს
შექმნილი საქმაოდ მაღალმხატვ-
რული სონეტები თავისთავში
ერთ შტრიხს მაინც უნდა შეიცა-
ვდეს, დამახასიათებელს ეპოქისა-
თვის. პ. რურუას რევოლუციამ-
დელი ლექსებისათვის თითქმის

ერთნაირად დამახასიათებელია
ეპოქის მაგისცემა, ბიოგრაფიის
ნაწილი, მაგრამ ლექსისათვის
„მედეა“ ეს ყველაფერი საქმაოდ
შორს დგას. ეს იმის მაჩვენებე-
ლია, რომ მედეას თემა არის უც-
ვლელი და მარადიული. ის ყვე-
ლა ეპოქის ეკუთვნის იმ ერთხელ
შექმნილი და მკვეთრად ჩამოყა-
ლიბებული მხატვრული სახით,
როგორიც შემორჩა აღამიათა
წარმოდგენებს.¹⁸

პ. რურუას ლექსში მედეა და-
ხასიათებულია, როგორც „მომ-
ხიბლავი“, „მიმზიდველი“, „მშვე-
ნების ხატება“, „ხატება სულის“,
„თვალები ცეცხლის ზღვა, მგზე-
ბარე, მწველი“. ის წარმოდგენი-
ლია, როგორც „ოცნება“, „ვნე-
ბის აღმდევრელი“. პოეტი ასე მი-
მართავს მედეას: „შენ მშვენება
ხარ, ჩვენება ხარ და თან სამა-
რე“. ეს ერთი პოეტური სტრი-
ქნია, ეს ერთი მხატვრული ფრა-
ზა თითქმის მთლიანად ახსიათ-
ებს ხალხურ ჩრდენებში შენახუ-
ლი კოლხი ქალის ბუნებასა და
გარეგნობას. ეს ქვემოთ უფრო
ღრმავდება:

შენ მედეა ხარ, კოლხიდისა ტურფა ასული,
ტურფა ასული, მომხიბვლელი და მიმზიდველი.
შენ მშვენებისა ხატება ხარ, ხატება სრული,
შენი თვალები ცეცხლის ზღვაა მგზებარე, მწველი.
შენ გაზაფხულის ყვავილი ხარ, ჯერ გაუშლელი,
ჯერ გაუშლელი ნაზი ია პირმომლიმარე!

18 ნ. ა. კუნი, ძველი საბერძნეთის
ლეგენდები და მითები, თბ. განათლება,
1965, გვ. 241, 242, 254, 255.

შენ ოცნება ხარ ლაღი, მწველი, ვნების აღმძვრელი.
 შენ მშვენება ხარ, ჩვენება ხარ და თან სამარე. პილურით
 შენი სიცილი ჩანჩქერსა ჰყავს მთით ჩამორხეულს,
 სიმღერა — ოაღაც შეუცნობელ ღამესა გრძნეულს,
 ბაგე — კოკობ ვარდს, ტანი — ნამდვილ ალვისხე-საროს,
 მაგრამ არ ვიცი, სისასტიკით ეგ შენი სული
 და თვით სიცივით გაყინული ეგ შენი გული,
 ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო, რას შევადარო!¹⁹

როგორც ვხედავთ, ამ სატრფა-
 ლო სონეტში უხვადაა გაბნეუ-
 ლი ხალხური მედეას გამომსახვე-
 ლობითი ფორმები, ნაჩვენებია
 მისი ვერაგული ბუნება. ხალხურ
 მასალებში მედეა სწორედ ასეთი
 მშვენიერიცაა და ვერაგიც, მოღ-
 ალტეც, ულმობელიც.

3. რურუს ვრცელი ლექსი
 „ლაზური სიმღერა“ შედგება
 ორასი სტრიქონისაგან. მასში გა-
 დმოცემულია გულისტკივილი,
 რომ სარფი გაყოფილია ორ ნაწი-
 ლად, რომ ძმა ძმასთან ვერ მი-
 დის. ბოლოს ეს კონკრეტული
 პირადული ტკივილები გადადის
 ერთს იმ ისტორიული ტკივილებ-
 ის გახსენებაში, რომელიც დღემ-
 დე მოგვდევს.

ლაზთა პატრიოტული სულის-
 კვეთებით აღზრდის მიზნით პოე-
 ტი ქმნის სტრიქონებს, რომლის
 მიხედვითაც მიტაცებული ქარ-
 თული მიწების მკვიდრთ სიამა-
 ყის გრძნობას განაცლევინებს
 სწორედ ხალხური, ფოლკლორ-
 ული საუნგის მოხმობითა და მე-

შვეობით, შაირების, ზღაპრების
 გახსენებით.

პაპა ცოცხალ, გაფრენილ
 ჩიტებს ქვაზე ხატავდა,
 გულის სეგდა-კაშანს
 ალბათ ამით ფანტავდა.
 ხეზე ჭრიდა ჩუქურთმებს
 სულ სხვადასხვანაირებს.
 საუცხოოდ მღეროდა
 ის ტკბილ, ხალხურ შაირებს.
 ლამით ხშირად ყვებოდა
 ზღაპრებს საქართველოზე.
 ღუნებობდა მუდამუამს.
 მის მოებსა და მდელოზე.
 მის სახელს ვით მინდია,
 ისე უფრთხილდებოდა.
 სიკეთისთვის ზრუნავდა,
 მტრების ჯავრით კვდებოდა.²⁰

პატრიოტული პათოსი ამ ლე-
 ქსისა, სამშობლოს სიყვარული-
 დან თავისუფლების მოსაპოვებ-
 ლად თავგანწირული ბრძოლის
 სურვილში გადადის. ამ მიზნით
 ის პირდაპირ მიმართავს ხალხურ
 სტრიქონებს:

ამოდულდეს მარგალიტი,
 ნაგუბარში ჩადგეს წყალი.

19 3. რურუს, დასახელებული წიგნი,
 გვ. 35-36.

20 იქვე, გვ. 217.

შზე ბრწყინავდეს შინ და გარეთ
და ხარობდეს ჩვენი თვალი.

გაიხარონ წინაპრებმა,
ჩვენმა მტრებმა ცრემლი ღვარონ.
ნაფუძვარში გაჩნდეს ვაზი,
ნათელს ბნელი გაეყაროს.
ლომი როგორ შეიძლება
გაღაჩიშდეს, გადაგვარდეს.
შვილი მამას უნდა ჯობდეს,
შვილი მამას უნდა გავდეს.²¹

„ამოდულდი მარგალიტო“
ერთ-ერთი პოპულარული ხალ-

ხური ლექსია. ამ თემას ბევრი
პოეტი, დაუბრუნდა. პ. რურუს-
თან კი მან განსაკუთრებულ სი-
მაღლეს მიაღწია. ლექსს არა მა-
რტო ალამაზებს, არამედ პოეტუ-
რი აზროვნების აღმავლობას ემ-
სახურება ეს ხალხური სტრიქო-
ნები, გადადის „მზე შინას“ ინ-
ტინაციებში და იძენს პატრიო-
ტულ ჟღერადობას.

ყველას ახსოვს ხალხური
სტრიქონები:

ამოდულდი მარგალიტო, ნაგუბარში ჩადექ წყალო,
არც ისეთი ლამაზი ხარ, როგორც იპრანჭები, ქალო.

ეს სტრიქონები „ამოდულდი მა-
რგალიტოს“ სალსლობო ხასია-
თის ვარიანტია, ამ ლექსის უნი-

კალური ნიმუში დაცულია პ. კო-
ტეტიშვილთან:

მარგალიტი ავადულე, გამოვიდა გუბე-წყალი,
კალთაშია მოგიკვდები, შენის ხელით მასხი წყალი,
ამას შაინც იტყვის ვინმე — ეშხით მოკვდა ის საწყალი.²²

საგულისხმოა, რომ პ. რურუ-
ამ არა მარტო იცოდა ეს ლექსე-
ბი, არამედ უყვარდა და თავის
ლექსებში გამოყენებით დიდ პა-
ტივს სცემდა მათ.

უდრევი ქართველი ქალის მხა-
ტვრული სახის შექმნაში ფოლ-
კლორული მასალა მოიშველია
პოეტმა. მას ერთნაირად იტაცებს
ხალხური ლექსი, მითი, ზღაპარი,
თქმულება და სხვა. ლექსში „ქა-
რთველო ქალო“, სწორედ ძველი

თქმულება მოიხმო და სათაურის
ქეემოთ გულწრფელად მიაწერა.
ამ თქმულების მიხედვით მტერი
ცდილა დამორჩილებია ქართვე-
ლი ქალი. მაგრამ ქართველ ქალს
მისთვის ქალური სითბოს ნაცვ-
ლად მახვილი შეუგებებია და იქ-
ვე განუგმირავს. სწორედ ესაა
ლექსის „ქართველი ქალი“ ფა-
ზულა და თემა. ისანში წარტაც-
ნილმა ქართველმა ქალმა თავისი
და სამშობლოს ღირსების დასა-
ცავად ყველაფერი გააკეთა, რა-
თა არ დამორჩილებოდა მბრძანე-
ბელს, უფრო მეტიც: „არ მოუყა-

21 იქვე, გვ. 213.

22 პ. კოტეტიშვილი, ხალხური პოე-
ზის (II-გამოცემა) თბილისი, 1961,
გვ. 44.

რა მას მუხლი, არც იმის მახვილს
აკოცა“, ხოლო ხანის განრისხე-
ბაზე — ამ ხმლით დავიმორჩილე

გურჯისტანი და შენ ვინდრ მარიამ
ვერ დაგიმორჩილო, ასეთ სუსტი
ტი არსებაო, ქალმა უპასუხა:

შენ გინდა დაიმორჩილო
ძალით ქართველი ქალიო? —
ოქვა და მახვილით მტარვალი
ძირს დასცა სისხლით მთვრალიო.²³

რჩება შთაბეჭდილება, პ. რუ-
რუას თითქოს გაულექსავს ძვე-
ლი თქმულება. ცხადია, ეს ასე
არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ამ
ძველი თქმულების საფუძველზე
პოეტმა შექმნა შესანიშნავი სახე
მტრისაგან დაუმორჩილებელი ქა-
რთველი ქალისა. აი, ასეთი კე-
თილისმყოფელი გავლენა მოახ-
დინა ფოლკლორულმა მასალამ
შემოქმედებით პროცესზე. პატ-
რიოტული გზნებით აღსავსე ნა-
წარმოებში ასე გამოიძერწა ამა-
ყი ქართველი ქალის პლასტიკუ-
რი გარეგნობა და ბობოქარი სუ-
ლი.

პოეტს არმარტო თქმულება.
ზღაპარიც იტაცებს. მას ზღაპრის
სიუჟეტზე შეუქმნია პოემა „ნა-
ცარქექია“. ამ პოემის მოკლე ში-
ნაარსი ასეთია: იყო ერთი გლეხი
დათია. ყავდა სამი შვილი. ორს
კარგი სახელი ქონდა. მესამეს
ბერდიას კი „ყავდა ბევრი მძრა-
ხველი“. ბერდია უქნარა იყო და
ამიტომაც ეძახოდნენ ნაცარქექი-
ას. ბერდია, ამასთან, მკვეხარაც
იყო:

იტყოდა: თუ დამჭირდა
სულ დავანგრევ მთასაო.
გზას შევუკრავ, შევბოჭავ,
ლიახვსა და მტკვარსაო.²⁴

ცხადია, ძმები დასცინოდნენ
მკვეხარა უმცროს ძმას. ბერდია
ყურადღებას არ აქცევდა მათ.
„მხოლოდ იღიმებოდა, როცა ვი-
ნე უტევდა“ (გვ. 322), იჯდა და
თავის შესაქცევს ადვილად პოუ-
ლობდა. ძმებმა გადაწყვიტეს ბე-
რდიას თავიდან მოცილება. მის-
ცეს ხურჯინი, ერთი გუდა ნაცა-
რი და სადგისი, საგზლად კი ყვე-
ლი და მჭადი. ბერდია ადგა და
უმისამართოდ წავიდა. ერთ მღი-
ნარეს მიადგა. გადაწყვიტა ღამე
იქ გაეთენებია. ღამეში შეშინდა
და ტყეს ცეცხლი წაუკიდა. მხე-
ცები დაფრთხენენ.

ლევებიც შექრთნენ, შეშინდნენ,
რომ დაინახეს ხანდარი.
გაღმა ცხოვრობდნენ, იქ კოშკი
აეგოთ უზარმაზარი.
რა ამბავია, ნეტავ ტყეს
ვინ მოსდო ცეცხლის ალიო.
ძმაო, ბაყბაყავ, ამას დღეს
რას ხედავს ჩემი თვალიო.
ლევების რიდიც არა აქვთ,

23 იქვე, გვ. 224.

24 იქვე, გვ. 322.

გაგითავხედდა ხალხიო.
 ღელავდა თული, ბაყბაყამ
 ძმას ასე უთხრა: წადიო.
 მომგვარე ის ავაზაკი.
 მისგან ავაგო მწვალიო.²⁵

დევრ წავიდა ამბის გასაგებად.
 ნაცარქექიამ დაინახა ის და გაი-
 ფიქრა:

ეს უნდა იყოს დევიო.
 მაგის სუნთქვას და ფეხის ხმას
 ბანს აძლევს მთა და ხევიო.²⁶

მაგრამ ხერხი ამჯობინა, გული
 გაიმპარა და შესძახა:
 ე მანდ ვინცა ხარ, აქ მოღი,
 კაცი ხარ თუ რამ ლანდიო,
 რომ ფორტხავ ფეხი გადმოდგი
 და ჩემთან გამოცხადიო.²⁷

დევს გაუკირდა — როგორ
 გაბედულად მელაპარაკებაო. ბე-
 რდიამ გააცნო თავისთავი:
 უშეშაურის გვარის ვარ,
 შთამომავალი ზალისა.
 ვინა ხარ, რომ შემეშინდეს
 შენი ღონის და ძალისა.
 კაცი ვარ, კაცად ცნობილი,
 ერთი — ათასის ბადალი.
 ბაყბაყდევს ვეძებ, მასწავლე.
 ბინა იმისი საღ არი.²⁸

ბერდიამ დევთან შებმა არ იჭ-
 ალრა. უთხრა, ბაყბაყდევს თუკი
 დაუვარდები, მერე შეგებმებიო.
 ახლა კი წყალს გალმა გადამიყ-
 ვანეო. დევმა მხრებზე შეისვა
 ბერდია და გაიქვირვა, რადა ხარ

ასე მჩატეო. ბერდიამ თავი გაი-
 მართლა — უჩინარ ბაწარზე ვარ
 ჩამოქიდებულიო. დევის თხოვ-
 ნით ბერდიამ „ბაწარი ცოტა მო-
 უშვა“ — ანუ დევს ბეჭებში სა-
 დგირი ჩაარწო. დევი დარწმუნდა
 ბერდიას არა მარტო სიმძიმეში,
 სიძლიერეშიც. „თულმა“ (დევმა)
 გააფრთხილა ძმები — ფრთხილ-
 ად იყავით, თორემ თავს წავაგე-
 ბთო, ნაცარქექია დაგვამარცხებ-
 სო.

ბერდიამ და ბაყბაყდევმა ერთ-
 მანეთი ღონეში გამოსცადეს. ბა-
 ყბაყმა ქვა დაფუვნა და დაყარა.
 ბერდიამ ქვის მაგივრად ჭყინტი
 ყველი ამოილო და, არა მარტო
 ღაფუვნა, წვენიც დადინა. ახლა
 გაქცევით შეეჯიბრნენ ერთმა-
 ნეთს — გზას ვინ აადენს მტვერ-
 საო. ბერდიამ აქაც აჯობა
 „თულს“. დევებმა თავი დამარც-
 ხებულად ცნეს, თანაც გათამამე-
 ბისათვის პატიება თხოვეს. —
 შეპირდნენ, დას მოგათხოვებთო.
 გაიმართა ღხინი. „მეგობრობით
 და მოყვრობით მისი გულის მო-
 საგებად“. ბევრდია დევებმა მეა-
 თე ძმად მიიღეს. მთელი ქონების
 მესამედი დას მზითვად მისცეს,
 ლიხის მთაზე შემოფენილი ათასი
 სული ცხვარი და ათასი სული
 ხარი აჩუქეს. ყოჩებს კისერზე
 დაკიდეს ოქროს ზარები. ბერდი-
 ამ

თვალმარგალიტი, სიმღიდრე
 რაც წამოილო, ყოველი
 შინ მოიტანა, მოზიდა
 და გაახარა მშობელი.

25 იქვე, გვ. 325.

26 იქვე, გვ. 325.

27 იქვე, გვ. 325.

28 იქვე, გვ. 226.

ლხინი გამართა ქორწილზე
მოიპატიუა სოფელი.
გულუხვად დაასაჩუქრა
დაგრძომილ - დაუცრდომელი
და დღემდე იგი ზღაპარში
ცოცხლობს და არა მონებსო,
ხერხი სჯობია ღონებაა,
თუ კაცი მოიგონებსო!²⁹

აქ შეგნებულად აღარ მოვი-
ტანთ ზღაპარ „ნაცარქექიადან“³⁰
შესადარებელ ადგილებს, რად-
გან პ. რურუს პოემა ზუსტად
მისდევს მის სიუჟეტს, მეორეც,
ზღაპარი „ნაცარქექია“ ცნობი-
ლია. ყველასათვის.

ზღაპრის გალექსიით პოეტი
შეეცადა კიდევ უფრო პოპულა-
რული გაეხადა ნორჩი მკითხველ-
ისათვის „ნაცარქექია“, ამასთან
თავისი საბავშვო პოემაც. შეიძ-

ლება ითქვას, რომ ამგვარი შე-
მოქმედებითი ხერხით ჭრუტმა-
უფრო დიდ მიზანს მიაღწია —
ახალგაზრდებში აღზარდა მოხე-
რხებულობის, სიტუაციაში სწრა-
ფი და სწორი ორიენტირებას
გრძნობა.

ის უშუალობა, სისადავე და
მიმზიდველობა, რაც პ. რურუს
პოეტურ ნაწარმოებებს ამშვე-
ნებს, სხვა ფაქტორებთან ერ-
თად, უპირველესად, შესძინა
ფოლკლორთან შემოქმედებითმა
სიახლოვებმ, მისდამი დიდმა ხიყ-
ვარულმა და გამოყენების თავი-
სებურმა მანერამ. მან თავის პო-
ეტურ ნაწარმოებს თავისებური
ნათება შესძინა ხალხური მხატვა-
რული აზროვნების უკვდავი ნი-
მუშებით და კიდევ უფრო ახლოს
მივიღა ხალხთან.

29 იქვე, გვ. 335

30 ქართული ხალხური ზღაპრები,
წიგნი II, 1952, გვ. 156-160.

ფინანსის მინისტრი

პროფ. გ. შემედაშვილი

მწვრდის ენის შესწავლისათვის

ცნობილია, რომ მხატვრული ლიტერატურა იძლევა შესაძლებლობას შევიცნოთ აღმიანის სული. რაც უფრო უკეთ ვიცით ნაწარმოების მხატვრული თავისებურება (კომპოზიცია, დახასიათების ხერხები, სტილი, ენა...), მით უფრო ადვილი ასათვისებელია ნაწარმოების იდეური შინაარსი, მით უფრო ძლიერია მისი ცემოციური ზეგავლენა.

ლიტერატურა სიტყვის ხელოვნებაა. სიტყვა კი ლიტერატურის პირველელემენტია. პერსონაჟის სახის გასახსნელად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი მეტყველება, ლექსიკა, ფრაზეოლოგია, წინადაღებათა სტრუქტურა. სრულყოფილ მხატვრულ ქმნილებაში არ გვხვდება არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არცერთი არასაჭირო სტილისტური ელემენტი.

სარცეფზიონ წიგნში უპირველეს ყოვლისა გაანალიზებულია კ. გამსახურდის „დავით აღმაშენებლის“ ენა. ეს ის ნაწარმოებია, რომელსაც მხატვრული სიტყვის დიდებულმა რსტატმა 25 წელი

მოაღდისა და, ბუნებრივია, ენობრივადაც საინტერესოა.

ნ. საბაშვილი იხილავს „დავით აღმაშენებლის“ ენობრივ მხარეს გჩამატიკულ (მორფოლოგიურ-სინტაქსურ) და ლექსიკურ ასპექტებში. განალიზებულია სახელთა ბრუნება, თანადებულთა ხმარების თავისებურება, მსაზღვრელ-საზღვრული, პირდაპირი ობიექტის რიცხვის გამოხატვა ზმნაში. ცალკე ჩერდება ზმნისწინებზე, გვარის წარმოების თავისებურებაზე.

ნ. საბაშვილი მართებულად მიუთითებს, რომ „დავით აღმაშენებლში“ გამოყენებულია არა მარტო ძველი ქართულისათვის დამახსიათებელი ფორმები, არამედ ძველი ქართულის ლექსიკაც. წიგნის ეს ნაწილი განსაკუთრებით კარგად არის შესრულებული. მაგრამ სანამ ლექსიკაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია მოვაკონოთ თვით მწერლის აზრი, თეორიული წინამძღვრები ამ საკითხზე.

კ. გამსახურდია კატეგორიულად ურყოფს, თითქმის მას ეწადა მე-11 საუკუნის ენა მიეჩეხებინა ჩენი კომეტურნებისა და მუშებისათვის, თითქო

ნ. საბაშვილი, მწერლის ენა, „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1976.

შას „დიდოსტატის მარჯვენა“ და „და-
ვით აღმაშენებელი“ ქველი ქართულით
დაწეროს, ხოლო დანარჩენი რომენები
— სხვა რომელიღაც ენაზე. „ისტორი-
ულ მასალაზე დაწერილ ჩემს რომანებ-
ში, — წერდა კ. გამსახურდია, — ავტო-
რის თხრობა მუდამ იმ ენაზე მიმდინა-
რებს, რომელიც მე მახასიათებს ყვე-
ლგან და ყოველთვის, ხოლო გმირთა
დიალოგები ბუნებრივად ანტიკიზირე-
ბულია. მე ხომ არ შემძლო დავით ალ-
მაშენებელი, გიორგი ჭყონდიდელი და
კირიონ მანგლელი იმივე ენით ამემეტ-
ყველებინა, როგორიც მე მივანიშვ გვანჯ
აფაქიძეს, ნიორთავას, კანკრეს და მრა-
გალრიცხვან ჩემს გმირებს“ (კ. გამსა-
ხურდია, თხზ., ტ. VIII, გვ. 892). ან
კიდევ: „ჩემგან მოითხოვენ „დიდოსტა-
ტის მარჯვენისა“ და „დავით აღმაშენე-
ბლის“ გმირები „აქნეომაქნეის“ ენა-
ზე ავამეტყველო“ (იქვე, გვ. 219) და
სხვა.

6. საბაშვილი დიდი დაკვირვებით არ-
ჩეს კ. გამსახურდიას საანალიზო ნაწა-
რმოებიდან არქაზმებს (მაგ., ამინ, ამა-
ნი, დედამძღვანელი, ეზოსმოძღვარი, იუქლი,
გამამძღვანელი, ლუსკუმა და სხვა).

სარეცენზიო წიგნში გამოყოფილია
სხვა ლექსისური ფენებიც (მტრია, მუ-
ტრიბიდ, ნაბიქევი, პატიუი, პაშტა (ამ
უკანასკნელ სიტყვას მეტად საინტერე-
სო ისტორია აქვს და მას (ამ სიტყვას)
იცნობს უცხოურ ენაზე დაწერილი პი-
რველი ქართული ენის გრამატიკის ავ-
ტორი — ურანცისკ მარიო მაჯო),
ლერლედი, ავგაროზი, ილუმენია, ტრაპე-
ზი და სხვა).

კარგი იყო, რომ სარეცენზიო წიგნში
ამასთან დაკავშირებით სრულად წარ-
მოედგინა ავტორს ის ლექსისური ერ-
თეულები, რომლებიც პირადად მწერა-
ლმა შემოიტანა და დაამკვიდრა ქართუ-
ლში (გაკვრით ამაზეც არის მსჯელობა
ნაშრომში).

საანალიზო ნაწარმოებში („დავით აღ-
მაშენებელი“) მრავალადაა ისეთი ლექ-
სიკური ერთეული, რომელიც „არნ შემ-
ქმბავს ტერმინით რომ ვთქვათ, სალი-
ტერატურო ენის სარეზერვო ფონდს
წარმოადგენს. ასეთ დიალექტიზმებად
6. საბაშვილი მიიჩნევს: წამოტორტლა,
ბეუტურებდა, ნაბეუტურევი, ბრიტინი,
ენაგალაქსარებული და სხვა. ამასთან
დაკავშირებით სავსებით მართებულია
6. საბაშვილის მითითება იმის შესახებ,
რომ აღნიშნული ფორმები ერთი შეხე-
ლგვით ძალზე დალექტურ სიტყვებად
მოგვეჩენება, მაგრამ ისინი ნახმარია
ისეთ ადგილას და ისეთი ელფერისათ-
ვის, რომ ლიტერატურული სიტყვები
ვერ შეცვლიდა მათ. სარეცენზიო წიგ-
ნის აეტორს ამის დამიდასტურებელი
ფაქტობრივი მასალებიც მოჰყავს.

მართლაც, მშვენიერი იქნებოდა, რომ
ავტორს შეემოწმებინა თანამედროვე
ლიტერატურაში აღნიშნული სიტყვების
გამოყენების შემთხვევები. ამას თვითო-
ნაც შენიშნავს ერთგან სქოლიოში. ამ
მხრივ, რა თქმა უნდა, მუშაობა უნდა
გაგრძელდეს მომავალში.

წიგნს უყრადღებას იპყრობს კ. გამ-
სახურდიას მიერ გამოყენებული ფორმა
გამოლერლეტებული, რომელიც ნაწარ-
მოებია ბატის ძველქართული სახელწო-
დებიდან (ლერლედი, საბას სიტყვით,
ბატი). ბატი უცხოური წარმოშობის სი-
ტყვაა (არაბულია), ამის შესახებ არნ.
ჩიქობავა მიუთითებს:

„კან. ლორლ-ოჭ-ი ბატი, გუს.

მეგრ: ლორლ-ონჭ-ი ” ”

ქართ. ლერლ-ედ-ი „ლერლედი||ლერ-
ლეტი — ბატი“ (საბა), გუს.

ტექსტებში დადასტურებული არაა; გა-
მიგონია აფხაზეთში, არქაბელი ლაზი-
საგან.

მეგრულში ჯ-ს წინ — ნ — განვითარებულია; ძირებული უნდა იყოს ლერლექართულში, ღორბ—მეგრულსა და ჭანურში; — ედ—||ოჯ||ონქ—დეტერმინანტი სუფიქსი ჩანს: ღ||ჯ-ს მონაცელება მეგრულისათვის ჩვეულებრივია (მეგრულსა და ჭანურში აქ ჯერდ — უნდა ყოფილიყო)...

შესატყვისობის ოვალსაზრისით აუსნელია ხმოვანთა ურთიერთობა: ან ქართულში ა — უნდა გვქონდა (ღარღად), ანდა ჭანურსა და მეგრულში თ—მიღებულია ა-საგან: ღარღად—||ღარღაჯ → ღორღოდ—||ღორღოგ—... რატომ? ღ-სა და დ-ს მეზობლობა ამის ასახსნელად არაფერს იძლევა.

და მაინც ეჭვგარეშეა, რომ ერთსა და იმავე ფუძესთან გვაქვს საქმე. საინტერესოა, რომ ქართულში ნაესხებმა სიტყვამ ბატმა გამოდევნა ლერლედი. (არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 103). ამ ერთ სიტყვაზე იმიტომ შევჩერდით ასე დეტალურად, რომ იგი ოვალნათლივ გვიჩვენებს, როგორ მუშაობდა კ. გამსახურდია ქართულ ლექსიკაზე. მწერალი გატკეპნილი გზით როდი მიღიოდა. იგი ბიბლიის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ითხოვდით, და მოგეცის თქვენ; ეძიებდით და პჰოვთ“ (გათე, 7,7). საყურადღებოა, რომ სვანურშიც ნაესხები სიტყვა — ბატი დამკვიდრდა, ნათესაობით ბრუნვაში ეს სიტყვა იქნება სვანურდ ასე: ბატიშ, გუსიны, გუсячий (იხ. რუსско-სვანский словарь. сост. И. И. Нижарадзе, თბილისი, 1910, გვ. 51).

მეტად საინტერესოა სარეცენზიონ წიგნის ის ადგილები, სადაც ლაპარაკია კ. გამსახურდიას მიერ შევმნილი სიტყვების შესახებ; მითითებულია, რომ მწერალს одინოჩკა-ს შესატყვისად უხმარია ორბორბალა, გაუთხოვარი ქალის აღსანიშნავად — შინაბერა (ამას-

თან დაკავშირებით სპეციალური სტატია რატურაში ცნობილია მთელი ისტორია, მაგრამ მასზე აქ ვერ შევჩერდებით), ქარიშხლის წილ—ქარბორბალა, გულუბრყებილს ხაცვლად — მალემრჩენი. ალიაქოთი მწერალმა შეცვალა ვნისით, ფუტკრის ხმაური — ზუნით, მოღალარე — შინაბეგამცემით, ზღაპრული — იგავმიზუშვდენელით და სხვა.

უდავოდ უნდა დავეთანებმოთ სარეცენზიონ წიგნის ავტორს იმაში, რომ ამ დიდი მწერლის მდიდარი ენა სერიოზული კვლევის საგანია და, ვფიქრობთ, ნ. საბაშვილი მომავალშიც გააგრძელებს ამ კეთილშობილურ საქმეს.

მომდევნონ ენობრივი ეტიუდი, სარეცენზიონ წიგნში წარმოდგენილი, შეეხება ლ. გოთუას „გმირთა ვარამს“. აქ განალიზებულია ამ შესანიშნავი რომანის გრამატიკულ-ლექსიკური მხარე: მსჯელობა ბრუნებისა და უღლების საკითხებზე; დაწვრილებითაა გაშინაარსებული არქაული ლექსიკა. უდავოდ სწორია ნ. საბაშვილი, როცა მიუთითებს, რომ კრეტსაბმელი, სარეცელი, კვართი, თხიერი, რუდუნება, მეცესულად და სხვა, ისეთი სიტყვებია, რომელთა ბადალი თანამედროვე ქართულსაც აქვს, ამიტომ ესენი ვერ დამჯიდრდებინ სალიტერატურო ენაში.

კარგად არის გაანალიზებული დიალექტიზმები. ნ. საბაშვილს „გმირთა ვარამიდან“ მოჰყავს გურიზემები და იმერიზები, აგრეთვე ქართული ენის სხვა დიალექტთა მაგალითებიც; ზოგ მათგანს ადასტურებს სხვა მწერლებთანაც; გარდა ამისა, არ არის დავიწყებული არც უცხოური წარმოშობის ლექსიკაც (მაგ. არიფანა, აღალმა, გაყვიზინდა, იდათიანობა, ლორწი, მარაქა, ნარუქი, ჭულბაქი, ყარამფილი, ყაფანი, ჭუმლი, ხიზმუზინი და სხვა).

ნ. საბაშვილი ყურადღებას აქცევს ლ. გოთუასეულ სიტყვას ნამერევი, რო-

შელიც პირველად თურმე ი. გრიშა-
შვერს გამოუყენებია: „მესმოდა სიტყვა
ნამეორები“. ქეგლ-ში ამას უწერია:
„ხელოვნური“. ნ. საბაშვილი კი ვარაუ-
დობს, რომ ლ. გოთუასთან იგი ექის
უნდა ნიშნავდეს; ასევე საგულისხმოა
ტელევიზორის დაკვირვება სიტყვაზე: „ჩი-
ტინიშანი“, რომელიც გამომოვცემს ტე-
ქსტში ჩამატებულ ნიშანს და, სარეცენ-
ზიონ წიგნის ავტორთან ერთად, ჩვენც
მხარს ვუკერთ სალიტერატურო ქარ-
თულში მის დამკვიდრებას.

სპეციალური მსჯელობის საგნად არის
ჭყეული ნ. საბაშვილის წიგნში გ. ლე-
ონიძის ენა. ეს ის გოგლაა, რომელიც
სიკვდილის წინ ახალგაზრდობას მიმარ-
თავდა: „გიყვარდეთ ენა რუსთაველისა
და სულხან საბა ორბელიანისა, გურამი-
შვილისა და ბარათაშვილისა. იყავით მუ-
დამ ისეთივე თანამედროვენი, როგორც
სულმანთი შოთა იყო, გიყვარდეთ ქარ-
თული გუთნისდედა. და ფოლადის
მღრღნელი, მაშინ თქვენ მუდამ მოწო-
დების სიმაღლეზე იდგებით და ხალხიც
ათასგზის მოგიზავთ სიყვარულს“. (სა-
მშობლო მისი ლექსის სახელი, თბ.,
1970, გვ. 91).

სარეცენზიონ წიგნში განააღმდებულია
გ. ლეონიძის ენის ფონეტიკურ-გრამა-
ტიული და ლექსიკური მხარე. არც
სიტყვაცარმოებას დავიწყებული. ჩვენ
ვიზიონებთ წიგნში გამოიწმეულ მოსაზ-
რებას იმის შესახებ, რომ გ. ლეონიძე
უხვად იყენებს ხალხურ სიტყვა-გამოთ-
ქმებს, ქართლ-კახური კილოს მონაცე-
მებს; აცოცხლებს ბევრ სიტყვას, რომ-
ლებიც ძველ ქართულში იხმარებოდა,
ამით მწერალი აღწევს. პოეტური სიტყ-
ვის ვადახალისებას, ლექსის განახლებას.

კარგი იყო ავტორს ყურადღება მიე-
ცია თავისებურ ნეოლიგიზმზე — კო-
მპონიტ „შინმოუსვლელზე“ („შინმოუ-
სვლელო, სადა ხარ? შენ ხომ თბილისი
გიყვარდა?“) და გამოეთქვა თავისი აზ-
რი ამ სიტყვის გენეზისზე — ლეონიძი-

სეულია იგი ოუ ხალხური (შავი უზირდ
მკვდარი, ვინდ შინმოუსვლელი“ და-
დაზა).

გ. ლეონიძეს ეკუთვნის სიტყვები:
„ო, როგორ მიყვარს მუხლადი, ბედაუ-
რი, მაძლარი სიტყვა“. განა მასვე არ
ეკუთვნის.

„ლეონიძე, ამ დღეებს უდარაჯე,
შენ ოუ გაძლებ, — შენივ სიტყვის
იმედით.“

დაბოლოს, სარეცენზიონ წიგნში გაა-
ნალიზებულია გრიგოლ აბაშიძის პოე-
ზიისა და პროზის ენა. გრ. აბაშიძე დამ-
სახურებული სიყვარულითა და პატივის-
ცემით სარგებლობს არა მარტო საქართ-
ველში, არამედ მის ფარგლებს გარეთ-
აც. მომხიბლავი და სმენისათვის სასიამ-
ოვნოა მისი პოეტური, პროზაული და
ლისტული (დიალეკტური) მეტყველე-
ბა); იგი გვიზიდავს აზრის სიღრმით,
ინტონაციის მრავალფროვნებით, ფრა-
ზის სილალითა და სისტემით. გრ. აბა-
შიძისათვის ქართული მეტყველება ჩვე-
ნი ერის სულის სარკეა, მისი მეობის
უტყუარი სახეა. გრ. აბაშიძე, არ შევ-
დებით ოუ ვიტყვით, თთოეულ სიტყ-
ვის წონის მისხლობით და იყენებს მას
ქართული ხასიათის გამოსახურწავიდ.

ნ. საბაშვილი აანალიზებს გრ. აბაში-
ძის ენაში ე. წ. გრამატიკულ არქაზი-
მებს, ლექსიკას. სპეციალურად ჩერდე-
ბა ისეთ სიტყვაბზე, როგორიცაა: განე-
რა, კნინდა, მეცნიერი, მიღრეკილი, მკა-
ლი, ზრილი, სენაკი, ტაბლა, ცხედარი,
ხმალი და სხვა. საგანგებოდაა განააღმდე-
ბული დიალექტიზმები (ართვალი, ბექ-
რეკი, გადაბეირდება, მოფამფალებული,
ფაფხური, ხინჯი და ა. შ.), გამოყოფილია
იგრეოვე თავისებურად ნაწარმოები სი-
ტყვები (კეთა, მახვეწარი, სასწეულო,
მარგველი, თავხოტორა, მიეყვავილა და
სხვა).

ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს
გრ. აბაშიძის ენას.

სარეცენზიონ წიგნი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. დაკვირვებული მკითხველი შეატჩინებს ავტორის საფუძვლიან მომზადებასა და ლინგვისტიკურ აღლოს. გარდა ამისა, უდავოდ იგრძნობა სწორი ორიენტაცია, მოვლენებისა და ენობრივი ფაქტების მართებული ინტერიერთაცია; მკლევარს საყუთარ დაკვირვებებთან ერთად გამოიყენებია საგნის სამეცნიერო ლიტერატურა; მასალების სიუხვითა და სპეციალური ლიტერატურის კეთილსინდისიერი გამოყენებით წიგნი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ერთი სიტყვით, ამ ნაშრომის გამოცემა უაღრესად დადგებით მოვლენად მიგვაჩნია.

აქვთ საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ჩვენ არ ვეკუთვნით რეცენზენტთა იმ რიცხვს, რომელთა ავტორებიც კულტურულ დილინგვენ ნაშრომის დადგებით მხარეებზე გაამახვილონ ყურადღება, ხოლო ნაკლის შემჩნევა მათი მოცანის სფეროში არ შედის. კითხულობ ამგვარ რეცენზიას და თითქოს მისი ავტორის ფირი გვსმის: „რაი პატივი ვეცი მწერალს თუ მეცნიერს, ბარებ ბოლომდე ვასიამონებო“. არა, ეს საქმეს არაფერს ჰქმარებს. სწორედ ამიტომ ჩვენ გვსურს გზადაგზა წარმოდგენილ შენიშვნებს გარდა, რამდენიმე კი-დევ გავაკეთოთ.

1. პოეტური აზროვნება არ აჩვებობს შეატვრული სახის გარეშე. მაგრამ მხატვრული სახე ყოველთვის როდი ემთხვევა ყოველდღიური მეტყველების ნორმებს. მწერლის მხატვრული ენას სპეციფიკის გარევევა გულისხმობს იმის აღნიშვნას, თუ რა ესთეტიკური, სტილური, ექსპრესიული ფუნქცია აყისრია გამოსახვის ხერხებს, მწერლისა და პერსონაჟების სიტყვას, გამოთქმებს, თხრობის მანერას, რამდენად მართებულად და მოხდენილადა ისინი გამოყენებული

ნაწარმოების თემის გაშუქების და მას ეს გამოვლენისათვის, მხატვრული ისტორიას სრულყოფისათვის, ადამიანთა ხასიათის, განწყობილებებისა და მისწრაფებათა გადმოსაცემად. 6. საბაშვილი, ვფიქრობ, გაცილებით მოვგებს, თუ ამ მხარესაც გათვალისწინებს მომავალში, მისი ნაშრომი უფრო სრულყოფილი იქნება.

2. სასურველი იყო 6. საბაშვილს პ. გამსახულდის სხვა ნაწარმოებებიც გაეტარებინა ე. წ. ლინგვისტიკურ მიკროსკოპში.

3. ძალიან კარგი იქნებოდა, ავტორს წარმოედგინა სარეცენზიონ წიგნში შეტანილ მწერალთა თეორიული მოსაზრებანი ენისა და სტილის უსახებ და ერვნებინა, თუ როგორ იყენებენ ისინი თავიანთ თეორიულ წინამდებრებს საკუთარ სამწერლო პრაქტიკაში.

4. მოხარული ვიქნებით, თუ სარეცენზიონ წიგნის ავტორი მომავალში მიზნად დაისახავს და პასუხს გასცემს კითხვას: რა ქმნის მის მიერ შეჩერულ მწერალთა სტილს, რა კომპონენტების ერთობლიობა გვიჩვენებს მათს დამახასიათებელ ნიშნებს?

5. კარგი იყო გარკვეული საკითხი — ზოგი გრამატიკული საშუალების სტილისტიკური დანიშნულებით გამოყენების შესახებ.

6. რატომდაც სარეცენზიონ ნაშრომში ვერ შევხდით დამოწმებებს ისეთი შრომებიდან, როგორიცაა: ალ. ლონნი, ლიტერატურული ენის საქესთან (ეხება გ. ლეონიძის ენას), როინ ჭიკაძე, სახელთა წარმოქმნა გ. ლეონიძის თხუზულებათა ენაში (თელავის პედისტ. შრ. 8. ამ ავტორმა საკანდიდატო დისერტაცია დაცივა გ. ლეონიძის ლექსიკაზე); რ. შამელაშვილი, თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა, ნაკვეთი II,

თბ., 1974 და სხვა, რომელიც კიდევ
უფრო გაამდიდრებდა ნ. საბაშვილის
წიგნს,

7. რამდენადაც ვიცით, ჯერ კიდევ
1954 წელს დიცვა ნ. საბაშვილმა დი-
სერტაცია თემაზე „გურული დიალექ-
ტური ლექსიკა ქართულ პროზაში“. ამ-
ტომ საინტერესო იყო სარეცენზიონ წი-

გნში შესულ მწერალთა ნაწილში დატვირთვის
გასინჯვა გურიიშმების ასტერტშვილის (ამავე
თქმა უნდა, გ. ლეონიძის გამოკლებით).

დასასრულ, ვიტყვით, რომ ჩვენი შე-
ნიშვნები ოდნავადაც არ ამცირებს გან-
ხილული ნაშრომის მეცნიერულ ღირ-
სებას. ამ წიგნის გამოსვლა მისასალმე-
ბელი ფაქტია.

860/38
04036930
ЗОЛОТАЯ ОСЕНЬ

№ 40 1953.

**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

„ЧОРОХИ“

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ**

ИНДЕКС 78118